

1963/2



178/2

საბჭოთა სამართალი

6

საბჭოთა კავშირის სანტენიონო კომიტეტის გამომცემლობა

1963

1

1963/2

საბჭოთა სამართალი

№ 1
თბილისი

იანვარი-თებერვალი
1963 წელი
ბამოცემის X წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კოლეგიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

- 3. მინიშრამე — სასამართლო ორგანოების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის
ნომბრის პლენუმის ვადაწყვეტილებათა შუქზე 3
- შ. კოზიაშვილი — სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის საკით-
ხისათვის საბჭოთა სისხლის სამართალში 9
- თ. შავშულიძე — აუცილებელი მოგერიების ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ
სასამართლო პრაქტიკაში 17
- ა. ჯაფარიძე — შუამდგომლობის აღძვრა ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ . . . 27

წინადადებათა ახალი კანონმდებლობისათვის

- 3. ლორია — ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის საკითხისათვის 32
- კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე**
- ა. შაენტი — პასუხისმგებლობა ზოგიერთი სამეურნეო დანაშაულისათვის საქართვე-
ლოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 41
- ს. ჯაფარიძე — მემკვიდრეობის სამართლის ზოგიერთი საკითხები ახალი სამოქალაქო
კანონმდებლობის მიხედვით 50
- სსრ კავშირის ახალი საშაერო კოდექსი 56

ბამოცემილი ქართული იურისტები

- ს. ჯორჯანაძე — ი. ვ. კილაშვილი—დიდი მოაზროვნე და სახელოვანი იურისტი 63

უცხოეთში

- კ. ვადავა — ქარიშხალზე მინდობილი გული 72
- ა. აბესაძე — მამა 79

პრიტიკა და გიგლიოგრაფია

- ივ. სურგულაძე — მნიშვნელოვანი ნაშრომი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში . . . 81

ინფორმაცია 88

9145



ს ო დ ე რ ჯ ა ნ ი ე

В. МАИСУРАДЗЕ — Задачи органов суда в свете решений Ноябрьского пленума Центрального Комитета КПСС	
У. КОБИАШВИЛИ — К вопросу об основании уголовной ответственности в советском уголовном праве	9
Т. ШАВГУЛИДЗЕ—Некоторые вопросы необходимой обороны в судебной практике Грузинской ССР	17
М. ДЖАПАРИДЗЕ—Возбуждение ходатайства об условно-досрочном освобождении	27

პ რ ე დ ლ ო ჯ ე ნ ი ა კ ნ ო ვ ო მ უ ჯ ა კ ო ნ ო დ ა ტ ე ლ ო ვ ს თ ვ ა

В. ЛОРИЯ — К вопросу о кодексе административного права	32
--	----

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი ე რ ე პ ო ნ ო ვ ო მ უ ჯ ა კ ო ნ ო დ ა ტ ე ლ ო ვ ს თ ვ ა

А. ЖГЕНТИ — Ответственность за некоторые хозяйственные преступления по новому уголовному кодексу Грузинской ССР	41
С. ДЖАПАРИДЗЕ — Некоторые вопросы наследственного права по новому гражданскому законодательству	50
НОВЫЙ ВОЗДУШНЫЙ КОДЕКС СССР	56

ვ ი დ ა ო ც ი ე რ ე გ რ უ ჯ ი ნ ს კ ი ე რ ი ს ტ ე რ ე

С. ДЖОРБЕНАДЗЕ — И. Г. Чилашвили — выдающийся мыслитель и знаменитый юрист	63
--	----

ზ ა რ ო ბ ე ჯ ო მ

К. ПАГАВА — Сердце доверенное буре	72
------------------------------------	----

А. АБЕСАДЗЕ — Отец	79
--------------------	----

კ რ ი ტ ი კ ა ი ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

Ив. СУРГУЛАДЗЕ — Значительный труд по теории государства и права	81
--	----

ИНФОРМАЦИЯ	88
------------	----

შ ე კ . № 772
ტ ი რ ა ჟ ი 5.500
შ ე 04908

ს ა რ ე ლ ა მ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა

ო . კ ა ც ი ტ ა ძ ე (რ ე დ ა კ ტ ო რ ი), ბ . ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ,
პ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , ი . დ ო ლ ი ძ ე , გ . ი ნ წ კ ი რ გ ე ლ ი ,
მ . ლ ო მ ი ძ ე , ვ . მ ა ი ს ლ ო რ ა ძ ე , თ . წ ე რ ე თ ე ლ ი ,
ს . ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე .

რ ე დ ა კ ტ ი ე ს მ ი ხ ა მ ა რ თ ი : თ ბ ი ლ ი ს ი , ა თ ა რ ბ ე გ ო ვ ი ს ქ . № 32. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი — 3-09-62

გ ა დ ა ე ტ ა წ ა რ მ ო ე ბ ა ს 2/IV-63 წ .: ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ლ ი ა დ ა ს ა ბ ე კ ტ ა დ 22/IV-63 წ . ა ნ ა წ ყ ო ბ ის ზ ო მ ა 7×12; ქ ა ლ ა ლ დ ის ზ ო მ ა 70×108; პ ი რ ო ბ ი თ ფ ო რ მ ა თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა 8,2; ფ ი ზ ი კ უ რ ფ ო რ მ ა თ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა 6.

ს ა ქ . კ ბ ც კ -ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательство ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

სასამართლო ორგანოების კომუნისტი სსკპ წინააღმდეგ კომისიების ნაშრომის კონსტრუქციის გეგმის შესახებ

3. მანუაჩი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა, წარმატებანი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კანონიერი სიამაყით აღავსებს თვითეულ საბჭოთა ადამიანს.

ამ წარმატებათა ფონზე სულ უფრო მოუთმენელი ხდება წარსულის ისეთი გადმონაშთები, ექსცესები როგორცაა სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა ქონებისა და პირადი უშიშროების ხელყოფა, სპეკულაცია, ბანდიტიზმი, მექრთამეობა, ხულიგნობა და სხვა.


პარტიამ უკანასკნელი წლების მანძილზე თანმიმდევრულად აღადგინა ლენინური ნორმები, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში უხეზად ირღვეოდა. ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენაში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები.

დიდი ლენინის ანდერძის ერთგულმა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა საჭიროდ მიიჩნიეს შექმნილიყო კონტროლის მწყობრი სისტემა. მას საფუძვლად დაედო პარტიული და სახელმწიფო კონტროლის გაერთიანების, ყოვლისმომცველი და მუდმივადმოქმედი კონტროლის შექმნის ლენინური იდეა, კონტროლისა, რომელსაც ახორციელებენ მშრომელთა უფართოესი მასები.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინმა ნათლად განსაზღვრა საკონტროლო ორგანოების ფუნქციები. „მუშურ-გლეხური ინსპექციის ამოცანას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეადგენს არა მარტო და არა იმდენად „დაჭერა“, „მხილება“ (ეს სასამართლოს საქმეა, რომელთანაც მუშა-გლეხინი ახლო დგას, მაგრამ სრულიად არ არის იგივე რაც სასამართლო), — რამდენადაც გამოსწორების უნარი“¹.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის ისტორიულ პლენუმზე სხვა საკითხებთან ერთად ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებს. მან აღნიშნა: „კონტროლის ორგანოების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ აღკვე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 33, გვ. 27.



თონ თვალისახვევა, წამატებანი, კუთხურობა, მექრთამეობა, სახელმწიფო ტერიტორიულ ფასეულობათა მფლანგველობა და გატაცება და ა. შ.“.

ხელმძღვანელობენ რა პლენუმის გადაწყვეტილებებით, ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებებით რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ ახალი ამოცანების შესაბამისად თავიანთი მუშაობის გაოქმინისათვის. ძირითადად აღმოფხვრილია საშიშ დამნაშავეებზე შეღავათის გავრცელების არასწორი პრაქტიკა; იმ პირთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული და შეიგნეს თავიანთი დანაშაული, ხორციელდება ისეთი ღონისძიებანი, როგორცაა დამნაშავეის ვადაცემა ორგანიზაციებსა და კოლექტივებზე მათი ხელახალი აღზრდისათვის, ან ისეთი სასჯელის შეფარდება, რაც იზოლაციასთან არ არის დაკავშირებული. მეტი ყურადღება ექცევა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ მიზეზებისა და პირობების შესწავლასა და გამოვლენას. უმაღლესი სასამართლოს წევრები ხშირად ჩადიან ადგილებზე და კონკრეტულ დახმარებას უწევენ ქალაქის, რაიონის სასამართლოს მუშაკებს. ზონალურ თათბირებზე, რომლებიც გასულ წელს ჩატარა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ სახალხო მოსამართლეებისათვის თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში და გურჯაანში, აგრეთვე სემინარებმა თბილისში, ქუთაისსა და რუსთავეში, მოსამართლეთა რესპუბლიკურმა თათბირმა 1962 წლის 26 იანვარს, სადაც განხილულ იქნა საკითხი „სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები სასამართლო ორგანოებში და მისი აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ დასახეს გზები რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, კერძოდ სასამართლო ორგანოების ყურადღება გამახვილებულ იქნა იმაზე, რომ ჯერ კიდევ აქვს ადგილი სამსჯავრო გამოძიების არასრულყოფილად, მატერიალური და პროცესუალური ნორმების უხეშად დარღვევით ჩატარებას, მოქალაქეებზე დაუსაბუთებლად მსჯავრის დადების შემთხვევებს, საქმის განხილვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დაუშვებლად გაჭიანურების ფაქტებს.

თუ კარგად დასაბუთებული და კანონიერი განაჩენი მასებში ნერგავს პატივისცემას საბჭოთა კანონებისადმი, იწვევს პატივისცემას იმ ორგანოებისადმი, რომლებიც იბრძვიან დანაშაულთა აღკვეთისათვის, მცირე შეცდომაც კი სასამართლოს მხრივ, მოქალაქის უკანონო იზოლაციის ყოველი ფაქტი იწვევს სამართლიან აღშფოთებასა და უკმაყოფილებას. ეს კი სახელს უტეხს საბჭოთა სასამართლოს, სოციალისტურ კანონიერებას.

მართალია უკანასკნელ ხანებში შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ადგილი საქმეთა განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას. 1 წელი და 4 თვე გაგრძელდა მარნეულის სახალხო სასამართლოში ვ. სიმონიანისა და გ. მერაბიშვილის საქმის განხილვა. ამ ხნის განმავლობაში სამსჯავრო სხდომა 12-ჯერ დაინიშნა და გადაიდო. ამის გამო სახალხო მოსამართლე ე. კაზაროვი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დისციპლინური კოლეგიის მიერ მკაცრად დაისაჯა. თეთრიწყაროს სახალხო სასამართლოში 1 წელი ჭიანურდებოდა გ. სიმონიანის ბრალდების საქმე. ამ ხნის განმავლობაში პროცესის მოუშუადებლობის გამო სამსჯავრო გამოძიება 9-ჯერ ჩაიშალა. თეთრიწყაროს სახალხო სასამართლოს მუშაობის პრაქტიკაში ასეთი ფაქტები ერთეული როდია. საქარ-

ოველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დისციპლინურმა კოლეგიამ იმსჯელა ამის შესახებ და თეთრიწყაროს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. და-დეშქელიანი მკაცრად დასაჯა.

ზნირია აგრეთვე სამოქალაქო საქმეთა განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურების შემთხვევები. ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოში გ. გოგსაძის სამოქალაქო საქმეზე ახალციხის სატყეო მეურნეობასთან ხელფასის გადახდევინების შესახებ, სამსჯავრო სხდომა 14-ჯერ დაინიშნა და ჩაიშალა. საბოლოოდ საქმე განხილულ იქნა მხოლოდ ერთი წლისა და 5 თვის შემდეგ. ვტიქრობთ, კომენტარები ზედმეტია.

ვ. ი. ლენინი ჩვენი სახელმწიფოს საშიშ მტრებად მიიჩნევდა სოციალისტური საკუთრების, სახალხო დოვლათის დამტაცებლებსა და გამფლანგველებს; ვ. ი. ლენინი სპეციალურ მითითებას აძლევდა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს გადაჭრით გაეძლიერებინათ ბრძოლა დამტაცებელთა წინააღმდეგ, სწრაფად გაერჩიათ აღძრული საქმეები, მკაცრად დაესაჯათ დამნაშავეები და განაჩენები გამოექვეყნებინათ პრესაში. იგი მოითხოვდა, რომ „არც ერთი ასმანეთიანი, რომელიც უმართებულოდ ჩავარდა ვისმეს ხელში, არ ასცდეს უკანვე სახელმწიფო ხაზინას“¹.

სამწუხაროდ, გასულ 1962 წელს, გამოვლინებულ გამფლანგველთა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა მიერ მითვისებული თანხის რაოდენობა სოლიდურია.


მართალია დამნაშავენი სასტიკად დაისაჯნენ, მაგრამ სახელმწიფოზე მიყენებული ზარალის ანაზღაურება ჯერ კიდევ არასაკმარისია. ამჟამად ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმის გამოსასწორებლად.

სასამართლო ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით ცალკეულ დამნაშავეთა მიმართ ლმობიერების გამოჩენის ფაქტებს. 1961 წლის 2 დეკემბერს მოქალაქე მ. კოკიჩაიშვილმა თვითმცლელი ავტომანქანა დააჯახა მოქალაქე ე. ბაკაევას, რის შედეგადაც უკანასკნელი ადგილზე გარდაიცვალა. მ. კოკიჩაიშვილის ბრალდების საქმე განიხილა ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც დამნაშავედ სცნო იგი და მიუსაჯა 1 წლით შრომა-გამასწორებელი მუშაობა. სახალხო სასამართლოს განაჩენი მ. კოკიჩაიშვილის მიმართ, როგორც ლმობიერი, გაუქმებულია.

კიდევ მეტი: დმანისის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ე. მატეოსიანი) ვინმე ზ. გაბრიელოვს, რომელმაც ცინიკურ ფორმებში ჩაიდინა ხულიგნობა და ამავე დროს მილიციის მუშაკს მიაყენა შეურაცხყოფა, მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი, როგორც ლმობიერი, გაუქმებულ იქნა და საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე აფხაზავა). მოსალოდნელი იყო, რომ სასამართლო გამოსასწორებდა დმანისის რაიონის სახალხო სასამართლოს აღრე დაშვებულ შეცდომას—ხულიგანს საკადრის სასჯელს მიუზღავდა, მაგრამ მოხდა პირიქით, სასამართლომ გაბრიელიანს არა თუ მიუმატა სასჯელი, არამედ განაჩენით მას განუსაზღვრა პირობით გამოსაცდელი ვადა.

ლმობიერი განაჩენის გამოტანის შემთხვევებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოში სახელმწიფო

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 27, გვ. 359.



ქონების დამტაცებელთა მიმართ (მოსამართლე ე. ნამორაძე), ამასთან ერთად ჯერ კიდევ აქვს ადგილი აშკარად შეუსაბამოდ მკაცრი და უკანონო განაჩენების გამოტანის ფაქტებსაც.

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ მოსწავლეებს დ. ბერძენიშვილსა და ო. ახალკაცს 2 ქათმისა და 2 ინდაურის მოპარვისათვის მიუსაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის, რომ ბერძენიშვილი და ახალკაცი პირველად იყვნენ ნამყოფი პასუხისგებაში, არ გაითვალისწინა იმ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის შუამდგომლობა, სადაც ეს ახალგაზრდები სწავლობდნენ და მოათავსა ისინი ციხეში. სწორედ მოიქცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი, როდესაც ბერძენიშვილსა და ახალკაცს სასჯელი ჩაუთვალა პირობითად, ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლა და აღსაზრდელად გადასცა იმ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, სადაც ეს ახალგაზრდები სწავლობდნენ.

სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითები სასამართლოების მუშაობის პრაქტიკაში მრავალია.

მართალია წინა წლებთან შედარებით რესპუბლიკაში დამაკმაყოფილებელია განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილობა, მაგრამ ცალკეული რაიონების სახალხო სასამართლოებს ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ. ხშირად ადგილი აქვს საქმეთა უსაფუძვლოდ აცილების შემთხვევებს. ზოგიერთ სახალხო სასამართლოში საქმეებს იხილავენ მოუმზადებლად, მხარეთა გამოწვევის გარეშე. ზოგიერთ რაიონში, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მთლიანად მივიწყებულია სახალხო მსაჯულებთან მუშაობა, ზოგიერთი მოსამართლე ნაკლებად მუშაობს თავის თავზე.

ყოველივე ამას მიყევართ სერიოზული ხასიათის შეცდომებამდე, კანონის უხეშ დარღვევამდე, ზოგჯერ კუროზულ შემთხვევებამდეც კი. სხვა რით უნდა აიხსნას ცხინვალის რაიონის სახალხო მოსამართლე მუხაევის მოქმედება, რომელმაც სამართალში მიცემულ რ. ვ. კაკოევის საქმის განხილვის დროს (რომელსაც ქურდობისათვის 3 წელი და 6 თვე მიუსაჯეს), ვერ უზრუნველყო სამართალში მიცემული დაცვით, მაშინ, როდესაც სამსჯავრო გამოძიებაში მონაწილეობდა პროკურორი.

ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოში (მოსამართლე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ნ. ბულასკირია) გ. სურმაგას საქმის განხილვის დროს, მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში (მოსამართლე ი. მამედოვი) და ა. შ.

გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ნ. ჯანჯღავა) 1962 წლის 20 დეკემბრის განაჩენით გაუპატიურებისათვის მსჯავრდებული ა. კომაროვი ვადამდე ადრე პირობით გაანთავისუფლა პატიმრობის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ მაშინ, როდესაც სსკ 54 მუხლის შესაბამისად სსკ 117 მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულთა მიმართ საჭიროა სასჯელის 2/3 მოხდა.

ნაკლოვანებებზე ლაპარაკი სახალხო სასამართლოების მუშაობაში კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ზემონათქვამი საკმარის წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, რომ ანალიზი გაუკეთოთ ძირითად ხარვეზებს და დავსახოთ კონკრეტული დონისძიებანი სასამართლო ორგანოებში ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

რა კეთდება ამ მხრივ უმალეს სასამართლოს ხელმძღვანელობის მხრივ სასამართლო ორგანოების საქმიანობის ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის?

ამჟამად მთელი ჩვენი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რათა ავამაღლოთ სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი მნიშვნელობა. საქმის განხილვაში უფრო ხშირად უნდა მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ბრალმდებლები და საზოგადოებრივი დამცველები. სისტემატურად მოეწყობა გამსვლელი პროცესები საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში. განსაზღვრული გვაქვს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები კონკრეტულ საქმეებზე უშუალოდ გავაცნოთ იმ ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებს, სადაც ჩადენილია დანაშაული.

სახალხო სასამართლოებისადმი უფრო მეტი დახმარების მიზნით ადგილებზე სისტემატურად გაიზავნებიან უმალესი სასამართლოს წევრები; ისინი სათანადო დახმარებას გაუწევენ სახალხო მოსამართლეებს კანონისა და პროცესუალური ნორმების დარღვევების გამოვლინებაში, გაუწევენ სასამართლოს მუშაებს კონსულტაციებს კანონების სწორად შეფარდებისა და ცალკეული საქმეების ირგვლივ, რაც სახალხო მოსამართლეებს აქვთ წარმოებაში.

საბჭოთა მოსამართლე ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ იგი სრულყოფილად უნდა ერკვეოდეს თუ რა არის ახალი საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში, კარგად უნდა იცნობდეს საბჭოთა მეცნიერების, ხელოვნების მიღწევებს, თვალყურს უნდა ადევნებდეს ჩვენი დიადი ცხოვრების მაჯისცემას. მათთვის სისტემატურად მოეწყობა იურიდიული ხასიათის სემინარები, წაკითხული იქნება ლექციების კურსი ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებზე, მოსამართლის ეთიკაზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე და სხვ. უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. საქართველოს სსრ უმალესი სასამართლოს 29 წევრი გაერთიანებულია პარტიის თბილისის კომიტეტთან არსებულ კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის უნივერსიტეტში. მოსამართლეები უფრო ხშირად გამოვლენ საანგარიშო მოზენებებით ამომრჩეველთა წინაშე. განმტკიცდება კავშირი მსხვილ საწარმოებთან, სადაც ჩავატარებთ იურიდიულ კითხვა-პასუხის საღამოებს. ერთი ასეთი იურიდიული კითხვა-პასუხის საღამო ამას წინათ მოეწყო ქ. თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმუნებელ ქარხანაში. სხდომაზე მოსულ 200-მდე კიროველს გაეწია მათთვის საინტერესო საკითხებზე იურიდიული ხასიათის კონსულტაცია. ასეთივე ხასიათის იურიდიული კითხვა-პასუხის საღამო უახლოეს დღეებში მოეწყობა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. მსხვილ საწარმოებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნება იურიდიული საგუშაგოები. ყოვე-

ლივე ამ ღონისძიების გატარება იქნება ვ. ი. ლენინის იმ მითითების ცნობ-
 რებაში განხორციელება, რომ საჭიროა მუშათა და გლეხთა ფართო მასები აღ-
 ვზარდოთ კანონიერების დაცვაში დამოუკიდებელი სწრაფი და საქმიანი მონა-
 წილეობის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში, რო-
 მელიც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო იქნა მიღებული 1962 წლის
 23 ნოემბერს, საზგასმითაა აღნიშნული — „პარტიულ-სახელმწიფო კონტრო-
 ლის ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს პარტიისა და სა-
 ხელმწიფოსათვის დახმარების გაწევა სკკპ პროგრამის შესრულებაში, პარტიი-
 სა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმების ორგანიზაციაში,
 კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, პარ-
 ტიულ და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების და-
 ცვაში“.

ამის განხორციელებაში საბჭოთა იურისტებიც შეიტანენ თავიანთ წვლილს.



სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საუბეპლის საკითხისათვის საჭიროა სისხლის სამართალი

უ. კობიაშვილი

საბჭოთა სისხლის სამართალში ერთ-ერთი ძირითადი და ამასთან უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემაა ის, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლად პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში კრიმინალისტთა უმრავლესობა აღიარებს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველს საბჭოთა სისხლის სამართალში წარმოადგენს პირის მოქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არსებობა¹. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მიღების შემდეგ, ზოგიერთმა კრიმინალისტმა ეჭვის ქვეშ დააყენა ამ დებულების სისწორე², ხოლო პროფ. ბ. ს. უტევესკის აზრით ახალი კანონმდებლობა თითქოს პირდაპირ უარყოფს ამ შეხედულებას და საფუძვლების მე-3 მუხლი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის საფუძვლად არ თვლის მხოლოდ დანაშაულის შედგენილობას³.

ეს ავტორები დანაშაულის შედგენილობის, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის უარყოფისას, ეყრდნობიან შემდეგ არგუმენტებს:

ჯერ ერთი, ისინი თვლიან, რომ ყველა იმ პირის მიმართ, რომელთა მოქმედებაშიც ადგილი აქვს დანაშაულის შედგენილობას ყოველთვის არ გამოიყენება სისხლის სამართლის სასჯელი.

მეორე არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგჯერ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება და სასჯელი ეფარდება ისეთ პირსაც, რომლის მოქმედებაშიც ადგილი არა აქვს დანაშაულის შედგენილობას.

¹ А. Н. Трайнин. Понятие преступления и состав преступления, «Советское государство и право» 1955, № 1, стр. 48.

Н. Д. Дурманов. Стадии совершения преступления по советскому уголовному праву Госюриздат, М., 1955, стр. 30. «Советское государство и право» — 1955, № 2. Передовая, стр. 5.

А. А. Пионтковский. Основание уголовной ответственности. «Советское государство и право», 1959, № 11, стр. 48.

М. Д. Шаргородский, В. Г. Смирнов. Уголовное право. Сорок лет советского права (1917—1957 гг.). т. II. Изд. ЛГУ, стр. 511.

А. А. Герцензон. Об основах уголовного законодательства Союза ССР и союзных республик. Госюриздат, М., 1959, стр. 22.


М. Д. Шаргородский. Некоторые вопросы общего учения о соучастии. «Правоведение», 1960, № 1, стр. 88.

М. И. Ковалев, Е. А. Флоров, М. А. Ефимов. Основы уголовного законодательства Союза ССР и союзных республик. Практический комментарий. Свердловск, 1960, стр. 10—11.

М. А. Гельфер. Состав преступления, М., 1960 г. стр. 3; И. С. Алексеев, В. Г. Смирнов, М. Д. Шаргородский. Основание уголовной ответственности по советскому праву. «Правоведение». 1961, № 2, стр. 76, 77, 85.

² ასეთ ავტორებს ეკუთვნიან ბ. ს. ნიციფოროვი, ტ. ლ. სერგევევა, ა. ს. შლიაპოშნიკოვი, ა. ვ. კუზნეცოვი და ა. ბ. სახაროვი. იხ. „Важный этап в развитии советского права“. Труды научной сессии ВИЮН, М. 1960 г. стр. стр. 32, 144, 150, 160—161, 203.

³ Б. С. Утевский. Новые методы борьбы с преступностью. «Правоведение». 1961 № 2, стр. 71.



მესამე, თითქოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად დანაშაულის შედგენილობის აღიარება იწვევს დამნაშავე პიროვნების და მისი საზოგადოებრივი საშიშროების შეფუძასებლობას, რომ ანგარიში არ ეწევა პიროვნების დამახასიათებელ ისეთ უარყოფით და დადებით თვისებებს, რომლებსაც დანაშაულის შედგენილობა არ მოიცავს.

ტ. ლ. სერგეევა, უარყოფს რა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად დანაშაულის შედგენილობის აღიარებას, მიუთითებს რომ, როდესაც პირის მოქმედებაში ადგილი აქვს დანაშაულის შედგენილობას, ეს პირი ყველა შემთხვევაში არ შეიძლება ცნობილ იქნას ისეთ პირად, რომელმაც დაიმსახურა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და სასჯელი¹. პროფ. ბ. ს. უტევსკი უფრო დწვრილებით ჩერდება ამ საკითხზე. ეხება რა რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 51, 52 და 63 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებს (შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52, 53 და 64 მუხლები) პროფ. ბ. ს. უტევსკი აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში პირის ქმედობა ცნობილია დანაშაულად, ე. ი. ისეთ ქმედობად, რომელიც მოიცავს დანაშაულის შედგენილობას, მაგრამ ეს შედგენილობა გამოიყენება არა როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, არამედ როგორც საფუძველი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის (51 მუხლი), ან როგორც საფუძველი დამნაშავე პირის საზოგადოებრიობაზე გადაცემისათვის გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მიზნით (52 მუხლი), ან ბოლოს, როგორც საფუძველი აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებისათვის (მუხლი 63)².

უნდა დავეთანხმეთ პროფ. ბ. ს. უტევსკის იმ ჭეშმარიტებაში, რომ ზემოთ მოყვანილი შემთხვევის დროს პიროვნების მოქმედებაში ადგილი აქვს დანაშაულის შედგენილობას. მაგრამ ეს არაფერს არ ამბობს იმ ავტორების სასარგებლოდ, რომლებიც უარყოფენ დანაშაულის შედგენილობას, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველს. რადგან, თუ ვაღიარებთ რომ ამ შემთხვევებში ადგილი აქვს დანაშაულის შედგენილობას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმასაც, რომ ადგილი აქვს დანაშაულის ჩადენის ფაქტს. ხოლო ვინაიდან არ შეიძლება არსებობდეს არაბრალეული დანაშაული, მაშასადამე ადგილი აქვს დანაშაულის ბრალეულად ჩადენას და გამომდინარე აქედან თვით ბრალსაც. მაგრამ მიუხედავად ამისა არ ხდება პირის მიცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში და მის მიმართ არ გამოიყენება სასჯელი. მაშასადამე, მოსაზრება, რომელიც მათ მოყავთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად დანაშაულის შედგენილობის აღიარების საწინააღმდეგოდ, ეწინააღმდეგება აგრეთვე მათ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ასეთ საფუძვლად აღიარებულ უნდა იქნას დანაშაულის ჩადენა, დანაშაულის ბრალეულად ჩადენა ან ბრალი.

ამ ავტორებს არასწორად ესმით იმ დებულების შინაარსი, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ დანაშაულის შედგენილობის არსებობა პირის მოქმედებაში. ამ დებულებიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ პირის მოქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არსებობა თითქოს აუცილებლობით უნდა იწ-

¹ Важный этап в развитии советского права. «Труды научной сессии ВЮОН, М., 1960, стр. 144.

² Б. С. Утевский. Новые методы борьбы с преступностью. «Правоведение», 1961, № 2. стр. 70.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ვევდეს ასეთი პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს დასკვნა მცდარია; მას ვერ დაეთანხმებიან თვით ის კრიმინალისტებიც, რომლებიც პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად დანაშაულის შედგენილობას აღიარებენ. დებულებიდან, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი არის პირის მოქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არსებობა, შეიძლება გამოტანილ იქნას ერთადერთი სწორი დასკვნა, რომ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ მის მოქმედებაში არ არის დანაშაულის შედგენილობა. არ შეიძლება მტკიცება იმისა, რომ 51-ე 52-ე და 63-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში თითქოს არ გვქონდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ამ შემთხვევებში სახეზეა ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის შედგენილობა, რითაც ადგენენ პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს. გამომდინარე აქედან სახეზეა ბრალიც; აღნიშნულზე თვით ტ. ლ. სერგეევა მიუთითებს „პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენა წარმოადგენს ამავე დროს მისი ბრალის არსებობის დამტკიცებას“¹.

მაშასადამე 51-ე, 52-ე, 63-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახეზეა პირის მოქმედებაში დანაშაულის შედგენილობა და არსებობს სრული საფუძველი მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მაგრამ ამასთან ერთად საკანონმდებლო წესით განსაზღვრულია გარკვეული პირობები და გარემოებები, რომელთა დროს როგორც ამ მუხლების შინაარსიდან გამომდინარეობს, შესაძლებელია და არა აუცილებელი ასეთ პირთა შიშვით კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენება.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირის მოქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არსებობა განაპირობებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც პირის მოქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არარსებობა განაპირობებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაუშვებლობას. დანაშაულის შედგენილობა არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობა, მაგრამ კანონმდებლის მიერ დადგენილ გარკვეულ პირობებსა და გარემოებებში პასუხისმგებლობა შეიძლება არ იყოს ამ პირობის აუცილებელი შედეგი. ეს კი არაფერს არ ცვლის დებულებაში, რომ დანაშაულის შედგენილობა არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი.


რაც შეეხება ავტორთა მეორე მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზოგჯერ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება და სასჯელი შეეფარდებათ ისეთ პირებსაც, რომელთა მოქმედებაშიც ადგილი არა აქვს დანაშაულის შედგენილობას, ასეთ შემთხვევებზე ისინი მიიჩნევენ დანაშაულის მომზადებას, დანაშაულის მცდელობას და დანაშაულში თანამონაწილეობას².

სავსებით სწორად უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა კრიმინალისტების ერთი ნაწილის აზრი იმის შესახებ, რომ დანაშაულის მომზადების, მცდელობისა და დანაშაულში თანამონაწილეობის დროს სახეზეა დანაშაულის შედგენილობა,

¹ «Важный этап в развитии советского права». Труды научной сессии ВИЮН, М., 1960. стр. 145.

² Б. С. Утевский, Новые методы борьбы с преступностью, «Правоведение», 1961. № 2, стр. 63.

Б. С. Никифоров, «Важный этап в развитии советского права. Труды научной сессии, ВИЮН М., 1960, стр. 32, А. В. Кузнецов, там же стр. 161.



რომ ამ შემთხვევებში დანაშაულებრავედ აღიარებულია გარკვეულ თავისებურებათა მქონე მოქმედებანი და რომ ამ თავისებურებათა გამო კანონმდებელს საკანონმდებლო მასალის უკეთესი განლაგებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნია მათი მოთავსება სისხლის სამართლის კოდექსების ზოგად ნაწილში¹.

დანაშაულის მომზადების, მცდელობისა და დანაშაულში თანამონაწილეობის დროს დანაშაულის შედეგნილობის არსებობის ფაქტის დასაბუთება სცილდება აღნიშნული სტატიის ფარგლებს და მასზე არ შეეჩერდებიან. მხოლოდ, თუ ასეთ შემთხვევებში არ არის დანაშაულის შედეგნილობა, მაშინ არ არის არც დანაშაული. მათსადაამე გამოვა, რომ ამ მოქმედებებს არ მოიცავს საფუძვლების მე-3 მუხლი, რაც თავისთავად უნდა გამოირიცხავდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება მესამე არგუმენტს, თითქოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად დანაშაულის შედეგნილობის აღიარებას სამართლოების ყურადღება გადააქვს ძირითადად მხოლოდ დანაშაულის შედეგნილობის დადგენის ფაქტზე და ყურადღების გარეშე რჩება დანაშაულის შედეგნილობის გარეთ მდგარი არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, განსაკუთრებით კი გარემოებანი, რომლებიც ახასიათებენ დამნაშავის პიროვნებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს, ეს არის შეცდომები დაშვებული სასამართლო პრაქტიკაში.

დანაშაულის შედეგნილობის გარეთმდგომი გარემოებანი, რომლებიც მხედველობაში აქვთ აღნიშნულ ავტორებს, გავლენას ახდენენ კანონით უკვე გაპირობებულ პასუხისმგებლობის ხარისხზე და ამდენად წარმოადგენენ არა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, არამედ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის საფუძველს. ის სუბიექტური და ობიექტური გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას, საფუძვლად ედება სასჯელის კონკრეტულ ღონისძიებას, მის ოდენობას, ხასიათსა და სახეს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად დანაშაულის შედეგნილობის აღიარება არ ნიშნავს ყურადღების ცენტრის მთლიან გადატანას სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში მოთავსებულ ცალკეულ შედეგნილობებზე და ზოგად ნაწილში მოცემული დებულებების მნიშვნელობის შემცირებას. როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ა. ა. პიონტოვსკი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის შედეგნილობის დადგენისათვის საჭიროა საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტთა სწორი გაგება².

ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას, დამნაშავე პირისადმი სასჯელის შეფარდების დროს სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს ზოგად ნაწილში მოცემული დებულებებით. სასამართლო უნდა დაეყრდნოს საფუძვლების 32 მუხლით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37 მუხ-

¹ Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву. Госюриздат, 1955, стр. 29, 31, 42—49. А. А. Пионтковский, Основание уголовной ответственности. «Советское государство и право», 1959, № 11, стр. 58. М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии. «Правоведение», 1960 № 1, стр. 88. А. И. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права. «Правоведение», 1960, № 1, стр. 103, Н. С. Алексеев, В. Г. Смирнов, М. Д. Шаргородский, Основание уголовной ответственности по советскому праву. «Правоведение», 1961, № 2, стр. 79.

² А. А. Пионтковский. Вопросы общей части уголовного права в практике судебно-прокурорских органов. Госюриздат, М., 1954, стр. 36.

ლი) გათვალისწინებულ სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს და 334-ე და 334-ე მუხლებში მითითებულ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38, 39 მუხლები) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით და მომდევნო მუხლებში მოცემული სასჯელის დანიშვნის წესების მიხედვით განუსაზღვროს დამნაშავე პირს სასჯელის სახე და ოდენობა. საკითხისადმი ასეთი მიდგომისას სასამართლოს თვალთახედვის გარეშე არ დარჩება არც სუბიექტური და არც ობიექტური გარემოებანი, რომლებიც დანაშაულის შედგენილობის გარეთ დგანან და გავლენას ახდენენ პასუხისმგებლობის საკითხზე. აქვს კი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად დანაშაულის შედგენილობის აღიარებასთან არაფერი საერთო არა აქვს. ამ უკანასკნელს არ შეიძლება მიეწეროს სასამართლო პრაქტიკაში დამნაშავეს პიროვნების დამახასიათებელ თავისებურებებისადმი არასათანადო ყურადღების გამოჩენის სახით დაშვებული შეცდომები.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სავსებით სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ისეთ გარკვეულ საფუძველზე უარის თქმა, როგორცაა დანაშაულის შედგენილობა და ასეთ საფუძველად ბრალის ან დანაშაულის ბრალეულად ჩადენის აღიარება, საკითხის ზელოვნური გართულების გარდა, ახალს არაფერს იძლევა. მაგალითად თავისთავად სწორია ბ. ს. ნიკიფოროვის აზრი, რომ ბრალეულია ის, ვინც ჩაიდინა დანაშაული, და პირიქით, ის ვინც დანაშაული ჩაიდინა ბრალეულია¹. მაგრამ იგი არ ლაპარაკობს მათ სასარგებლოდ ვინც უარყოფს დანაშაულის შედგენილობას, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველს. პირიქით თუ იმ ფაქტის დადგენით, რომ ჩადენილია დანაშაული, წყდება მისი ჩამდენი პირის ბრალეულობის საკითხი, მაშინ თავისთავად ხდება პასუხისმგებლობის საფუძველად დანაშაულის შედგენილობის აღიარება, რადგან თავის მხრივ დანაშაულს წარმოადგენს თუ არა მოცემული მოქმედება, წყდება მასში ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის შედგენილობის ნიშნების დადგენის გზით.

გარდა ამისა, თუ ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ საფუძველების მე-3 მუხლი არ ხმარობს ტერმინს „დანაშაულის შედგენილობა“, არ შეიძლება უყურადღებოდ დაეტოვოთ, რომ ეს მუხლი, პირად, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში თვლის მას, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. მაშასადამე, საფუძველების მე-3 მუხლიდან გამომდინარეობს ბრალის, როგორც მოქმედების შედეგისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გაგება. ასეთი გაგებით კი ბრალს მთლიანად მოიცავს დანაშაულის სუბიექტური მხარე, როგორც შედგენილობის ერთ-ერთი ნიშანი. გამომდინარე აქედან, რასაკვირველია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველად დანაშაულის შედგენილობის აღიარება არ ნიშნავს ბრალის მნიშვნელობის უარყოფას. დანაშაულის შედგენილობის ცნების ქვეშ არ შეიძლება ვიგულისხმოთ მხოლოდ ის ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ქმედობის მხოლოდ გარეგან მხარეს. შეიძლება სახეზე გვქონდეს პიროვნების ისეთი მოქმედება და ამ მოქმედებით გამოწვეული ისეთი შედეგი, როგორც ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლის დისპოზიციაში, მაგ-

¹ «Важный этап в развитии советского права» Труды научной сессии ВЮОН, М., 1960, стр. 204.

რამ თუ სუბიექტს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების შედეგები (ან იმიტომ, რომ თვით პიროვნებას არ ჰქონდა ამის უნარი ან გარკვეული პირობების და გარემოებების გამო გამორიცხული იყო ასეთი გათვალისწინების შესაძლებლობა) და მამასადამე, არ სურდა ეს შედეგი და არც შეგნებულად უშვებდა მის დადგომას, მაშინ სახეზე არა გვაქვს დანაშაულის შედგენილობა და გამომდინარე აქედან არც საფუძველი პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მამასადამე, ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაულის შედგენილობა. მაგრამ მეორეს მხრივ დანაშაულის შედგენილობის არსებობა არ შეიძლება განპირობებული იყოს მხოლოდ ბრალის არსებობით, როგორც სავსებით სამართლიანად შენიშნავს პროფ. თ. წერეთელი... „თვით ბრალიც სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობით მარტო მაშინ შეიძლება იქნეს გამოვლინებული, როდესაც იგი გარეგან მოქმედებაში გამომჟღავნდა“¹. საბჭოთა სისხლის სამართლისათვის უცხოა პასუხისმგებლობა ე. წ. „შიშველი ბრალისათვის“, როდესაც სახელმწიფოს დასჯითი მოღვაწეობის ობიექტად ხდება არა პიროვნების დანაშაულებრივი მოქმედება, არამედ მისი დანაშაულებრივი განწყობილება. რამდენადაც სახელმწიფოს დასჯითი მოღვაწეობის ობიექტს წარმოადგენს დანაშაული, დანაშაული კი თავის მხრივ აისახება ადამიანის გარკვეული სახის მოქმედებაში, ხოლო მოქმედებას, როგორც ფიზიოლოგიურ აქტს იძლევა გარეგანი, ფიზიკური და შინაგანი ფსიქიკური ნიშნების ერთიანობა, ამდენად არ შეიძლება არც ერთი მათგანის მნიშვნელობის უგულებელყოფა ან რომელიმე მათგანის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. მამასადამე, დანაშაულის ცნების ქვეშ იგულისხმება ადამიანის მოქმედება თავისი გარეგანი, ფიზიკური და შინაგანი ფსიქიკური მხარეების ერთიანობით. დანაშაულის შედგენილობა კი კანონმდებლის მიერ დანაშაულებრივად და, მამასადამე, დასჯადად აღიარებულ მოქმედებათა ისეთ დახასიათებას გვაძლევს, რომელშიც კონკრეტულ ასახვას პოულობს მოქმედების ეს ორივე მხარე. ზოგჯერ მოქმედება დანაშაულებრივად აღიარებული მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია ბრალის მხოლოდ განსაზღვრული ფორმით. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი ითვალისწინებს სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებას. იმისათვის რათა პირი, რომელმაც მოქალაქეს მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება მივცეთ სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში, უნდა დადგინდეს, რომ ეს მოქმედება ჩადენილია განზრახ ბრალით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც სხეულის მსუბუქი დაზიანება მიყენებულია გაუფრთხილებლობით, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა გარეგანი ქმედება და გაუფრთხილებელი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი, არა გვაქვს დანაშაულის შედგენილობა და მამასადამე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რადგან მოცემული დანაშაულის შედგენილობა ბრალს, როგორც შედგენილობის ნიშანს, მოითხოვს მისი კონკრეტული ფორმით, კერძოდ, განზრახვის ფორმით.

გარდა ამისა, ხშირად მოქმედების დანაშაულებრიობას განპირობებენ შედგენილობის ისეთი ნიშნები, რომლებიც უშუალოდ არ გამომდინარეობენ მოქმედების გარეგანი ან შინაგანი თავისებურებებიდან. ზოგჯერ ჩვეულებრივად დასაშვები მოქმედება დანაშაულად აღიარებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია კანონით გათვალისწინებულ გარკვეულ პირობებსა და გა-

¹ თ. წერეთელი, პასუხისმგებლობის საფუძველი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, თსუ შრომები, 1953 წ. ტ., 51 გვ. 159.

რემოებებში. მაგალითად იმისათვის, რომ გვეჩინდეს საფუძველი ექიმის, რომელმაც აბორტი გააკეთა, პასუხისმგებლობა მიეცეთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 123 მუხლის პირველი ნაწილით, საქიროა შედგენილობის ისეთი ნიშნის დადგენა, რომელიც გამოიხატება იმ ფაქტში, რომ აბორტი გაკეთებულ იქნა სამშობიარო სახლის გარეშე ან ანტისანიტარულ პირობებში. ამავე კოდექსის 181 მუხლის ძალით წყლით სარგებლობის წესების დარღვევა დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ჩადენილია სარწყავი მიწათმოქმედების რაიონში.

ზოგიერთ შემთხვევებში მოქმედების დანაშაულებრიობას განაპირობებს შედგენილობის ნიშანი, რომელიც გამოიხატება იმ ფაქტის დადგენაში, რომ მანამდე პირს ასეთივე მოქმედებისათვის დადებული ჰქონდა დისციპლინური სასჯელი ან მის მიმართ გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228 მუხლის მე-3 ნაწილით პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გვექნება მხოლოდ მაშინ, თუ წვრილმანი ხულიგნობა ჩადენილია იმ პირის მიერ, რომლის მიმართ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი ხულიგნობისათვის. თუ წვრილმანი ხულიგნობა ჩადენილია ისეთი პირის მიერ, რომლის მიმართ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ არ ყოფილა გამოყენებული ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ფორმითა და შინაარსით ის იგივე მოქმედებაა, რაც წინა შემთხვევაში, იგი არ ითვლება დანაშაულად, რადგან არ არის სახეზე მოცემული კონკრეტული შედგენილობისათვის კანონმდებლობით დაწესებული სპეციფიკური ნიშანი (იხ. აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე, 175-ე, 216-ე, 217-ე, 247-ე მუხლები); ე. ი. ფაქტურად, სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მოქმედების შედეგისადმი მხოლოდ მაშინ იღებს სისხლის სამართლებრივ მნიშვნელობას და ექვევება ბრალის ცნების ქვეშ, როდესაც სახეზეა მოცემული კონკრეტული შედგენილობის საკანონმდებლო წესით დადგენილი ყველა სხვა ნიშანიც. მაშასადამე, გარეგანი ქმედება და ბრალი დანაშაულის შედგენილობის აუცილებელი ნიშნებია ყველა შემთხვევაში, მაგრამ არც ცალ-ცალკე და სჭირად არც მხოლოდ მათი ერთობლიობა არ გვაძლევს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ აუცილებელ ნიშნებთან ერთად სახეზეა ამა თუ იმ შედგენილობისათვის კანონმდებლის მიერ დადგენილი სხვა ნიშნებიც და ისინი ისეთ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორც ეს ასახულია კანონში. მხოლოდ ამ ნიშანთა ერთობლიობა და მათი გარკვეული სახის ურთიერთობა განაპირობებენ მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას.


დანაშაულის შედგენილობა ის კრიტერიუმიცაა, რომლის საშუალებითაც ხდება დანაშაულებრივ და არადანაშაულებრივ ქმედობათა გამოიჯნა. თუ დანაშაულის ზოგად განმარტებაში (საფუძვლების მე-7 მუხლი) კანონმდებელი იძლევა განსაზღვრას, თუ როგორი მოქმედება ითვლება დანაშაულად, სისხლის სამართლის კოდექსების კერძო ნაწილის მუხლებში კონკრეტულ შედგენილობათა გათვალისწინებით კანონმდებელი თვითონვე განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელი მოქმედებები ითვლება დანაშაულად. ამით გაპირობებულია მოსამართლეთა სუბიექტურ მოსაზრებებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ შეცდომათა თავიდან აცილების გარანტია და უზრუნველყოფილია სოციალისტური კანონ-

ნიერების ზუსტი და განუხრელი განხორციელება. ცხადია, დანაშაულის შედგენილობის, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძვლის უარყოფა, საწინააღმდეგო შედეგებამდე მიგვიყვანდა.

საფუძვლების მიერ ანალოგიის უარყოფით ერთხელ კიდევ გავსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირის მოქმედებაში ადგილი აქვს განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის დისპოზიციაში გათვალისწინებულ შედგენილობას.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად დანაშაულის შედგენილობის არ აღიარება ეწინააღმდეგება კანონმდებლის ნებას, რადგან თუ საფუძვლების მე-3 მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს დანაშაულის შედგენილობაზე, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლზე, სამაგიეროდ ეს აზრი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გატარებულია მთელ რიგ სხვა ნორმებში. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ძალით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი) სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს „ქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არარსებობის გამო“. ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის თანამედროვე კონსტრუქციიდან (საფუძვლების მე-16 მუხლი, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი), რომლის თანახმად „იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას“. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213 მუხლის 1-ლი პუნქტი საბრალდებო დასკვნით შემოსულ საქმეზე პროკურორის მიერ გადასაჭრელ ერთ-ერთ საკითხად აღიარებს: „მომხდარია თუ არა ქმედობა, რომელიც ბრალდებულს ერაცხება, და არის თუ არა ამ ქმედობაში დანაშაულის შედგენილობა“. 230 მუხლის მე-2 პუნქტის ძალით მოსამართლემ ან სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის დროს თვითეული ბრალდებულის მიმართ უნდა განიხილოს საკითხი „ქმედობა, რომელიც ბრალდებულს ერაცხება, შეიცავს თუ არა დანაშაულის შედგენილობას“. 304 მუხლის მე-2 პუნქტი ავალდებულებს სასამართლოს განაჩენის დადგენის დროს გადაწყვიტოს საკითხი: „არის თუ არა ამ ქმედობაში დანაშაულის შედგენილობა და თუ არის, სისხლის სამართლის რომელი კანონით არის იგი გათვალისწინებული“. დასასრულ. ამავე კოდექსის 310-ე მუხლი კატეგორიულად მოითხოვს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, თუ „სამართალში მიცემულის ქმედობაში არ არის დანაშაულის შედგენილობა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ცხადი ხდება, რომ იმ დებულების სისწორის ეჭვის ქვეშ დაყენება, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ პირის მოქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არსებობა, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ხელოვნურად სადაო გავხადოთ საკანონმდებლო წესით უკვე გადაჭრილი, სისხლის სამართლის მეცნიერებაში საკმაოდ დასაბუთებული და სასამართლო პრაქტიკით შემოწმებული საკითხი.



**აქტიურობის მოგერიების წესები საქართველოს სსრ
სასამართლო პრაქტიკაში**

თ. შავჭულია

1. კანონმდებელი არ თვლის დანაშაულად ისეთ მოქმედებას, „რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მომგერიებლის ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით...“ (საქართველოს სსრ სს კოდექსის მე-15 მუხლის ნაწ. 1).

აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის მიზანია დაიცვას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან ის ურთიერთობანი, რომლებიც სასარგებლო და სასურველია სოციალისტური საზოგადოებისათვის. ეს ინსტიტუტი უთუოდ ხელს უწყობს სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას, რადგან იგი წარმოადგენს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას და პიროვნების უფლებათა დაცვის გარანტიას.

აუცილებელი მოგერიების შესახებ კანონის სწორად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკაში.

როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებაშია აღნიშნული, „ზოგიერთი სასამართლო ორგანოს მიერ აუცილებელი მოგერიების შესახებ კანონის არასწორი გაგება იწვევს შეცდომებს, ეს კი ზღუდავს მოქალაქეთა კანონით დადგენილ დაცვით უფლებას და ხელს უწყობს ხულიგნების, ძმარცველებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების დაუსჯელობის განწყობილების შექმნას, რაც იწვევს მოქალაქეთა კანონიერ გულისწყრომას და აძნელებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას“².

2. თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენება აუცილებელ მოგერიებად და ამიტომაც არასაზოგადოებრივად საშიშ მოქმედებად ითვლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ მომგერიებელი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ყველა პირობის დაცვით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი უფლებას აძლევს მოქალაქეს ზიანი მიყენოს თავდამსხმელს მხოლოდ „საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან“ ამა თუ იმ ინტერესის დაცვის დროს. ამგვარად კანონმდებელი აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოშობის ერთ-ერთ პირობად აყენებს თავდასხმის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს. აქედან გამომდინარე, მოქალაქეს აუცილებელი მოგერიების უფლება უჩნდება არა მხოლოდ დანაშაულებრივი თავდასხმის, არამედ ისეთი თავდასხმის დროსაც, რომელიც მართალია, არადანაშაულებრივია, მაგრამ ხასიათდება საზოგადოებრივი საშიშროებით (ასეთი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, შეურაცხადი პირის თავდასხმას).


3. აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის საჭიროა სახეზე იყოს საზოგადოებრივად საშიში თავდასხმა.

¹ „Социалистическая законность“, 1956, № 11, стр. 53.

2. საბჭოთა სამართალი № 1.

9145





საზოგადოებრივად საშიში თავდასხმა სახეზე არსებულად ითვლება მაშინ, როდესაც იგი დაიწყო და ჯერ არ დამთავრებულა, ანდა მაშინ, როდესაც თავდასხმა, მართალია, ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ შექმნილია მისი დაწყების რეალური საფრთხე. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება მიუთითებს, „აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა დგება არა მხოლოდ თვით თავდასხმის მომენტში, არამედ იმ შემთხვევებშიც, როდესაც სახეზეა თავდასხმის რეალური მუქარა“¹.

საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სასამართლო ორგანოები უგულებელყოფენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ამ მითითებას.

მაგალითისათვის მოვიტანოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 8 სექტემბრის № 2092 განჩინება ბ-ს საქმეზე.

ლაგოდების რაიონის სოფ. ულიანოვსკში განცალკევებულ ქოხში ცხოვრობდა 24 წლის ქალი ბ. თავის 3 წლის შვილთან ერთად (ბ-ს ქმარი საბჭოთა არმიის რიგებში იყო გაწვეული სამხედრო ვალდებულების მოსახდელად).

1960 წ. 4/VI გვიან ღამით ბ-ს საცხოვრებელ სახლთან მოვიდა უცნობი მამაკაცი და ცდილობდა კარის გაღებას. შეშინებულმა ბ-მ მორთო ყვირილი და უცნობი მიიმალა.

ბ-მ დახმარებისათვის მიმართა თავის მამამთილს, რომელიც ცალკე ცხოვრობდა. მამამთილმა ბ-ს მისცა ცალკულიანი თოფი ერთი ვაზნით და დაარია, თუ როგორ უნდა დაეცვა თავი ასეთი ძალადობის განმეორების შემთხვევაში.

1960 წლის 9 ივნისს ღამის 3-4 საათზე ბ-ს კარს კვლავ მოადგა უცნობი და ცდილობდა მის გაღებას. შეშინებულმა ბ-მ თოფი გაყო გატეხილი ფანჯრიდან და ფეხებში ესროლა მომხდურს, რომელმაც გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი და მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა (მოკლული აღმოჩნდა იმავე სოფლის მცხოვრები ტ.).

ლაგოდების რაიონის სახალხო სასამართლომ ბ-ს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით, როგორც განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებების გარეშე.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ბ-ს მოქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლზე, როგორც განზრახი მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

როგორც განჩინებაშია აღნიშნული, „საკასაციო საჩივრის მოთხოვნა წარდგენილი ბრალდების გადააკვალიფიცირების შესახებ საქართველოს სსრ სს კოდექსის 147-ე მუხლზე, ე. ი. მოქმედების ცნობა მკვლელობად აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით, არ არის სწორი და კოლეგია ვერ დააკმაყოფილებს, რადგან ფაქტიურად თავდამსხმელი არავინ არ ყოფილა. ტ-ს თავდასხმა კი არ უწარმოებია ამა თუ იმ იარაღით, არამედ მთვრალი მივიდა ბ-ს ბინის კარებზე და ცდილობდა მის გაღებას. ასეთ პირობებში არ იყო დაყენებული რეალური საფრთხე მსჯავრდებულის მიმართ“.

ჩვენი აზრით, კოლეგიის ეს განჩინება არ უნდა იყოს სწორი. თუ მხედვე-

¹ „Социалистическая законность“, 1956, № 11, стр. 53.

ლობაში მივიღებთ საქმის მთელ გარემოებას: თავდასხმის დროს, ადგილს, მოგერიებლის დაცვის უნარს, ბ-ს საცხოვრებელი ბინის მდგომარეობას (ქოხი, გატეხილი ფანჯრით და მორყეული კარებით), აგრეთვე იმას რომ თავდასხმას განმეორებითი ხასიათი ჰქონდა მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ბ. იმყოფებოდა რეალური საფრთხიშ წინაშე. ეს რეალური საფრთხე შესაძლებლობას აძლევდა მას გამოეყენებია აუცილებელი მოგერიების უფლება¹.

თუ თავდასხმა შეწყდა თავდამსხმელის ნებით ან მისი ნების გარეშე და არ არის თავდასხმის განმეორების რეალური საფრთხე, ანდა თავდასხმა დამთავრდა იმის გამო, რომ თავდამსხმელმა მიაღწია თავის მიზანს, მაშინ საზოგადოებრივად საშიში თავდასხმა აღარ ითვლება სახეზე არსებულად და აქედან გამომდინარე, ისობა თვით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა.

1954 წლის 28 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში მოქ. ბ. დანით ხელში მოსაკლავად დაედევნა მოქ. გ-ს. ამ უკანასკნელმა წაართვა თავდამსხმელს დანა, გადააწვინა იგი ტომრებზე და წართმეული დანით კისერში რამდენჯერმე დარტყმით მოკლა ბ.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ გ-ს მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც განზრახ მკვლელობა ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1955 წ. 28/IV № 900 განჩინებით აღნიშნული განჩინება ძალაში დატოვა.

კოლეგიის აზრით, ბ-ს მოკვლის დროს გ. აღარ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში „ვინაიდან მან ბ-ს დანა ჩაართვა იმ მომენტში, როდესაც იგი ტომრებზე ჰყავდა გადაწვენილი და ამდენად მას ბ-საგან საშიშროება აღარ მოელოდა“.

ჩვენი აზრით, საქმის ამგვარი გადაწყვეტა სწორია. გ. მოგერიების მდგომარეობაში იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ბ. მას დანით ხელში თავს ესხმოდა. მას შემდეგ, რაც გ-ს აქტიური მოქმედების შედეგად ბ-ს თავდასხმა ნეიტრალიზირებული იქნა, შეწყდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაც. აქედან გამომდინარე გ. მომგერიებელიდან თვით იქცა თავდამსხმელად და მის მიერ ბ-ს მოკვლა აღარ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელებად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბერის დადგენილების თანახმად აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა არ შეიძლება შეწყვეტილად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენება ხდება უშუალოდ თავდასხმის დამთავრების შემდეგ ისე, რომ მომგერიებლისათვის არ იყო ნათელი თავდასხმის დამთავრების მომენტი².

ჩვენი აზრით, აღნიშნული დებულება მოითხოვს გარკვეულ დაზუსტებას.

საქმე იმაშია, რომ პირის ფსიქიკურმა დამოკიდებულებამ თავის მოქმედე-

¹ ჩვენი აზრით აღწერილ შემთხვევაში კოლეგიას უნდა ემსჯელა არა იმაზე, ჰქონდა თუ არა ბ-ს აღნიშნულ ვითარებაში მოგერიების უფლება, არამედ მეორე საკითხზე, სახელდობრ, შეესაბამებოდა თუ არა დაცვის ხასიათი თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას, ე. ი. ჰქონდა თუ არა ადგილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტებას.

² იხ. „Социалистическая законность“, 1956, № 11, стр. 54.

ბის მიმართ შეიძლება იმოქმედოს მისი პასუხისმგებლობის საკითხზე, მაგრამ მან არ შეიძლება შეცვალოს ობიექტური რეალობა.

თუ თავდასხმა დამთავრდა და ამდენად ობიექტურად აღარ არსებობს მოგერიების მდგომარეობა, არ შეიძლება ამ ფაქტისადმი პირის ფსიქიკურმა დამოკიდებულებამ შეცვალოს ობიექტური სინამდვილე და კვლავ ჩააყენოს პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

ასეთ პირობებში პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი არის არა ის, რომ მოქმედება საზოგადოებრივად საშიში არ არის, არამედ ის, რომ იგი არ არის ბრალეული. აქედან გამომდინარე საკითხი იმ პირის პასუხისმგებლობისა, ვინც თავდასხმის მოგერიების მიზნით ზიანი მიაყენა „თავდამსხმელს“ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შეწყვეტის შემდეგ, უნდა გადაწყდეს ბრალის ასპექტში: თუ პირი არ ითვალისწინებს და არც შეუძლია გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ თავდასხმა დამთავრდა და სამართლებრივი ობიექტის დაცვის მიზნით ზიანს აყენებს თავდამსხმელს, მაშინ ასეთ მოქალაქეს ბრალი არ მიუძღვის საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენაში და ამიტომ იგი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირი არ ითვალისწინებს, მაგრამ შეეძლო და მოვალეც იყო გაითვალისწინებია, რომ თავდასხმა დამთავრებულია და სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნით ზიანი მიაყენა „თავდამსხმელს“, ხელყოფის დამთავრების შემდეგ, იგი გაუფრთხილებლობით ჩადის დანაშაულს და მან პასუხი უნდა აგოს ასეთი ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენებისათვის.

თუ პირმა იცის, რომ თავდასხმა დამთავრებულია და, მიუხედავად ამისა, ზიანს აყენებს მოქალაქეს, რომელიც დასაცავ ობიექტს თავს აღარ ესხმის, მაშინ იგი განზრახ ჩადის დანაშაულს და ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც განზრახი დანაშაული.

4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნით თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენება მართლზომიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად თვლის „დაცვის აშკარა შეუსაბამობას ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან“ (მე-15 მუხლის 11 ნაწ.).

დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან პრაქტიკულად შეიძლება ორგვარი იყოს: პირველი — როდესაც დარღვეულია თანაფარდობა დაცვისა და თავდასხმის ინტენსიობას შორის, და მეორე — როდესაც თავდამსხმელისათვის მიყენებული ზიანი აშკარად არ შეესაბამება თავდასხმისაგან მოსალოდნელ ზიანს¹.

¹ პროფესორები მ. შარგოროდსკი და ვ. მენშაგინი, დოც. ვ. კირიჩენკო, ზ. ვიშინსკაია და სხვ. დაცვისა და თავდასხმის ინტენსიობის შესაბამისობის კრიტერიუმთან ერთად აყენებენ ინტერესთა თანაფარდობის კრიტერიუმს.

М. Д. Шаргородский, Преступление против жизни и здоровья, М. 1948, (стр. 239; В. Д. Меншагин, З. А. Вишинская, Советское уголовное право, 1960, стр. 124; В. Кириченко, Основные вопросы учения о необходимой обороне в советском уголовном праве, М., 1948, стр. 71.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ მიუთითებს ინტერესთა თანაფარდობის მოთხოვნაზე აუცილებელი მოგერიების ცნების განსაზღვრის დროს.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამ შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობიდან გამორჩა ამ მომენტის ფიქსირება, რადგან „ინტერესთა თანაფარდობის“ მოთხოვნა საგანგებოდ არის გათვალისწინებული უკიდურესი აუცილებლობის ცნებაში (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი).

ახალი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის კომენტატორებს დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან ესმით როგორც დაცვისა და თავდასხმის ინტენსიობის შეუსაბამობა და არა როგორც შეუსაბამობა ფაქტიურად მიყენებულ და მოსალოდნელ ზიანს შორის¹.

ამგვარად, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობად არ აყენებს ინტერესთა თანაფარდობის მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, თეორიულად მცდარი და პრაქტიკულად გაუმართლებელია მოქმედების ცნობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტებად მხოლოდ იმ საბაბით, რომ თავდამსხმელისათვის მიყენებული ზიანი აშკარად აღემატება მოსალოდნელ ზიანს².


საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი მოგერიება, როდესაც მომგერიებელი თავდამსხმელს აყენებს გაცილებით მეტ ზიანს, ვიდრე ეს კონკრეტულ სიტუაციაში საჭირო იყო თავდასხმის მოსაგერიებლად. როდის გვაქვს დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან, ე. ი. როდის არის აშკარად დარღვეული თანაფარდობა დაცვისა და თავდასხმის ინტენსიობას შორის — ეს ფაქტის საკითხია და იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებოდ უნდა გადაწყდეს.

ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა არა მარტო აუცილებელი მოგერიების ბუნების ცოდნა, არამედ იმ კონკრეტული სიტუაციის ზუსტი ანალიზიც, რომელშიც მიმდინარეობდა მოქმედება. სასამართლომ დაწვრილებით უნდა შეისწავლოს საქმის არსი; მან მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო ის მომენტები, რომლებიც უშუალოდ ეხება მომგერიებელს და თავდამსხმელს, არამედ ყველა ის გარემოება, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ შეეძლო მოეხდინა გავლენა მომგერიებლისა და თავდამსხმელის ძალთა რეალურ თანაფარდობაზე. ეს კი თავის მხრივ განსაზღვრავს დაცვისა და თავდასხმის ხასიათისა და საშიშროების შესაბამისობის საკითხს.

როგორც პროფ. ნ. დურმანოვი აღნიშნავს, ამ საკითხის გადასაჭრელად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელყოფის ადგილი, დრო და ვითარება;

¹ Научно-практический комментарий к основам уголовного законодательства Союза ССР и союзных республик, 1961, М., стр. 55—57.

² ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს მცირედლირებული ობიექტების დაცვა ხელყოფისათვის დიდი ზიანის მიყენების გზით, რადგან ასეთი შემთხვევები განიხილებიან არა როგორც აუცილებელი მოგერიება ან მისი ფარგლების გადაშეტება, არამედ, როგორც განზრახი დანაშაული.



ხელმოწერისა და მომგერიებლის ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ძალა; თავდამსხმელთა და მომგერიებელთა რიცხვი; იარაღი, რომელსაც ფლობდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე და სხვა¹.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში დამაჯერებლად არის გაკრიტიკებული რსფსრ-ს 1926 წლის სისხლის სამართლის კომენტატორების შეხედულება, რომლის თანახმად აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად ითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც დაცვის საშუალება არ შეესაბამება თავდასხმის საშუალებას².

როგორც პროფ. ი. სლუცკი აღნიშნავს, „აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის სრულიადაც არ არის საჭირო დაცვისა და თავდასხმის საშუალებათა და იარაღთა პროპორციულობა. შეუიარაღებელი თავდასხმა შესაბამის გარემოებაში შეიძლება ქმნიდეს სიცოცხლისათვის უშუალო საშიშროებას და მისი თავიდან აცილება იარაღის საშუალებით თავსებით გამართლებული იყოს³.

საქართველოს სსრ სასამართლოს პრაქტიკა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის ჩვეულებრივად არ მოითხოვს დაცვისა და თავდასხმის იარაღების პროპორციულობას.

მაგალითისათვის მოვიტანოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1959 წლის 20 აპრილის № 17 დადგენილება კ-ს საქმეზე.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, 1958 წლის 13 იანვრის საღამოს კ. იმყოფებოდა სუფსის რკინიგზის სადგურის სასაუზმეში. მასთან მივიდნენ მთვრალეები მ. და ს. და წინადადება მისცეს გამოსულიყო გარეთ „მოსალაპარაკებლად“. კ. არ დაეთანხმა მათ. მაშინ ნ-მ და ს. მ. ცემა დაუწყეს კ-ს, რომელმაც თავდაცვის მიზნით ჯიბის დასაკეცი დანით მიაყენა გ-ს სახის წარუხოცელი დამახინჯება, ხოლო ს-ს მძიმე დაზიანება. მიუხედავად იმისა, რომ კ. შეუიარაღებელი თავდასხმისაგან თავს იცავდა იარაღით (დანით), საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი უთუოდ სწორად მოიქცა, როცა მისი მოქმედება ჩათვალა მართლზომიერად, როგორც მოქმედება, რომელიც არ გადასცილებია აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

საქართველოს სსრ სასამართლოს პრაქტიკაში ვხვდებით ამ საკითხის არასწორი გადაწყვეტის შემთხვევებსაც.

მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 11 მარტის № 523 განჩინება ბ-ს საქმეებზე.

1960 წლის 10 იანვარს მსჯავრდებული ი. ბ. მიწვეული იყო სოფელ კოტოხში მცხოვრებ დ. ბ-სთან ნადიმზე. ქეიფის დროს ი. ბ-ს შელაპარაკება მოუხდა ს. წ-სთან. დამით ი. ბ-ს, რომელიც სოფლის გზით შინ ბრუნდებოდა, თავს დაესხნენ ს. წ. გ. წ. და ნ. წ. და ცემა დაუწყეს მას. ი. ბ-მ თავის დაცვის მიზნით ჯიბის დასაკეცი დანით მძიმედ დააზავა ს. წ., ხოლო გ. წ. და ნ. წ. დააზავა მსუბუქად.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ი. ბ-ს მოქმედება დააკვალიფი-

¹ Н. Д. Дурманов, *Обстоятельства, исключющие общественную опасность и противоправность деяния*, М., 1961, стр. 26.

² Уголовное право РСФСР, комментарий, по издату. М. 1946, стр. 18.

³ იხილეთ პროფ. ი. სლუცკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77

ცირა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე და 155-ე მუხლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ სცნო აღნიშნული კვალიფიკაცია სწორად: კოლეგიამ ი. ბ.-ს მოქმედება მიიჩნია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეღებად იმის გამო, რომ მან თავდასხმის მოსაგერიებლად დანა იხმარა.

საქმის ასეთი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი.

როგორც თვით განჩინებიდან ჩანს, ი. ბ.-მ თავდაცვის მიზნით დანა იხმარა მაშინ, როდესაც იგი იგერიებდა სამი კაცის თავდასხმას. მართალია, თავდამსხმელები არ იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ ზემოთ აღწერილ პირობებში თავდასხმის ძალა იმდენად აღემატებოდა მომგერიებლის დაცვის უნარს, რომ ი. ბ. იძულებული გახდა თავდასხმის მოსაგერიებლად მიემართა რაიმე იარაღისათვის, კერძოდ, დანისათვის. შეუძლებელია, რომ ამ გარემოებამ დაცვა გახადოს თავდასხმის ხასიათსა და ინტენსიობასთან აშკარა შეუსაბამოდ.

საბჭოთა სისხლის სამართალი არ მოითხოვს მოქალაქისაგან გაექცეს მოძალადეს, ანდა თავი აარიდოს დამნაშავესთან შებრძოლებას. მიუთითებდა რა საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება აღნიშნავდა, რომ სასამართლოების მიერ ასეთი მოთხოვნის წამოყენება უნდა ჩაითვალოს საბჭოთა მორალისა და სოციალისტური მართლშეგნების პრინციპისადმი შეუთავსებელი მსოფლმხედველობის გამოვლინებად¹.

საქართველოს სსრ სასამართლოს პრაქტიკაში ჩვეულებრივად არ ვხვდებით მოთხოვნას, რომ მოქალაქე გაექცეს თავდამსხმელს.

ამ მხრივ დამახასიათებელია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1955 წლის 15 მარტის № 872 განჩინება პ.-ს საქმეზე.

კოლმეურნე ა. პ.-ს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობის დროს თავს დაესხა მისი თანასოფლელი მთვრალი ე. პ. იმ მომენტში, როდესაც ე. პ.-მ ცუდი მოუღერა ა. პ.-ს დასარტყმელად, ამ უკანასკნელმა თავის დაცვის მიზნით სარი დაარტყა ე. პ.-ს სახეში და მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ა. პ.-ს მოქმედება მართლზომიერად სცნო, რადგან იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

პროკურორმა გააპროტესტა აღნიშნული განაჩენი. განაჩენის გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად პროტესტში დასახელებული იყო ის გარემოება, რომ ა. პ.-ს შეეძლო გაქცევის გზით თავიდან აეცილინა თავდასხმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, სავსებით მართებულად, არ ვიზიარა პროტესტი და მიუთითა: „პროტესტის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ა. პ.-ს შეეძლო თავიდან აეცილებინა ე. პ.-ს თავდასხმა შემთხვევის ადგილიდან გაქცევით, არ არის სწორი, რადგან, ჯერ ერთი, იგი არ იყო ვალდებული გაქცეულიყო და, გარდა ამისა, არ იყო გარანტირებული გაქცევით აეცილინა ე. პ.-ს თავდასხმა“.

საქართველოს სსრ სასამართლოს პრაქტიკაში ვხვდებით ანალოგიური საქმეების სხვაგვარად გადაწყვეტის შემთხვევებსაც.

¹ „Социалистическая законность“, 1956, № 11, стр. 51.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1955 წლის 2 ნოემბრის № 5580 განჩინება მოქალაქე ბ-ს საქმეზე.

ბ. მუშაობდა მცხეთის რაიონის სოფელ ერდის კოლმეურნეობის სიმინდის ყანის მკველად. 1955 წ. 7 სექტემბერს, დილით მან შეამჩნია უცხო პირი (მოქ. დ.), რომელიც იპარავდა სიმინდის ტარებს. ბ-მ თოფი გაისროლა ჰაერში, იმ მიზნით, რომ ქურდი დაეკავებინა, მაგრამ ქურდი არ შეჩერდა და გაიქცა ახლოს მდგომ ბოშათა კარვებისაკენ. ბ. თოფით ხელში დაედევნა მას. კარვებიდან ბ-ს დასახვედრად გამოცვივდნენ სხვადასხვა ცივი იარაღით შეიარაღებული ბოშები. მათ შორის იყო დ-ც, რომელსაც ხელში ცული ეჭირა. იმ მომენტში, როდესაც დ. ცულით ხელში სულ ახლოს მიიჭრა ბ-სთან, ამ უკანასკნელმა თავის დაცვის მიზნით თითქმის მიბჯენით ესროლა თოფი თავდამსხმელს და მოკლა იგი.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ბ-ს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 1928 წ. სს კოდექსის 145-ე მუხლით.

უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ბ-ს მოქმედება გადააკვალიფიცირა ამავე კოდექსის 147-ე მუხლზე. განჩინებაში მითითებულია: „ასეთ პირობებში ბ-ს მოქმედებაში არის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება, რადგან ბ-ს შეეძლო დ-საგან განრიდება ან უკიდურეს შემთხვევაში შეეძლო ესროლა ჰაერში“.

ჩვენი აზრით, სასამართლოს საფუძველი არ ჰქონდა მოეთხოვა ბ-საგან განრიდებოდა თავდამსხმელს. მით უმეტეს, რომ ბ. თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ვალდებული იყო დაეცვა საკოლმეურნეო საკუთრება და დაეკავებინა მისი დამტაცებელი.

მომგერიებელი საზოგადოებრივად საშიში თავდასხმის გამო ჩვეულებრივად შიშისა და აღელვების მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ შეუძლებელია მას მოეთხოვოთ აბსოლუტური სიზუსტე დაცვის ხერხების შერჩევაში. სწორედ ამ გარემოებას ითვალისწინებს კანონმდებელი, როდესაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების დაცვის პირობას დარღვეულად თვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაცვისა და თავდასხმის ჩასიათსა და საშიშროებას შორის ამკარა შეუსაბამობა არსებობს.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა დასცას საკითხი აუცილებელი მოგერიების შესახებ, როდესაც თავდამსხმელისათვის მიყენებული ზიანი აშკარად არ შეესაბამება თავდასხმის ჩასიათსა და საშიშროებას. ამ მოთხოვნას სასამართლოები ზოგჯერ უგულებელყოფენ.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1955 წლის 6 ოქტომბრის № 261 განჩინება.

1955 წლის 23 იანვარს 97 წლის მოხუცი ნ. ლ. შვილთან, რძალთან და მცირეწლოვან შვილიშვილებთან ერთად ბრუნდებოდა ქ. სოხუმიდან სოფ. კელასურში.

გზაში მათ დახვდათ სამი ძმა ა., კ., და ვ. კ.-ბი. მთვრალმა ძმებმა ჩხუბი დაუწყეს მოხუცის შვილს მ. ლ-ს, რომელსაც ა-მ ჩაქუჩი ჩაარტყა თავში. მოხუცი გაეშურა შვილის მისაშველებლად. მაშინ ა-მ წააქცია მოხუცი, დააჯდა

მას და ჩაქუჩი აღმართა თავში ჩასარტყმელად. ამ მომენტში მოხუცმა დაასწრო და ჯიბის დასაკეცი დანით ბარძაყში დაჭრა თავდამსხმელი, რომელიც სისხლის ღიდი რაოდენობის დაკარგვის შედეგად გარდაიცვალა.

სოხუმის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. ლ-ს მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც განზრახი მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია მართებულად მოიქცა, როცა სახალხო სასამართლოს მიერ საქმის ამგვარი გადაწყვეტა არასწორად ჩათვალა. განჩინებაში მითითებულია, რომ მიწაზე წაქცეულ მოხუცს ა. ემუქრებოდა თავში ჩაქუჩის დარტყმით, თანაც იმ დროს, როდესაც მან ჩაქუჩის ჩარტყმით უკვე დააშავა მოხუცის შვილი, რომელიც ამ მომენტისათვის უკვე წაყვანილი იყო შემთხვევის ადგილიდან და მამამ არ იცოდა მისი მდგომარეობა. „ეს გარემოება, — აღნიშნულია განჩინებაში, — იძულებულს ხდიდა მოხუც ნ.ლ-ს ყოველი შესაძლებლობით დაეცვა თავი ა-საგან“. ყოველივე ამის შემდეგ კოლეგიამ ნ. ლ. რატომღაც დამნაშავედ სცნო და მისი მოქმედება დააკვალიფიცირა, როგორც მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეცვლით.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ნ. ლ-ს მოქმედების ამგვარ კვალიფიკაციას. თუკი მოხუცი, როგორც ამაზე თვით კოლეგია მიუთითებს, საზოგადოებრივად საშიშმა ხელყოფამ „იძულებული გახადა ყოველი შესაძლებლობით დაეცვა თავი თავდასხმისაგან“, მაშინ მისი თავდაცვითი მოქმედება, კერძოდ თავდამსხმელისათვის ბარძაყში დანის დარტყმა, რამაც თავდამსხმელის სიკვდილი გამოიწვია, არ შეიძლება ა-ს და მისი ძმების თავდასხმის ჩასაიასა და საშიშროებასთან აშკარად შეუსაბამოდ ჩაითვალოს. ნ. ლ-ს მოქმედება არ ვასცილებია აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და ამიტომ იგი სასამართლოს უნდა გაენთავისუფლებია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

5. საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილ მოქმედებას აკვალიფიცირებენ როგორც განზრახ მოქმედებას, რომელიც ჩადენილია „ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“. ეს იწვევს აუცილებელი მოგერიების უფლების უმართებულო შეზღუდვას და, მასადაამე, ისეთი მოქალაქის დასჯას, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია.

1958 წლის 16 აგვისტოს მსჯავრდებულ ჯ. გ-ს და მის ძმას უ. გ-ს ტყიდან ორთვალით ფიჩხი მოჰქონდათ. მათ გზაზე დახვდნენ ჯ., ლ., ბ., კ., მ., და ზ. მ., რომლებმაც თავი გაასაღეს სატყეო მეურნეობის მუშაკებად და მოსთხოვეს ძმებს ფიჩხის მოჭრის ნებართვა. ძმებს ნებართვა არ აღმოაჩნდათ. მაშინ მათ მოსთხოვეს ფული. ამაზე უარის მიღების შემდეგ დამხვდულრებმა მოინდომეს ფიჩხით დატვირთული ორთვალის მანქანაზე ატანა. ძმებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ამის შემდეგ ჯ.-მ, ლ.-მ, ბ.-მ და სხვებმა ცემა დაუწყეს ძმებს. ერთ-ერთი დაზარალებული გაიქცა სოფელში დანმარების სათხოვნელად, ხოლო მეორე ძმა ჯ. გ. მარტოდმარტო დარჩა ხუთი თავდამსხმელის წინაშე, რომლებიც განაგრძობდნენ მის ცემას. ჯ. გ. იძულებული შეიქნა თავდაცვის მიზნით ზიანი მიეყენებია თავდამსხმელთათვის (ერთ: მათგანს მან მიაყენა სხეულის მძიმე, ხოლო ორს სხეულის მსუბუქი დაზიანება).

ლაგოდების რაიონის სახალხო სასამართლომ ჯ. გ-ს მოქმედება დააკვალი-

ფიცირა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა სახალხო სასამართლოს განაჩენი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, საესვებით მართებულად, გააუქმა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების დადგენილება და განთავისუფლა ჯ. გ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. „ამ პირობებში, — აღნიშნულია პრეზიდიუმის დადგენილებაში, — მსჯავრდებულის მოქმედება არ გასცილებია აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და ამდენად იგი მიჩნეულ უნდა იქნას კანონზომიერად“¹.

ზიანის მიყენება „ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“ მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელებასაგან.

მკვლელობა ან სხეულის მძიმე თუ საშუალო დაზიანება, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ან სხეულის დაზიანებად, როდესაც აღელვება გამოწვეული იყო თვით დაზარალებულის უხეში შეურაცხყოფით ან ძალადობით, ესე იგი მისი მართლსაწინააღმდეგო თავდასხმით. ეს გარემოება აახლოვებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე და 113-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას აუცილებელი მოგერიების დროს ჩადენილ კაცის მოკვლასთან ან სხეულის დაზიანებასთან. არ შეიძლება არც იმის უარყოფა, რომ აუცილებელი მოგერიების დროს პირი ჩვეულებრივად იმყოფება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. მაგრამ ეს გარემოება საფუძველი როდია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფ პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისა.

აუცილებელი მოგერიების დროს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა სამართლებრივ ობიექტზე დაწყებულია და ჯერ დამთავრებული არ არის. მომგერიებელს ასულდგმულებს საზოგადოებრივად საშიში თავდასხმის მოგერიების მიზანი. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მოგერიება მართლზომიერი და საზოგადოებრივად სასარგებლო.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე და 113-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობა პირიქით არ გულისხმობს თავდაცვის მიზანს. აქ ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა უკვე დამთავრებულია და სუბიექტმა ეს იცის. მაგრამ იგი ამ უკანონო თავდასხმის გამო ისეთ ძლიერ სულიერ აღელვებას განიცდის, რომ შესუსტებული აქვს თავის შეკავების უნარი. კანონმდებელი განიხილავს მის მოქმედებას როგორც შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ არა როგორც მართლზომიერს და საზოგადოებრივად სასარგებლოს. ცხადია, ამიტომ სასამართლოები მოვალენი არიან ზუსტად გამიჯნონ ასეთი შემთხვევები აუცილებელი მოგერიებისაგან.

¹ „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ., № 2, გვ. 73.

შეამდგომლმზის აღკვრა ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ

მ. ჯაფარიძე

დიდი და საპატიო ამოცანები აქვთ დაკისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს შრომაგასწორების დაწესებულებებს — გამოასწორონ დამნაშავენი, ხელახლა აღზარდონ მსჯავრდებულნი, დაუბრუნონ ისინი პატიოსან ცხოვრებას.

მსჯავრდებულებთან აღმზრდელობით მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ წამახალისებელ ღონისძიებას, როგორცაა შუამდგომლობის აღკვრა სასამართლოს წინაშე მსჯავრდებულთა სასჯელისაგან ვადამდე და ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სკკ 54-ე და 55-ე მუხლების თანახმად, ვადამდე ან ვადამდე პირობით განთავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება.

პირის სასჯელისაგან ვადამდე ან ვადამდე პირობით განთავისუფლება იმას ნიშნავს, რომ მსჯავრდებული მტკიცედ დაადგა გამოსწორების გზას და მომავალში აღარ ჩაიდენს დანაშაულს. მის განთავისუფლებას საფუძვლად უდევს სწორედ ეს რწმენა.

სასჯელისაგან ვადამდე ან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირთა უმრავლესობა ამართლებს ნდობას. მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც ზოგიერთი პირი განთავისუფლების შემდეგ კვლავ ჩადის დანაშაულს, ან თავს არიდებს პატიოსან შრომას და ეწევა ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას. ეს იმაზე მიუთითებს, რომ შრომაგასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაცია და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიები, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობს შრომაგასწორების დაწესებულება, ზერედედ, არასრულყოფილად სწავლობენ იმ მსჯავრდებულთა კონტიგენტს, რომლებიც გადაეცემა ხოლმე სასამართლოს შუამდგომლობით სასჯელისაგან ვადამდე ან ვადამდე პირობით განთავისუფლებისათვის.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლის თანახმად: „მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლება, აგრეთვე სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოებს სასამართლოს მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის წარდგენით, შრომაგასწორების

დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგენით სამეთვალყურეო კომისიასთან "შეთანხმებით"...

მამასადამე მასალების გაფორმება და მისი სასამართლოში წარდგენა ევალებათ სამეთვალყურეო კომისიას და შრომაგასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას. ამ მუშაობის სწორად მოწყობის მიზნით სასჯელის მოხდის ადგილებზე, შექმნილია კომისიები შრომაგასწორებითი დაწესებულების უფროსის თანამდგომარეობით, რომელთა შემადგენლობაში შედიან ყველა დაინტერესებული სამსახურის წარმომადგენელი და რაზმეულის უფროსები.

როგორ წარმოებს მასალების მოამზადება მსჯავრდებულის ვადამდე ან ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ?

საქართველოს სსრ სწლს შრომაგასწორების კოლონიების რაზმეულების დებულების მე-16-ე მუხლის თანახმად სასჯელისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობას აღძრავს რაზმეულის უფროსი, რომელიც მსჯავრდებულის უშუალო აღმზრდელია. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში რაზმეულის უფროსი ვალდებულია მოამზადოს დახასიათება შუამდგომლობით და მასალები შრომაგასწორების კოლონიის ადმინისტრაციის კომისიის სხდომაზე განსახილველად. დახასიათებაში მოცემული უნდა იყოს მსჯავრდებულის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. იგი უნდა ემყარებოდეს პიროვნების გულმოდგინე შესწავლას, პირადი საქმის მასალებს, კოლონიაში შრომისადმი მის დამოკიდებულებას და საქმიანობის ზუსტ მონაცემებს სასჯელის მოხდის მთელ მანძილზე.

თუ სასამართლოს არ ექნება მსჯავრდებულის დამახასიათებელი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილების — „სასჯელისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების სასამართლოს პრაქტიკის შესახებ“ შესაბამისად იგი ვალდებულია დაუბრუნოს საქმე შრომაგასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას და მოითხოვოს მისგან სრულყოფილი მონაცემების წარდგენა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა შეიძლება სასჯელის დანიშნული ვადის სულ ცოტა ნახევრის ან ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

ეს გარემოება არ ზღუდავს რაზმეულის უფროსს, რომ მან წინასწარ შეისწავლოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების მიზანშეწონილობა და მოამზადოს მისთვის აუცილებელი მასალები. როგორც კი დადგება ამის იურიდიული, საფუძველი, რაზმეულის უფროსმა უნდა იშუამდგომლოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ, თუ იგი ასეთს იმსახურებს.

ადმინისტრაციის კომისიამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს იმის გამორკვევას, თუ რამდენად გამოსწორდა მსჯავრდებულის, როგორ ეკიდება შრომას, რა ახალი ჯანსაღი ჩვევები გამოუმუშავდა მას, მოიხადა თუ არა დანიშნული სასჯელის ნახევარი ან ორი მესამედი და ვრცელდება, თუ არა მასზედ კანონით დადგენილი წესი. ამასთან მთავარია არა მსჯავრდებულის მიერ სასჯელის დანიშნული ვადის ნახევრის ან ორი მესამედის მოხდის ფაქტი, არამედ ის, თუ როგორ იქცეოდა იგი ამ პერიოდში, ამჟღავნებდა თუ არა შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულებას, სანიმუშო იყო თუ არა მისი საქციელი.

იმ პირთა მიმართ, რომელნიც სასჯელის მოხდისას სისტემატურად არღვე-

ვდნენ რეჟიმს და მხოლოდ ბოლო თვეებში გამოიჩინეს კარგი ყოფაქცევა ადმინისტრაციის კომისიამ თავი უნდა შეიკაოს სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენაზე.

ამრიგად, პატიმრის სასამართლოში წარდგენაზე სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას მთავარია არა განსაზღვრული სასჯელის ნახევრის ან ორი მესამედის ფაქტიური მოხდა, არამედ მსჯავრდებულის სამაგალითო ყოფაქცევა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც უდაოდ მეტყველებს მის გამოსწორებაზე.

კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, ხოლო ოქმიდან ამონაწერს დაურთავენ მსჯავრდებულის საქმეს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375 მუხლის მიხედვით, მას შემდეგ რაც შრომაგასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას — პირის სასჯელისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შუამდგომლობის აღძვრის შესახებ, მასალებს განსახილველად უგზავნის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიას.

სამწუხაროდ, ზოგიერთს არასწორად ესმის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375 მუხლის აზრი — შრომაგასწორების კოლონიების ადმინისტრაციის კომისიის მიერ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხის სამეთვალყურეო კომისიასთან შეთანხმების შესახებ.


ზოგჯერ შრომაგასწორების კოლონიის უფროსი სასამართლოში აღგენდა შუამდგომლობას მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ ერთპიროვნულად სამეთვალყურეო კომისიასთან შეთანხმების გარეშე.

არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერენ კოლონიის უფროსი და სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარე სხდომაზე საკითხის წინასწარი განხილვის გარეშე. ყოველივე ამას მივეყვართ სამეთვალყურეო და ადმინისტრაციის კომისიის წევრების შეხედულებათა უგულებელყოფამდე.

მსჯავრდებულის მასალების გაფორმება და სასამართლოში წარდგენის ასეთი პრაქტიკა არასწორი და კანონსაწინააღმდეგოა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ ვადამდე პირობით განთავისუფლება ხდება სასამართლოს მიერ სამეთვალყურეო კომისიის წარდგენით, ან შრომაგასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგენით სამეთვალყურეო კომისიასთან შეთანხმებით. მასასადაამე, შუამდგომლობის აღძვრა მსჯავრდებულის ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ შრომაგასწორების კოლონიის უფროსის და სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით კანონით აკრძალულია.

კანონი მოითხოვს, რომ შუამდგომლობის აღძვრის საკითხი განიხილოს სამეთვალყურეო კომისიასთან შეთანხმებით სასჯელის მოხდის ადგილის ადმინისტრაციის კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიან დაინტერესებული სამსახურის წარმომადგენლები, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ მსჯავრდებულის გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდასთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამეთვალყურეო ან შრომაგასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციის კომისიები თავიანთი გადაწყვეტილებით უარს



ეტყვიან მსჯავრდებულს შუამდგომლობის აღძვრაზე, მაშინ გადაწყვეტილება გამოეცხადება პატიმარს. თუ ზემოაღნიშნული კომისიები მსჯავრდებულის სასარგებლოდ გამოიტანენ გადაწყვეტილებას, დგება მოტივირებული წარდგინება. ამასთან მსჯავრდებულის საქმეს თან ერთვის კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი.

როგორც აღვნიშნეთ, სამეთვალყურეო კომისიას უფლება აქვს დამოუკიდებლად აღძრას შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე საკუთარი ინიციატივით, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, აგრეთვე იმ ორგანიზაციისა და დაწესებულების მშრომელთა კოლექტივის თხოვნით, სადაც მსჯავრდებული მუშაობდა. ამ შემთხვევაში შრომაგასწორების კოლონიის ადმინისტრაცია ვალდებულია სათანადო წესით გაფორმებული მასალები წარუდგინოს სამეთვალყურეო კომისიას.


მსჯავრდებულის პირად საქმესთან ერთად სასამართლოში იგზავნება ყველა დამახასიათებელი მასალები, აგრეთვე წარდგინება შუამდგომლობით მსჯავრდებულის ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ. მასში აღნიშნული უნდა იყოს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზები და მოტივები, მონაცემები, რომლებიც ახასიათებს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ნაჩვენები უნდა იქნეს, რომ პატიმარმა სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, სასჯელის მოხდის პერიოდში გამოიმუშავა კარგი ჩვევები. შუამდგომლობაში უნდა მითითებული იქნეს ბრალდებულის მონაწილეობა შრომაგასწორების კოლონიის კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში, თუ როგორ იმალლებდა იგი საწარმოო კვალიფიკაციას, როგორ იცავდა რეჟიმის წესებს, როგორი დისციპლინა ჰქონდა, იღებდა თუ არა დისციპლინალურ სასჯელებს და რა საფუძველზე მოეხსნა ისინი. ამასთან წარდგინებაში მოცემული უნდა იქნეს მსჯავრდებულის მიერ მოხდილი სასჯელის ზუსტი გაანგარიშება სასამართლოში შუამდგომლობის წარდგინების დღეებისათვის.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლის მიხედვით არ არის გამორიცხული, რომ სასჯელის მოხდის ადგილის ადმინისტრაციამ და სამეთვალყურეო კომისიამ გაერთიანებულ სხდომაზე ერთად იმსჯელოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების წარდგენის საკითხზე, მაგრამ ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო კომისიას ენიჭება გადაწყვეტი ხმის უფლება.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა ამ კომისიების მიერ გაერთიანებულ სხდომაზე, პროკურორის მონაწილეობით სასურველ შედეგებს გვაძლევს.

არის შემთხვევები, რომ კომისიებს ხშირად ერთ სხდომაზე გამოაქვთ რამდენიმე ათეული მსჯავრდებულის სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების საკითხი. ამის შედეგად საქმე იხილება ზერელედ, რასაც შედეგად მოსდევს არასწორი გადაწყვეტილებების გამოტანა. ამრიგად, ასეთი პრაქტიკა უარყოფითად მოქმედებს როგორც გადაწყვეტილებების გამოტანაზე, ასევე მსჯავრდებულის კონტიგენტზე და კომისიების ავტორიტეტზე.

შრომაგასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის დასკვნით ეტაპს მსჯავრდებულის ვადამდე პირობით განთავისუფლებაში წარმოადგენს მისი



წარმომადგენლის გამოსვლა სასამართლოში შუამდგომლობის მხარდაჭერით სამეთვალყურეო კომისიის დებულების თანახმად ასეთივე მხარდაჭერით სასამართლო პროცესზე შეუძლია გამოვიდეს მისი ერთ-ერთი წევრი.

სასამართლოში გამოსული ადმინისტრაციის ან სამეთვალყურეო კომისიის წარმომადგენელი არ უნდა შემოიფარგლოს სტანდარტული ფრაზებით იმის შესახებ, რომ მსჯავრდებული იმსახურებს ვადაძღე პირობით განთავისუფლებას. მათ დამაჯერებლად, ფაქტებისა და საბუთების მოყვანით უნდა დაამტკიცონ მსჯავრდებულის პირობით ვადაძღე განთავისუფლების მიზანშეწონილობა.

სასამართლოში შრომაგასწორების კოლონიის ადმინისტრაციის სახელით უნდა გამოვიდეს ის პირი, რომელიც კარგად იცნობს მსჯავრდებულის პიროვნებას, მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და საქმის მთელ ვითარებას. ასეთ პიროვნებად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ითვლება რაზმეულის უფროსი -- მსჯავრდებულის უშუალო აღმზრდელი.

საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის სისტემა

ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის საქონისათვის

3. ლორია

ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის შემუშავების საკითხი არა ერთხელ იყო დასმული. ჯერ კიდევ 20-იან წლებში წამოიჭრა აუცილებლობა ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის დაუყოვნებლივ მიღების შესახებ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სხვადასხვა პერიოდში გამოცემული ადმინისტრაციული სამართლის ნორმები არასრულყოფილი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგათიშულნი იყვნენ, რაც აფერხებდა ადმინისტრაციული სამართლის ნორმების ცხოვრებაში გატარებას და საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების ჩამოყალიბებას.

1923—1925 წლებში საბჭოთა პრესაში დაიწყო საკითხების განხილვა ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის შემუშავების თაობაზე¹. 1924 წელს რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ადმინისტრაციული წესდების პროექტი და ცაკ-ის XII მოწვევის მე-2 სესიაზე ცაკ-ის პრეზიდიუმში შევიდა წინადადებით, რათა დაევალებინათ სახკომსაბჭოსათვის განეხილა აღნიშნული პროექტი და დაემტკიცებინათ იგი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის სახით ცაკ-ის მორიგ სესიაზე. მაგრამ ამ საქმეს მსვლელობა არ მიცემია — რსფსრ ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი არ ყოფილა მიღებული. უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკაშიც ჩატარდა ანალოგიური მუშაობა. რსფსრ-ს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსისა და ადმინისტრაციული წესდების შემუშავების გამოცდილების გამოყენებით შემუშავდა უკრაინის სსრ ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი, რომელიც დამტკიცდა სრულიად უკრაინის ცაკ-ის მიერ 1927 წელს 12 ოქტომბერს. ეს კოდექსი დღესაც მოქმედობს.

ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციის სამუშაოები საკავშირო მასშტაბით დაიწყო 1939 წელს², მაგრამ ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი შეწყდა.

მოქმედი ადმინისტრაციული სამართლის მეტად მრავალრიცხოვანი ნორმების სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობის ამოცანამ, მმართველობის ძირითად ორგანოებში სამართლებრივი რეგულირების ერთიანობის საჭიროებამ, სახელმწიფო მმართველობის ახალი მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შექმნის აუცილებლობამ მოითხოვა — შეიქმნას ადმინისტრაციული სამართლის ნორმების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის ელასტიკურ განხორციელებას და ხელს შეუწყ-

¹ „Власть Советов“, 1923 г., №№ 1, 2, 3, „Административный вестник“, 1925 г. № 12 и др.

² И. Н. Ананов, О кодификации советского административного права, — „Советская юстиция“ 1939 г. № 15—16.

ყოფს ადმინისტრაციული სამართლის საბჭოთა მეცნიერების ძირითადი პრობლემების თეორიულ გადაწყვეტას. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა ადმინისტრაციული კოდექსის შემუშავების საკითხი.

ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციის საკითხების განხილვა რამდენიმე წელია მიმდინარეობს საბჭოთა პრესის ფურცლებზე და კვლავაც გრძელდება¹.

ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საჭიროა შემუშავდეს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი, მოწესრიგდეს კანონმდებლობა მმართველობის სფეროში. ავტორთა ერთი ნაწილი (ა. ე. ლუნევი, ე. ნ. ტაგუნოვი, ო. გ. იაკუბა) საჭიროდ თვლის ჩატარდეს წინასაკოდიფიკაციო სამუშაოები, ე. ი. ჩატარდეს ადმინისტრაციული სამართლის ნორმების ნაწილობრივი კოდიფიკაცია, ხოლო მეორე ნაწილი ავტორებისა (გ. ი. პეტროვი, ა. პ. კორენევი და სხვ.) მოითხოვენ შემუშავდეს საერთო-საკავშირო საფუძვლები ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაში, რომლის მიხედვით შემუშავებულ იქნება მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ა. ე. ლუნევს, რომელიც საეჭვოდ მიიჩნევს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის შექმნის შესაძლებლობას დღევანდელ პირობებში და აღნიშნავს: „არც ადმინისტრაციული სამართლის მთელი კომპლექსური საკითხების მეცნიერული დამუშავება, არც კოდიფიკაციის პრაქტიკა ჯერჯერობით არაა მოზადებული ისეთი რთული ამოცანის გადასაწყვეტად, როგორცაა ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის შემუშავება ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების დღეს მიღებული სისტემის შესაბამისად“².

საკანონმდებლო აქტების წესრიგში მოყვანა და კოდიფიკაცია იმით როდი განისაზღვრება, დამუშავებულია თუ არა მეცნიერების მიერ ის პრობლემები, რომელ სფეროშიც წარმოებს კოდიფიკაცია. საბჭოთა ადმინისტრაციულ სამართალში მისი კოდიფიკაციის შემდეგაც, უეჭველია, დარჩება მეცნიერულად გადასაჭრელი საკითხები და ბუნებრივია. ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციით არ დამთავრდება ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერება. მეცნიერება აქ ხელშემწყობ და არა ძირითად როლს თამაშობს. სამართლიანად შენიშნავს გ. ი. პეტროვი, რომ სწორედ კოდიფიკაციის პროცესში დამუშავდება და გადაწყდება პრობლემატური მეცნიერული საკითხები ადმინისტრაციულ სამართალში, რომ საკოდიფიკაციო მუშაობის გამოცდილება არასდროს არ გვექნება თუკი იგი არ დავიწყეთ³.

¹ Е. Н. Тагунов, К вопросу кодификации советского административного права, — „Советское государство и право“, 1958, № 5, Г. И. Петров, Задачи кодификации советского административного права, — „Советское государство и право“, 1958, № 6; его же, О кодификации советского административного права, — „Советское государство и право“, 1962, № 5; А. Лунев, Административный кодекс нужен, — „Советская юстиция“, 1960, № 5; его же, Некоторые вопросы административного права в связи с его кодификацией, — „Советское госуд. и право“ 1960, № 12; А. П. Корнев, Законодательная техника и кодификация советского административного права, — „Правоведение“, 1961, № 3; Н. Нашивяно, А. Корнев, Да, административный кодекс нужен; „Советская юстиция“, 1961, № 8; О. М. Якуба, Административный кодекс необходимо пересмотреть, — „Радянське право“, 1958, № 1) და აგრეთვე წინადადებები სხვადასხვა მონოგრაფიებში.

² А. Е. Лунев, некоторые вопросы административного права в связи его кодификацией, — „Советское государство и право“, 1960 г. № 12, стр. 25.

³ Г. И. Петров, О кодификации сов. адм. права, „Сов. Гос. и право“, 1962 г. № 5, стр. 28.

არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის სამართლის განუვითარებელი და ჩამორჩენილი დარგია, რომ ადმინისტრაციული სამართლის ნორმები ვერ გამოხატავენ საბჭოთა მმართველობის მოთხოვნებს. საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის ნორმები საკმაოდ ელასტიკური და მოქნილი აღმოჩნდნენ, რომლებიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე კოდიფიცირებისა და ერთიან საკანონმდებლო სისტემაში მოყვანის გარეშეც საუცხოოდ ემსახურებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ქვეყნის მართვაში.

დღეისათვის საკითხი ამგვარადაა დაყენებული: როგორ გადაწყდეს ცხოვრების გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად ადმინისტრაციული სამართლის ნორმების სისტემაში მოყვანა, — შემუშავდეს ადმინისტრაციული კოდექსები თუ დროს დაველოდოთ, ვაწარმოოთ წინასაკოდიფიკაციო სამუშაოები და ვუცადოთ საერთო-საკავშირო საფუძვლების მიღებას ადმინისტრაციული სამართლის დარგში.

ნაწილობრივი საკოდიფიკაციო სამუშაოები, რომლებზედაც ლაპარაკობენ ე. ნ. ტაგუნოვი და ა. ე. ლუნევი, რესპუბლიკებში თითქმის შესრულებულია. საერთო-საკავშირო კანონების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებულ იქნა მთელი რიგი დებულებები და წესდებები სახალხო მეურნეობის დარგში, განათლების, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მმართველობის დარგებში. არასწორი იქნებოდა გვეფიქრა ამ კანონმდებლობის გადასინჯვის, გაუმჯობესების შესახებ და არ გვეზრუნა ერთიანი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის შემუშავებაზე. ჩვენის აზრით, გადაჭრით უნდა იქნეს აღებული გეზი მმართველობის სფეროში არსებული საკანონმდებლო ნორმების ურთიერთშეჯერებისა და მათ საფუძველზე ახალი ნორმებით გამდიდრებული ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის შემუშავებისაკენ.

გ. ი. პეტროვი წინააღმდეგია იმისა, რომ შემუშავდეს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი, ვიდრე არაა მიღებული ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლები. მისი აზრით ეს იქნებოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის საწყისების დარღვევა. იგი წერს: „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები სამართლის დარგების მიხედვით წარმოადგენენ შესაბამისად რესპუბლიკური კოდექსების ფუნდამენტს, რატომ უნდა მოვიქცეთ ადმინისტრაციულ სამართალში პირიქით, ე. ი. დავიწყოთ დარგობრივი წესდებებისა და რესპუბლიკური კოდექსების შემუშავებით, როგორც ო. მ. იაკუბა და ა. ე. ლუნევი გვთავაზობენ. ეს წინააღმდეგობაში იქნებოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპთან, გააძნელებდა კოდიფიკაციის პროცესს“¹.

რასაკვირველია, სასურველია და კარგი იქნებოდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლები რომ იყოს შემუშავებული. იგი გაადვილებდა კოდიფიკაციას და შექმნიდა სრულ გარანტიას საკავშირო და რესპუბლიკურ კანონებს შორის წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ ასეთი საფუძვლები არ არსებობენ. მათი შემუშავების საჭიროება არცაა გათვალისწინებული სსრ კავშირის კონსტიტუციით. თუ კი სა მოქალაქე და სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სასამართლო წყობილე-

¹ Г. И. Петров, О квалификации советского административного права, — „Советское государство и право“, 1962, № 5, стр. 28.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ბისა და სამართალწარმოების, საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების დადგენა გათვალისწინებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით, ასეთი საფუძვლების დადგენას ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობისათვის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. შესაძლებელია ახალ კონსტიტუციაში ეს მნიშვნელოვანი საკითხიც იქნეს გადაწყვეტილი და დადგინდეს, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ასევე აწესებენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლებს. ყოველ შემთხვევაში ეს მომავლის საკითხია.

საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი ძალიან ახლო დგას საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკასთან, რადგანაც იგი სახელმწიფო მმართველობის პრინციპებსა და მის სტრუქტურას ეხება. თუ 'კი სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირება კონსტიტუციის მუხლებში მხოლოდ ყველაზე ზოგად ფორმებშია გათვალისწინებული და სამართლის ამ დარგებში სპეციალურადაა დაწესებული ზოგადი საფუძვლების დადგენა, ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობა უფრო მეტადაა ზრგად ფორმებში რეგულირებული სსრკ კონსტიტუციით.

აქედან გამომდინარე, ჩვენს აზრით, არ იქნება დემოკრატიული ცენტრალიზმის დარღვევა რესპუბლიკური ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის შემუშავება სამართლის ამ დარგში სპეციალური საერთო-საკავშირო საფუძვლების შემუშავების გარეშე. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მმართველობის ცალკეულ სფეროებში საერთო-საკავშირო კანონების („კანონი მრეწველობისა და მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, „კანონი სკოლის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ და სხვ.) საფუძვლზე საცესებით შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის მიღება ჩვენს რესპუბლიკაში. მით უმეტეს, რომ ამის მაგალითი გვაქვს უკრაინის სსრ-ში, სადაც 1927 წელს მიუხედავად საკავშირო საფუძვლების არ არსებობისა მიღებულ იქნა ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი.

ჩვენ ვიზიარებთ იმ ავტორთა აზრს, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცალ-ცალკე კოდიფიცირებას მოითხოვენ. ადმინისტრაციული მატერიალური და პროცესუალური ურთიერთობანი თვისობრივად განსხვავებული ურთიერთობანია, რაც, რასაკვირველია, მათი მარეგულირებელი ნორმების სხვადასხვაობას იწვევენ. ამიტომ არასწორი იქნებოდა ადმინისტრაციული სამართლის პროცესუალური ნორმები გაგვეერთიანებინა მატერიალურ კოდექსში თუნდაც იმ საბაბით, რომ უახლოეს წლებში თითქოს არ არსებობს რეალური საფუძვლები ადმინისტრაციული სამართლის პროცესუალური კოდექსის შემუშავებისა და მიღებისა, როგორც ამას ა. ე. ლუნევი მიუთითებს თავის სტატიაში.

ვერც იმ აზრს დავეთანხმებით, თითქოს საერთოდ შეუძლებელია ადმინისტრაციული სამართლის პროცესუალური ნორმების კოდიფიცირება, ვინაიდან სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობა ვერ მოთავსდება ერთიან საკანონმდებლო აქტში — კოდექსში¹. მაგრამ ასეთ კოდიფიკაციაზე როდია აქ ლაპარაკი. ადმინისტრაცი-

¹ Н. Е. Чечина, Норма права и судебное решение, Л. 1961 г.

ული სამართლის პროცესუალური კოდექსი არ ნიშნავს იმ წესების ერთობლიობას, რომლებიც ხელისუფლების და მმართველობის ყველა ორგანოების საქმიანობას შეეხება. პროცესუალურ კოდიფიკაციას დაექვემდებარება საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის განხორციელების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც მმართველობის ორგანოთა კომპეტენციაში მყოფი ინდივიდუალური საქმეების განხილვის პროცესს გამოხატავენ.

ადმინისტრაციული სამართლის კოდექსების ზოგად და კერძო ნაწილებად დაყოფა უდაოდ მიზანშეწონილი და საჭირო იქნება, როგორც ამის შესახებ მიუთითებენ საბჭოთა ავტორები. კოდექსი შეიძლება მოიცავდეს როგორც მმართველობის საერთო, ზოგად ნორმებს, ასევე მმართველობის ცალკეული დარგების მარეგულირებელ ნორმებსაც.

ვერ დავეთანხმებით ო. მ. იაკუბასა და ა. ე. ლუნევს, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის ფარგლებს ზღუდავენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობით, ხოლო ადმინისტრაციული პროცესი გამოყვანილი ჰყავთ როგორც ადმინისტრაციული დარღვევების გამოძიებასთან დაკავშირებული საქმიანობა¹. მაგრამ ასეთი კოდექსი მოასწავებდა ადმინისტრაციული სამართლის არა კოდიფიცირებას, არამედ ნორმების სისტემატიზაციას სამართლის ამ დარგის ერთ-ერთ სფეროში, კერძოდ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში, რაც, რასაკვირველია, ერთიან ადმინისტრაციული სამართლის ნორმათა სისტემას ვერ შექმნის.

უკრაინის სსრ ადმინისტრაციული კოდექსი, რომელსაც მხარს უჭერენ და რომლის პროპაგანდასაც ეწევიან ო. მ. იაკუბა და ა. ე. ლუნევი, ვერ ამოწურავს ადმინისტრაციული სამართლის მთელ დარგს. იგი შედგება 15 განყოფილებისაგან (ზოგადი დებულებები, ადმინისტრაციული აქტები, ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, მოსახლეობის ვალდებულებანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, უსსრ მოქალაქეობა, საზოგადოებები, კავშირები, კლუბები, ყრილობები და კრებები და სხვ.), რომელთაგან ნაწილი ეხება სახელმწიფო სამართლის ზოგიერთ საკითხს, ხოლო ნაწილი ადმინისტრაციული სამართლის ზოგიერთ საკითხს. მიუხედავად შეზღუდულობისა ეს კოდექსი მაინც პრაქტიკული აღმოჩნდა და დიდი დახმარება გაუწია მმართველობის ორგანოებს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. მაგრამ ამდგვარი კოდექსი მაინც არ შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის დღევანდელ პრაქტიკულ ამოცანებს.

პროფ. გ. ი. პეტროვს მოცემული აქვს საბჭოთა ადმინისტრაციული მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის საფუძვლების სქემა, რასაც ჩვენც ვიზიარებთ და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის სქემადაც².

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სქემის ზოგად ნაწილში ცალკე თავად უნდა გამოიყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საერთო ცნება, ხოლო პროცესუალური საკანონმდებლო აქტის სქემაში უსათუოდ ცალკე უნდა იქნეს გათვალისწინებული მხარეთა მონაწილეობის საკითხი ადმინისტრაციული სა-

¹ А. Е. Лунев, Административная ответственность за правонарушения, Госюриздат, 1961 г.

² Г. И. Петров, О кодификации советского административного права, „Советское государство и право“, 1962, № 5, стр. 31—32.


მართლის პროცესში, კერძოდ, ადმინისტრაციული კომისიებისა და არბიტრაჟების საქმიანობასთან დაკავშირებით.

საესებით სწორია, რომ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა არ აწესრიგებს საარბიტრაჟო საქმიანობას. სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟი, როგორც მმართველობის ორგანოთა ერთ-ერთი სახე, აწესრიგებს საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის საგეგმო დისციპლინის საკითხებს, — იხილავს მათ ქონებრივ დავებს და იყენებს ადმინისტრაციული ზემოქმედების სხვადასხვა ზომებს. სახელმწიფო მმართველობაში საგეგმო დისციპლინისათვის ბრძოლაში არბიტრაჟი ეყრდნობა სოციალისტური კანონიერებისა და გეგმიურობის საწყისებს და თავის ძირითად საქმიანობას საარბიტრაჟო პროცესის ფორმით ახორციელებს, რაც სპეციალური დებულებით რეგულირდება. სახელმწიფო მმართველობის ამ მნიშვნელოვანმა მხარემ, ბუნებრივია, თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსებში.

ასევე მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ადმინისტრაციულ კომისიებში საქმეების განხილვისას ადმინისტრაციული სამართლის პროცესში უშუალო მონაწილეობას იღებენ ის მხარეები, რომლებიც მკვეთრად გამოხატული ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-პროცესუალური უფლებებითა და მოვალეობებით ხასიათდებიან. ადმინისტრაციული კომისიები დიდ როლს თამაშობენ მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი დისციპლინის დაცვის საქმეში, დებულობენ რა სხვადასხვა ზომებს ადმინისტრაციული დარღვევების აღსაკვეთად. ადმინისტრაციული კომისიები, როგორც მათ დებულებაშია აღნიშნული, მოწოდებული არიან იღვანენ მშრომელთა ინტერესების, სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე. ბუნებრივია, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი ორგანოების საქმიანობამაც თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის პროცესუალურ რესპუბლიკურ კოდექსებში.

ადმინისტრაციულმა სამართლის კოდექსმა განსაკუთრებული სიცხადე უნდა შეიტანოს ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების საკითხში. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრიობის ზემოქმედების როლს ადმინისტრაციული სამართლის დარღვევებთან ბრძოლის საქმეში. სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ძირითადი ზემოქმედების ფორმად უნდა იქცეს არა იძულება და დასჯა, არა ჯარიმები, არამედ დარწმუნება და აღმზრდელი მეთოდები. ამასთან ერთად არ შეიძლება უარი ვთქვათ ადმინისტრაციული ზემოქმედების მკაცრ ფორმებზეც. ადმინისტრაციული სამართლის კოდექსმა უნდა განსაზღვროს ის ასაკიც, რომლიდანაც შეიძლება დადგეს ადმინისტრაციულ სამართალში პასუხისმგებლობის საკითხი. ასეთ ასაკად ჩვენ მიგვაჩნია 14 წელი.

გარდა ამისა საჭირო იქნება მკაცრად განისაზღვროს სხვადასხვა ორგანოების მიერ გამოყენებული ჯარიმების დადების წესი და ფორმები. ჩვენის აზრით დადებით შედეგს მოიტანდა იმ ორგანოთა რიცხვის შემცირება, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ და იმ ორგანოთა და თანამდებობის პირთა რიცხვის შემცირებაც, რომელთაც შეუძლიათ დააკისრონ ჯარიმები და იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებანი. მიზანშეწონილი იქნება თუ საქმეების უმეტეს ნაწილს ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ განიხილავს მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები



და მხოლოდ მათი გადაწყვეტილებით დაეკისრებათ ადმინისტრაციული სამსახურის სმგებლობა ადმინისტრაციულ გადაცდომაში დამნაშავე პირებს. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებამ გარკვეულობა შეიტანა ამ საკითხის ერთ მხარეში. ამ ბრძანებულებით შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციულ კომისიებზე განსახილველად ჯარიმის საქმეების გადაცემა იმ ორგანოთა და თანამდებობის პირებისაგან, რომელთაც ადმინისტრაციული კომისიებისათვის მიმართვის გარეშე აქვთ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება. სასურველი იქნება თუ ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი აიღებს გეზს ამ წესის ფართოდ გამოყენებისაკენ.

ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი არ უნდა შეიცავდეს მმართველობის კონკრეტულ ორგანოს, დაწესებულებისა თუ საწარმოს უფლებრივი მდგომარეობის დეტალურად განმსაზღვრელ ნორმებს. კოდიფიცირებას უნდა დაექვემდებაროს ზოგადი ნორმები მმართველობის დარგში, რომლებიც შეეხებიან სახელმწიფო მმართველობას მთლიანად, მის პრინციპებს. ამიტომ მმართველობის კონკრეტული ორგანოების თუ ორგანიზაციების წესდებები და დებულებები კვლავ განაგრძობენ მოქმედებას (შესაძლებელია რაიმე ცვლილებების შეტანით ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებით), ხოლო ის დებულებები და წესდებები, რომლებიც განსაზღვრავენ მრავალი ერთგვაროვანი მმართველობის ორგანოს, დაწესებულების თუ საწარმოს უფლებრივ მდგომარეობას, უნდა დაექვემდებარონ კოდიფიცირებას.

ვერ დავეთანხმებით ა. ე. ლუნევს, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მიზანშეწონილად თვლის მმართველობის დეტალურად განმსაზღვრელი ისეთი ნორმების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ: სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვას ხულიგნებისა, ლოთებისა და პარაზიტებისაგან, საპასპორტო რეჟიმის წესების შესრულებას, სამხედრო აღრიცხვას, ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის სისწორეს, ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროებას, ქონების, ლიტერატურის და ა. შ. საზღვარგარეთიდან შემოზიდვას და გაზიდვას და სხვ. იგი შესაძლებლად თვლის კოდექსის კერძო ნაწილში ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენებასაც კი¹.

სწორად არ მიგვაჩნია აგრეთვე ნ. ნაშვიანკოსა და ა. კორენევის აზრი იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული კოდექსები უნდა შეიცავდნენ სამხარეო, საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო მშრომელთა დებუტატების საბჭოების დებულებებს². ასეთი დებულებები მიიღებიან შესაბამისი საბჭოების სესიებზე, ხოლო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საერთო უფლებრივი მდგომარეობა უნდა განსაზღვროს თვით კოდექსმა.

ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მმართველობის დარგში (ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები, პროფკავშირები და სხვ.) უსათუოდ ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიცირებას უნდა დაექვემდებარონ. ხოლო ადმინისტრაციული სამართლის ის ნორმები, რომლებიც მოთაესებული არიან სხვადასხვა ხასიათის კოდი-

¹ А. Е. Лунев, Некоторые вопросы административного права в связи с его кодификацией, „Советское государство и право“ 1960, № 12, стр. 29.

² Н. Нашиванко, А. Коренев, Да, административный кодекс нужен! „Советская юстиция“, 1961, № 8, стр. 17.

ფიციერებულ აქტებში (როგორცაა, მაგალითად, საზღვაო ნაოსნობის კოდექსი, სსრ კავშირის საჰაერო კოდექსი, სსრ კავშირის საბაჟო კოდექსი, სსრ კავშირის რკინიგზების დებულება და სხვ.) არაა მიზანშეწონილი კოდიფიცირებულნი იქნენ ადმინისტრაციულ სამართლის კოდექსში, ვინაიდან ეს აქტები სპეციალური დანიშნულებისა არიან და მათი მთლიანობის დარღვევა არასასურველ შედეგებს გამოიღებდა. საჭირო იქნება ამ საერთო-საკავშირო აქტების უცვლელად დატოვება, ხოლო ადმინისტრაციული რეგულირების იმ ნორმების კოდექსში გამოტოვება, რომლებიც გავალისწინებულია ამ აქტებით.

კოდექსში გამოხატულება უნდა ჰპოვოს საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის განვითარების ტენდენციებმა თანამედროვე პერიოდში. პარტიის მე-20-21 ყრილობებმა დასახეს სახელმწიფო აპარატის ელასტიკურობისა და მშრომელ მასებთან მისი მიახლოების გზები. ბუნებრივია, ამ გარემოებაამაც თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მაგალითად, ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანოში, საწარმოსა და დაწესებულებაში შეიქმნას აღრიცხვისა და კონტროლის სექტორი, სადაც დამატებითი მუშაობის სახით სამუშაოს შესრულებენ ძირითადი საშტატო ერთეულის მუშაკები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. გასაგებია თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი აღრიცხვასა და კონტროლს¹. იგი მით უფრო აუცილებელია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. აღნიშნული სექტორი, შესრულებს რა ორგანოსა თუ დაწესებულების მართვის პროცესის აღრიცხვასა და კონტროლს, ამასთან ერთად მოახდენს მშრომელთა შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვასა და მათზე რეაგირების კონტროლს, რითაც მისი როლი განუზომლად დიდი იქნება აპარატის მართვის საქმეში. გარდა ამისა სოფლისა თუ რაიონის მშრომელთა აქტივობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადმინისტრაციული სამართლის კოდექსმა აამაღლოს სოფლის, დაბის, რაიონის, ქალაქის მშრომელთა საერთო კრების როლი სახელმწიფო მმართველობის სფეროში.

ადმინისტრაციული სამართლის კოდექსში, რასაკვირველია, თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს მმართველობის თავისებურებამ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში. ასეთი თავისებურება ძირითადად გამოხატული იქნება კოდექსის კერძო ნაწილში. ნორმებმა, რომლებიც რესპუბლიკის თავისებურებას გამოხატავენ სახალხო მეურნეობის, განათლების, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის და მმართველობის სხვა დარგებში, სათანადო ადგილი უნდა დაიკავონ საქართველოს სსრ ადმინისტრაციული სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსებში. ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის მუხლები უნდა შეეხონ აგრეთვე მმართველობას თავდაცვის, საგარეო ურთიერთობისა და ფინანსების დარგებში.

საკითხი ერთგვარ თავისებურებას დებულობს იმ ორგანოთა საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლებიც მმართველობის ორგანოთა რიცხვს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთ ფუნქციებს ახორციელებენ. მხედველობაში გვაქვს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები. ადმინისტრაციული სამართლის კოდექსში მათ საქმიანობამ გამოხატულება უნდა ჰპოვოს იმდენად, რამდენადაც ისინი მოწოდებული არიან უზრუნველყონ სო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებათა მე-4 გამოცემა, ტ., 27, გვ. 296—307, ტ., 25 გვ. 441—445.

ციალისტური კანონიერების გატარება საბჭოთა სახელმწიფო მმართველობაში.


რამდენადაც საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი სამართლის ნორმების დიდი სიუხვითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება და ამასთან სამართლის ამ დარგში საკოდიფიკაციო მუშაობის დიდი გამოცდილება არა გვაქვს, ამიტომ კოდექსის შედგენის დროს საჭიროა გაზრდილი ყურადღება მიექცეს საკოდიფიკაციო ტექნიკასაც.

როგორც აღვნიშნეთ, კოდიფიკაციას დაექვემდებარებიან ზოგადი ხასიათის ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმები. კოდექსის ნორმები არ უნდა ატარებდნენ კაზუალურ ხასიათს, არამედ მსგავსი შემთხვევებისათვის უნდა იყვნენ განკუთვნილი.

საჭირო იქნება ტერმინების დახვეწა და დაზუსტება. კოდექსის ნორმები ნათელი, გასაგები ენით უნდა იყოს შედგენილი. საჭიროა თავი ავარიდოთ უცხო სიტყვების გამოყენებას კოდექსში.

კოდექსი რაც შეიძლება ნაკლები მუხლების შემცველი უნდა იყოს. ადმინისტრაციული სამართალი სამართლის მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი დარგია. ამიტომ ცხადია, რომ მისი ყველა დარგის მომცველი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსიც თავისი მოცულობით შედარებით მოზრდილი იქნება, ვიდრე სხვა კოდექსები. აქედან გამომდინარე სასურველი იქნება ერთი სამართლებრივი ნორმა ასევე ერთ მუხლში იქნეს გამოხატული. რასაკვირველია მუხლის შინაარსი ნათელი და გასაგები უნდა იყოს, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის მუხლების გაზრდის არგუმენტი.

საერთოდ საკოდიფიკაციო მუშაობა ადმინისტრაციულ სამართალში მოითხოვს მეტად სერიოზულ და გულისხმიერ დამოკიდებულებას. ამ საქმიანობაში საჭიროა ჩაბმული იქნან რესპუბლიკის გამოცდილი იურისტები, ის პირები, რომლებიც კარგად იცნობენ ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის კანონმდებლობას. რესპუბლიკის ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი უნდა იყოს რესპუბლიკის პრაქტიკოს იურისტთა და იურისტ-მეცნიერთა შემოქმედების ნაყოფი. ამასთან უსათუოდ უნდა იქნეს გამოყენებული საკოდიფიკაციო მუშაობის გამოცდილება უსსრ-ში, რსფსრ-ში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.



კანონმდებლობა უმეიართი სავაერთო დანაშაულისათვის სავარძალის სსრ ახალი სისხლის სავარძლის კოდექსის მიხედვით

ა. შლენტი

1. პროდუქციის ხარისხის განუხრელი გაუმჯობესებისათვის სხვა ღონისძიებებთან ერთად სერიოზული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სისხლის სამართლებრივ კანონებსაც, რომლებიც საერთოდ მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებენ ცუდი ხარისხის, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის.

აღნიშნული დანაშაულის ნიშნები გათვალისწინებულია საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლში. ამ მუხლით ცუდი ხარისხის, დადგენილ სტანდარტებთან ან ტექნიკურ პირობებთან შეუსაბამო ან არაკომპლექტური პროდუქციის არაერთგზისი ან დიდი ოდენობით გამოშვება სამრეწველო საწარმოდან იდირექტორის, მთავარი ინჟინრის ან ტექნიკური განყოფილების უფროსის მიერ, აგრეთვე სხვა მუშაკთა მიერ, რომლებიც აღნიშნულ თანამდებობის პირთა მოვალეობებს ასრულებენ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით.


ამ დანაშაულის ობიექტია არა მარტო საბჭოთა ვაჭრობის ინტერესები, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მრავალფეროვანი დარგის ინტერესები. უფრო მეტიც, ასეთი მოქმედებით ზიანს განიცდის სოციალისტური საკუთრებაც.

მოცემული დანაშაულის ობიექტურა მხარე გამოიხატება სამრეწველო საწარმოებიდან უხარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებაში. მასასადამე, შიდა საწარმოო წუნი არ შეიცავს ამ დანაშაულის ნიშნებს.

ცუდი ხარისხის, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის არაერთგზისი გამოშვებად უნდა ვიგულისხმოთ ასეთი პროდუქციის გამოშვება ორჯერ და მეტად. დიდი ოდენობა კი უნდა განისაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 160 მუხლში დადგენილია პასუხისმგებლობა ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც უხარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქცია გამოშვებულია სამრეწველო საწარმოებიდან. მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება სამშენებლო ორგანიზაციების მიერ უხარისხო მშენებლობის, სარემონტო ორგანიზაციების მიერ უხარისხო რემონტის ჩატარებისა და ა. შ. ფაქტები. თუმცა ასეთი ორგანიზაციები სამრეწველო საწარმოებად არ იწოდებიან, მაგრამ მათ ხელმძღვანელთა მიმართაც შეიძლება დაისვას საკითხი 160 მუხლის შეფარდების შესახებ.

ცუდი ხარისხის პროდუქციაში იგულისხმება ისეთი ნაწარმი, რომელსაც საერთოდ ხარისხი არ გააჩნია. არასტან-



დართულია პროდუქცია, რომელიც ჯერ პასუხობს ხარისხს, სახელწოდებას, მარკირებას, გამოცდის პირობებსა და სხვ. არაკომპლექტურად ჩაითვლება ისეთი პროდუქცია, რომელსაც აკლია რაიმე შემადგენელი ნაწილი, სათადარიგო ნაწილები, ხელსაწყოები, დანართები ან ინსტრუქციები და ა. შ.

ახალი კანონით გარკვეულობაა შეტანილი ამ სახის დანაშაულის სუბიექტის გაგებაში. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლი არ შეიცავდა ამ დანაშაულის სუბიექტთა ამომწურავ ჩამოთვლას. ასეთად აქ დასახელებული იყო სამრეწველო საწარმოს დირექტორი, მთავარი ინჟინერი და ტექნიკური განყოფილების უფროსი. ძველი კანონის ასეთი რედაქცია ერთგვარ გაუგებრობას ქმნიდა სასამართლო პრაქტიკაში. ამის გამო ახალ კანონში მოცემულია განსახილველი დანაშაულის სუბიექტთა ამომწურავი ჩამოთვლა. კერძოდ, ასეთებად ცნობილია არა მხოლოდ საწარმოს დირექტორი, მთავარი ინჟინერი ან ტექნიკური განყოფილების უფროსი, არამედ აგრეთვე სხვა მუშაკებიც, რომლებიც აღნიშნულ პირთა მოვალეობებს ასრულებენ. ამრიგად, მთავარია არა თანამდებობის პირთა ფორმალური სახელწოდებები, არამედ იმ ფუნქციების ხასიათი, რომლებსაც ისინი ასრულებენ.

სუბიექტური მხარე ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი ბრალი.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ მაღაზიაში და სხვა სავაჭრო საწარმოში ან საზოგადოებრივი კვების საწარმოში მყიდველთა მოტყუება ზომაში, წონაში, დადგენილ საცალო ფასზე მეტის გადახდევინება, აგრეთვე მომხმარებელთა მოტყუება ანგარიშში ან სხვაგვარად — ისევე

თავისუფლების აღკვეთით ვადით ვაჭრობით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან სავაჭრო თუ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. იგივე ქმედობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან იმ პირთა მიერ, რომლებიც ადრე მსჯავრდადებულნი იყვნენ ასეთივე დანაშაულისათვის, — ისევე თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, სავაჭრო საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით.

წინათ მოქმედ ანალოგიურ კანონთან შედარებით ახალი კანონი ანსხვავებს ამ დანაშაულის მარტივ და კვალიფიციურ სახეობებს.

მყიდველთა მოტყუების მარტივი სახეობა ვათვალისწინებულა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დანაშაული კვალიფიციურ სახესღებულობს მაშინ, როცა მყიდველთა მოტყუებას ადგილი აქვს „დიდი ოდენობით ან იმ პირთა მიერ, რომლებიც ადრე მსჯავრდადებულნი იყვნენ ასეთივე დანაშაულისათვის“ (იმავე მუხლის მეორე ნაწილი).

მყიდველთა მოტყუების კვალიფიციური სახის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ასეთი მაგალითი: სამრეწველო მაღაზიის პასუხისმგებელი გამყიდველები ე. და ა., რომლებიც დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდნენ, მყიდველებს ატყუებდნენ ფასებში. მათ ფასის დამახინჯებით გაყიდეს იმპორტული კოსტუმები, 45 მანეთის ნაცვლად 65 მანეთი გადაახდევინეს მყიდველებს (ფულის ახალი ნიშნით) და ამრიგად თვითეულ წყვილ კოსტუმზე ზედმეტად აიღეს 20 მანეთი. სულ ფასდამახინჯებით გაყიდეს 9 წყვილი კოსტუმი.

169-ე მუხლში მოცემულია მყიდველთა მოტყუების მხოლოდ სანიმუშო და არა ამომწურავი განსაზღვრა, რადგან აქ მითითებულია აგრეთვე მყიდველთა სხვაგვარად მოტყუებაზე. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მყიდველთა მოტყუებას ადგილი აქვს შენიღბული ფორმით: მაღაზიის გამგედ. მის ხელქვეითებთან — მატერიალურ პასუხისმგებელ პირებთან ერთად — ეწეოდა მყიდველთა მოტყუებას. დ.-ს განკარგულებით ერთმანეთში ურევდნენ პირველი ხარისხის და უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილს უფრო დიდ ფასებში გაყიდვის მიზნით. ამ გზით დაგროვილ ზედმეტ თანხას ისინი ინაწილებდნენ. შემოწმების დროს დ.-ს ბინაში აღმოჩენილი იქნა 27.800 მანეთი ფული და შემნახველი სალაროს წიგნაკი 117.626 მანეთის ანაბრით (ფასების ძველი ნიშნით)¹.

ამ სახის დანაშაულის სუბიექტი თანამდებობის პირებია — ვაჭრობის სხვადასხვა დარგის მუშაკები. სუბიექტური მხარე შეიძლება მხოლოდ განზრახვაში გამოიხატოს. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე მყიდველთა მოტყუებაში გამოიხატება, ხოლო ობიექტი საბჭოთა ვაჭრობა და მომხმარებელთა ინტერესებია.

ამ სახის დანაშაულზე ბრალულობის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა მყიდველთა მოტყუებაც ფაქტის სასწრაფო რეაგირება. წინასწარი გამოძიებისა თუ სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების დროს, სხვა მტკიცებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოტყუების ფაქტზე სათანადოდ შედგენილ დოკუმენტს; თუმცა არის შემთხვევები, როცა ასეთი დოკუმენტის არ არსებობის დროსაც — დაზარალებულის განცხადების საფუძველზე სხვა და-

მამტკიცებელ მასალებთან ერთად ნდება მოტყუების ფაქტი.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 172 მუხლში მითითებულია, რომ გასაღების მიზნით ისეთი ნაკეთობების მასალებისა და პროდუქტების დამზადება, გადამუშავება ან შენახვა, აგრეთვე გასაღება, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, თუ ასეთი მოქმედება გამორჩენის მიზნით სისტემატურად ხდება ისევე თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით 200 მანეთამდე, აკრძალული რეწვის საგნების კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან დაქირავებული შრომის გამოყენებით — ისევე თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

სისხლის სამართლის წესით ისევე რეწვა გასაღების მიზნით ისეთი მასალების, ნაკეთობებისა და პროდუქტების, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, თუ ასეთ მოქმედებას გამორჩენის მიზანი აქვს და ამავე დროს სისტემატური ხასიათი.

აკრძალულ რეწვის სახეთა ნუსხა მოცემულია არაკოოპერირებული შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესებში. (იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 30 ივნისის და 1958 წლის 22 აპრილის დადგენილებები).

აკრძალული რეწვა სუბიექტური მხრივ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მიზანი გამორჩენის მიღებაა. ახალი კანონის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ მითითებულია აკრძალული რეწვის არაკვალიფიციურ და კვალიფიციურ სახეობებზე, რაც ძველ კოდექსში არ იყო. კვალიფიციური სახეა, თუ აკრ-

¹ „Соц. законность“, № 5, 1961 г. стр. 19.

ძალული რეწვის წარმოება მოხდენილია დიდი ოდენობით ან დაქირავებულნი შრომის გამოყენებით. სანქცია ასეთი დანაშაულისათვის საგრძნობლად არის გაზრდილი.

აკრძალულ რეწვის დროს გაწეული უნდა იყოს გარკვეული შრომა. ამით განსხვავდება ეს დანაშაული სპეკულაციისაგან.

თუ აკრძალულ რეწვას თანამდებობის პირი ეწევა თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ასეთი მოქმედება უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული ერთობლიობით და იგი პასუხს აგებს ორივე ამ დანაშაულისათვის.

სახალხო სასამართლომ ა., ტ. და კ.-ს მსჯავრი დასდო სპეკულაციისათვის. ისინი შემკეთებელ სახელოსნოში მუშაობისას წლების განმავლობაში ურთიერთ შეთანხმებით სისტემატურად ღებულობდნენ მოქალაქეებისაგან კერძო დაკვეთებს მათივე მასალით, არ აფორმებდნენ დაკვეთას და შესრულებულ სამუშაოდან მიღებულ საფასურს იყოფდნენ. შემოწმებისას აღმოჩენილი იქნა მათ მიერ გადაძალად 30.000 მანეთის (ფულის ძველი ნიშნებით) შესაკერი და შეკერილი საქონელი. აღნიშნული პირები ადგენდნენ აგრეთვე ფიქტიურ ქვითრებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ ა-ს, ტ-ს და კ-ს ქმედობა დაკვალიფიცირებული იქნა ერთობლიობით როგორც კერძო რეწვა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება¹.

ფ., რომელიც მუშაობდა სასადილოების ტრესტის სისტემაში სასადილოს გამგედ, ბოროტად იყენებდა თანამდებობას: შემოწმებისას მას სასადილოში აღმოაჩნდა 26 ლიტრი ფალსიფიცირებული არაყი, მეტალის ყალბი ბეჭედი, რიცხვების დასაწერი ხელსაწყო, ლუქი და სხვა მოწყობილობა; ბინის შემოწმე-

ბისას აღმოაჩნდა 80 ლიტრი სპირტისაგან დამზადებული გაფილტრული არაყი, 250 ცალი იარლიყი, 300 ცალი ბოთლის საცობი და სხვა. დადგენილი იქნა, რომ ფ. სისტემატურად ამზადებდა ბინაში სპირტისაგან ფალსიფიცირებულ არაყს, შეჰქონდა იგი სასადილოში, სადაც თითონ მუშაობდა და უკეთებდა რეალიზაციას. ფ.-ს ბრალი დაედო ზემოთ აღნიშნულ ორივე დანაშაულისათვის.

ბ. მუშაობდა რა არტელში ბრიგადირად. შემდგომი გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის მან საამქროში შეიტანა 3427 დეციმეტრი ტყავი, 38 ნაჭერი ფენსაცმელის საძირე ტყავი, 3226 დეციმეტრი 58 ნაჭერი თეთრი ტყავი, სხვადასხვა სახის ტყავები 1000 დეციმეტრის რაოდენობით. დაქირავებულ საწყობში შემოწმებენ დროს მას აღმოაჩნდა აგრეთვე კაცისა და ქალის შეკერილი ფენსაცმელები, 56 წყვილი ბავშვისა და ქალის ჩუსტები. ბ. სახალხო სასამართლოს მიერ დასჯილი იქნა თანამდებობრივი დანაშაულისა და სპეკულაციისათვის. სახალხო სასამართლოს განაჩენი აღნიშნულ საქმეზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ შესწორებული იქნა. ბ.-ს ქმედობა სპეკულაციის ნაწილში გადაკვალიფიცირებული იქნა აკრძალულ რეწვაზე, ხოლო თანამდებობის ბოროტად გამოყენების ნაწილში განაჩენი დატოვებულ იქნა ძალაში. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინება ბ.-ს მიმართ კვალიფიკაციის შეცვლის ნაწილში სწორია. ბ-მ თანამდებობის ბოროტად გამოყენებით შეძლო აკრძალულ რეწვის წარმოება, სხვადასხვა მასალების შეძენით და მათი გადამუშავებით მოახდინა შემდგომი რეალიზაცია. აღნიშნულის გამო ბ.-ს მოქმედება-

¹ „Судебная практика Верховного Суда ССР“, 1955 г., № 2, стр. 20 - 21.

ეროვნული
სამართლებრივი

ში არ არის სპეკულაციის შემადგენლობის ნიშნები.

აკრძალული რეწვა არსებითად განსხვავდება სპეკულაციისაგან თავისი შინაარსით, რადგან სპეკულაციის დროს დამანაშავე არავითარ პირად შრომას არ აქსოვს იმ საქონლის წარმოებაში, რომლის გადაყიდვასაც ახდენს გამორჩენის მიზნით. სწორედ ამიტომ აკრძალული რეწვა და შემდგომი რეალიზაცია განსხილული უნდა იქნეს „არა როგორც დანაშაულის ერთობლიობა აკრძალული რეწვისა და სპეკულაციის, არამედ როგორც ერთი დანაშაული — აკრძალული რეწვის წარმოება“¹.

იმ შემთხვევაში, თუ აკრძალულ რეწვასთან ერთად პიროვნება აწარმოებს აგრეთვე საქონლის ყიდვა — გადაყიდვას გამორჩენის მიზნით, მაშინ საქმე გვექნება ამ ორი დანაშაულის ერთობლიობასთან.

4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ სპეკულაცია არის საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით, აგრეთვე სასაქონლო დოკუმენტების იმავე მიზნით გადაყიდვა. სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე ან ჯარიმა ას მანეთამდე.

იგივე მოქმედება ჩადენილი ხელობის სახით ან დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 7-წლამდე, ქონების კონფისკაციით.

წვრილმანი სპეკულაცია, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც პირის მიმართ ასეთივე მოქმედებისათვის გამოყენებული

იყო საზოგადოებრივი შემოქმედების ღონისძიება, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

თუ წინათ მოქმედი კანონით სპეკულაციის სუბიექტი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კერძო პირი, ამჟამად ასეთად ცნობილია აგრეთვე თანამდებობის პირიც. ზოგიერთ შემთხვევაში თანამდებობის პირი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სპეკულაციას უშუალოდ ჩადის ანდა ზოგჯერ ეს ხდება სპეკულანტებთან დაკავშირების გზით, მათთვის საქონლის გადაცემით და მოგების განაწილებით.

ც. მუშაობდა მალაზიის გამგედ, ხოლო მ. მეორე პასუხისმგებელ გამოყიდველად. მათ მალაზიაში დიდი რაოდენობით შექმნდათ უფაქტურო საქონელი, რასაც რეალიზაციას უკეთებდნენ მოგების მიზნით. შემოწმებისას მათ მალაზიაში, კერძოდ, დაქირავებულ სარდაფში აღმოაჩინდათ 108.395 მანეთის (ფულის ძველი ნიშნით) უფაქტურო საქონელი. ც.-ს და მ.-ს დანაშაული დაკვალიფიცირებული იქნა თანამდებობის ბოროტად გამოყენებითა და სპეკულაციის ერთობლიობით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 25 ივნისის № 13/11-ე დადგენილებაში მითითებულია, რომ „როდესაც თანამდებობის პირები სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით იძენენ საქონელს და შემდეგ თითონვე აწარმოებენ მათ გადაყიდვას მოგების მიზნით, ისინი პასუხს აგებენ ერთობლიობით სამსახურებრივი მდგომარეობის ბორო-

¹ А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, В. М. Чхиквадзе, стр. 306. Москва, 1959 г. Госюриздат. Курс Советского уголовного права; Особенная часть, том II.

ტად გამოყენებისათვის და სპეკულაციისათვის¹“.

ბ. მუშაობდა რაიკავშირის მალაზიის გამგე — გამოიდევლად, სხვა პირთა ხელის შეწყობით მან შეძლო არტელიდან დაეტაცებინა 80 000 მანეთის ბამბა (ფულის ძველი მასშტაბით), გაფორმების გარეშე შეიტანა იგი მალაზიაში და ყიდდა მოგებით. ბ.-ს მოქმედება დაკვალიფიცირდა საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობაში თანამონაწილეობით, სპეკულაციისა და თანამდებობრივ დანაშაულთა ერთობლიობით.

სპეკულაციის სუბიექტური მხარე არის განზრახი მოქმედება, მიზანი გამორჩენის მიღება. თუ არ არსებობს მოგების მიღების მიზანი, მაშინ არც დანაშაულია ჩადენილი, ე. ი. ადგილი არა აქვს სპეკულაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ ჯერ კიდევ 1938 წლის 31 დეკემბერს მიღებულ დადგენილებაში სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ აღინიშნა: „ზოგჯერ სპეკულაციისათვის სჯიან ისეთ პირებს, რომელთა მოქმედება არავითარ სპეკულაციის ნიშნებს არ შეიცავს. ასეთი შეცდომები, რომელთა შედეგია მშრომელთა უსაფუძვლოდ მსჯავრის დადება მცირე მნიშვნელოვანი დანაშაულისათვის, ზოგჯერ კი ისეთი მოქმედებისათვის რაც არავითარი დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს, შეიძლება მხოლოდ ხელსაყრელი იყოს სპეკულანტებისათვის, რომელნიც ეპარებიან გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების ყურადღებას. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოქალაქეს რაიმე ნივთის შემთხვევით გაყიდვისათვის, კოლმეურნეს და ერთპიროვნულ გლეხს თავისი მეურნეობის პრო-

დუქტის გაყიდვისათვის და შინამეურველს თავისი ნაკეთობის გაყიდვისათვის, უსაფუძვლოდ ედებათ მსჯავრი სპეკულაციის შესახებ მოქმედი კანონის მიხედვით“.

ს. და მ.-ს მიმართ აღიძრა საქმე მილიციის ორგანოებში. მათ. ქ. მოსკოვში ყოფნისას შეისყიდეს 3 წყვილი ნიკელის საწოლი თითოეული ღირებული 986 მანეთად (ფულის ძველი ნიშნებით). ერთი წყვილი საწოლი სამი თვის შემდეგ მიყიდეს მოქ. ბ.-ს 1050 მანეთად. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ს. და მ. არიან ცოლ-ქმარი, სპეციალობით პედაგოგები, ზაფხულის არდადეგების დროს გადაწყვიტეს სამაჟრნალოდ ქ. მოსკოვში წასვლა. ნათესავებმა გაატანეს ფული ორი წყვილი საწოლის შესაძენად. ერთი წყვილი საწოლი რომელიც ს.-ს და მ.-ს თავის საჭიროებისათვის ჰქონდათ შეძენილი, რამდენიმე თვის შემდეგ გაყიდეს საცხოვრებელი ბინიდან გადასვლის გამო. რამდენადაც ზედმეტი ფასით ს.-მ და მ.-მ ჩამოტანის ხარჯები დაფარეს, მათ მოქმედებაში არ არის სპეკულაციის ნიშნები. ამიტომ იყო, რომ საქმე მოისპო წარმოებით. მათ საწოლების ყიდვისას არ ამოძრავებდათ გამორჩენის მიზანი.

განსხვავებით ძველისაგან, ახალ კანონში გაფართოებულია სპეკულაციის საგანთა წრე. თუ წინათ მოქმედი კანონის მიხედვით სპეკულაციის საგნად ცნობილი იყო „სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ფართო მოხმარების საგნები“, ახალ კანონში უკვე მითითებულია საქონელსა და სხვა საგნებზე, აგრეთვე სასაქონლო დოკუმენტებზე.

თუმცა სხვა სახის დანაშაულთან ერთად სპეკულაცია წლითიწლობით მცირდება, მიუხედავად ამისა, შეიმჩნე-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილებების კრებული, 1955 წ., გვ. 21—35.

ვა ამ უკანასკნელი დანაშაულის საგნების სახეობათა გაფართოება.

ხშირია ისეთი საგნებით სპეკულაციის შემთხვევები, რომლებიც არ შეიძლება მიეკუთვნონ ფართო მოხმარების საგნებს იმ მნიშვნელობით, რასაც წინათ მოქმედი კანონი ითვალისწინებდა. ასეთია, მაგალითად, ავტომანქანებით, რადიომიმღებებით, ტელევიზორებით, მსხვილფეხა საქონლით სპეკულაცია და სხვა.

ლ. და ს. ეწეოდნენ ნოხებით სპეკულაციას. ჩხრეკისას ბინაში აღმოაჩნდათ 5 ცალი დიდი ზომის ნოხი, რომლებიც მათ ქ. ქუთაისში ჩამოიტანეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან გაყიდვისა და გამოჩენის მიღების მიზნით. ისინი წლების განმავლობაში არ ეწეოდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

მ. სისტემატურად ეწეოდა პიანინოების შესყიდვას და გადაყიდვას ზედმეტ ფასებში. მან პიანინო „როსტოვიდონი“ 5265 მანეთად ღირებული მოქ. რ.-ს 8000 მანეთად მიყიდა. მანვე იმავე ღირებულების პიანინო „აკორდი“ მოქ. მ.-ს მიყიდა 7000 მანეთად (ფულის ძველი ნიშნით).

ფ. არსად არ მუშაობდა და ეწეოდა მსხვილფეხა საქონლით სპეკულაციას. მან სამი თვის განმავლობაში 4 დეკეული იყიდა და გაყიდა გადიდებულ ფასებში.

სპეკულაციის ფაქტის დადგენის დროს უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ სისტემატური ყიდვა და გაყიდვა, არამედ მოგების მიზნით ყიდვა-გაყიდვის ერთეული შემთხვევებიც.

ე. მსჯავრდადებული იქნა სპეკულაციისათვის მასზედ, რომ ბინაში მიიყვანა მოქალაქე მ. და ერთი წყვილი მამაკაცის ტუფლი ღირებული 270 მანეთად

მიჰყიდა 450 მანეთად (ფულის ძველი ნიშნით); ე. ადრე იყო გასამართლებული სპეკულაციისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 10 თებერვლის № 2/3 დადგენილებაში „სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ნათქვამია: „შეიძლება მსჯავრის დადება ისეთ შემთხვევაში, როდესაც თუმცა გადაყიდვას ადგილი არ ქონია, მაგრამ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ საქონლის შესყიდვა ხდებოდა გადაყიდვისათვის გამორჩენის მიზნით“.

ლ. არსად არ მუშაობდა, იგი ადრე გასამართლებული იყო სპეკულაციისათვის, ხოლო უკანასკნელად დააკვეს ქ. ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზარზე იმ დროს, როცა გასაყიდად გამოტანილი ჰქონდა ქ. მოსკოვში შექმნილი სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი, ამასთანავე შეამოწმეს მისი საცხოვრებელი ბინა, სადაც აღმოჩნდა დიდძალი საქონელი: ქალის პალტოები, ბავშვის ტანსაცმელები და სხვა. ლ. სპეკულაციის მცდელობისათვის გაასამართლეს.

ამრიგად, თუ კი ადგილი აქვს სპეკულაციის მიზნით ყიდვას, მაშინაც კი როცა გადაყიდვას ადგილი არ ქონია (იგულისხმება, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე ამ შემთხვევაში გამოირიცხულია), ადგილი აქვს სპეკულაციის მცდელობას.

სპეკულანტის მიზანი გამორჩენა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ის ვერ აღწევს სასურველ შედეგს, ვერ ღებულობს გამორჩენას, მაგრამ ამით სპეკულანტის მოქმედების კვალიფიკაცია არ იცვლება, რადგან აქ განმსაზღვრელია არა მოგების ფაქტი, არამედ გამორჩენის მიღების მიზანი¹.

¹ „Сборник действующих постановлений Пленума Верховного суда СССР 1924—51 гг.“. Госюриздат, 1952 г., стр. 33.

² Г. Б. Виттенберг, „Ответственность за спекуляцию“, Госюриздат, 1962 г. стр. 86.

მ., რომელიც ეწეოდა მსხვილფეხა საქონლით სპეკულაციას, მოქ. ა-საგან, შეძენილი დეკეული დაკლა და გაყიდა. ასევე დაკლული და გაყიდული იქნა მის მიერ მოქალაქე გ.-საგან ნაყიდი დეკეული. წინასწარი და სასამართლო სამსჯავრო გამოძიებით დადგენილი იქნა, რომ ორივე შემთხვევაში ფ.-მ საქონელი შეიძინა და გაყიდა გამორჩენის მიზნით, თუმცა მას ფაქტიურად გამორჩენა არ მიუღია; პირიქით, 1500 მანეთად (ფულის ძველი ნიშნით) ნაყიდი დეკეულის ხორცის რეალიზაციის შემდეგ უფრო ნაკლები თანხა აიღო.

ხშირად ადგილი აქვს კინოს, თეატრის, ფეხბურთის, ბილეთების გადიდებულ ფასებში ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს. საბჭოთა მოქალაქეების კულტურული მოთხოვნილებანი დღითიდღე იზრდება, რასაც ზოგიერთი პარაზიტული ელემენტი ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, მიისწრაფის მიიღოს გამორჩენა, ეწევა ბილეთების ყიდვა-გაყიდვას გადიდებულ ფასებში. ასეთი „ვაჭრობა“, რა სახის საქონლითაც არ უნდა ხდებოდეს, ლახავს მომხმარებლის ინტერესებსა და არღვევს საბჭოთა ვაჭრობის წესებს.

საქართველოს სსრ 1928 წლის სსკ 142-ე მუხლი არ განასხვავებდა სპეკულაციის ფორმებს და სახეებს სპეკულაციის საგნის ოდენობის მიხედვით; მასში არ იყო დაყოფა მსხვილმან და წვრილმან სპეკულაციად. აღნიშნული მუხლით სპეკულაციისათვის დაწესებული სანქცია ვრცელდებოდა როგორც წვრილმან, ისე მსხვილმან სპეკულაციაზე.

ახალი კანონი სწორ დიფერენცირებას ახდენს და განასხვავებს მსხვილმან და წვრილმან სპეკულაციას.

წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

გათვალისწინებულია მაშინ, თუ ეგვიზა დენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც პიროვნების მიმართ ასეთივე მოქმედებისათვის გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

ზუსტი ზღვარი, თუ სასპეკულაციო საგნის რა მოცულობა და ღირებულება საჭირო წვრილმანი სპეკულაციისათვის, არ არსებობს. იგი ცალკეული კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა დადგინდეს.

ე.-ს სასპეკულაციოდ აღმოაჩნდა საკოლმეურნეო ბაზარზე ლამპის 8 ცალი შუშა. შემოწმებით გამოირკვა, რომ ორი თვით ადრე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იგი მშრომელთა კოლექტივს გადაეცა აღმზრდელობითი ღონისძიების გასატარებლად ანალოგიურ ქმედობაზე. ე. გასამართლდა წვრილმანი სპეკულაციისათვის.

სპეკულაციის კვალიფიციური სახე გვექნება მაშინ, თუ სპეკულაცია ჩადენილია დიდი ოდენობით ან ხელობის სახით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. (საქართველოს სსკ 165-ე მუხლის მე-2 ნაწ.) ხოლო იმავე მუხლის I ნაწილი გულისხმობს არაკვალიფიციურ სახეს.

რსფსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლში მითითებულია აგრეთვე გამორჩენის მიზნით სასაქონლო დოკუმენტების გადაყიდვაზე, რაც მეტი სიცხადით განსაზღვრავს სპეკულაციის საგანთა წრეს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით სასაქონლო დოკუმენტების შეტანა სპეკულაციის საგანთა წრეში ხელს შეუწყობს

ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165 მუხლით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ სპეკულაციად, გარდა ხელობის სახითა და დიდ ოდენობისა, ითვლება აგრეთვე სპეკულაცია ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. ეს უკანასკნელი რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლში არ არის გათვალისწინებული. ამ მუხლით სპეკულაციის დამამძიმებელ ფორმად ითვლება „სპეკულაცია, ჩადენილი ხელობის სახით ან დიდი ოდენობით“.

როგორც წვრილმანი, ისე კვალიფიციური სპეკულაციის ღია და შენიღბული სახეები გვხვდება.

სპეკულაციის შენიღბული სახეა, როცა თანამდებობის პირი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, გაუფორმებელი საქონლით ვაჭრობს; ადგილი აქვს აგრეთვე ცალკეული პირების ან ჯგუფების მიერ დატაცებული საქონლის გაყიდვას, სხვადასხვა ფიქტიური საბუთების გამოყენებით კოოპერატიული ან საკოლმეურ-

ნეო ვაჭრობის აბრით საქონლის ყიდვა-გაყიდვას, მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის ყიდვას, დაკვლას და ხორცის რეალიზაციას. ადგილი აქვს აგრეთვე სპეკულანტების მიერ ნაყიდი საქონლის გადაყიდვას საკომისიო მაღაზიების მეშვეობით, კერძო რეწვის ნიღაბით სხვის ნაკეთობათა ყიდვა-გაყიდვას მოგებით, დაფნის ფოთლით და ციტრუსებით სპეკულაციას საკარმიდამო ნაკვეთში არსებული ნარგავების საფარით, სპეკულაციის მიზნით სხვადასხვა მისამართებზე საფოსტო ამანათების გაგზავნას და ა. შ.

სპეკულაციის ზემოჩამოთვლილ სახეთა დასახელება პირობითია, პრაქტიკაში სპეკულაციის სხვა სახის შემთხვევებსაც აქვს ადგილი.

სამეურნეო დანაშაულის ზოგიერთი სახე, რომელსაც ჩვენ ნაწილობრივ შევვხებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მხოლოდ შემადგენელი ნაწილია. ამ სახის დანაშაულთა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა ხელს შეუწყობს საბჭოთა კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს.

მემკვიდრეობის საპატრონის საკითხები ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით

ს. ჯაფარიძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში, კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების შესაბამისად, ჩამოყალიბებულია საბჭოთა მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპული დებულებები. ამ დებულებების მიხედვით უნდა მომზადდეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა მემკვიდრეობის სამართლის დარგში.

საბჭოთა მემკვიდრეობის სამართლის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებასთან. მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება მათ შრომით შემოსავალსა და ქონებაზე დაცულია კანონით, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება თავის სოციალურ-სამეურნეო დანიშნულებას. მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლების დაცვისა და განვითარების ამოცანებს ემსახურება, აგრეთვე, მემკვიდრეობის სამართლის კანონმდებლობაც.

ბურჟუაზიული ქვეყნების მემკვიდრეობის სამართლისაგან განსხვავებით, საბჭოთა მემკვიდრეობის სამართლის მიხედვით მოქალაქეთა პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლების განხორციელება წარმოებს მხოლოდ კანონის ან ანდერძის საფუძველზე. ამასთან, ანდერძით მემკვიდრეობა ყველა შემთხვევაში არ გამორიცხავს კანონით მემკვიდრეობის შესაძლებლობას.

საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად მოქალაქეს მემკვიდრეობის უფლება არ

შეიძლება ჩამოერთვას განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით. ამ საერთო დებულებიდან გამონაკლისი დაწესებულია მხოლოდ საბჭოთა სასამართლო პრაქტიკით.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად მემკვიდრეს, რომელიც მსჯავრდებულია სამკვიდროს დამტოვების მკვლელობისათვის, უფლება არა აქვს მემკვიდრეობის წესით მიიღოს მოკლულის (სამკვიდროს დამტოვების) პირადი საკუთრების ქონება.¹ ჩვენის აზრით, ასეთი საფუძვლით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობა საკანონმდებლო წესით დადგენილ უნდა იქნას ახალი სამოქალაქო კოდექსით.

მემკვიდრეობის უფლება არის პირადი, განუსხვისებელი უფლება და ისპობა მემკვიდრის გარდაცვალებასთან ერთად. ამ საერთო დებულებიდან, საბჭოთა სასამართლო პრაქტიკით, დაწესებულია გამონაკლისი იმ მემკვიდრისათვის, რომელმაც მემკვიდრეობის მიღებისათვის კანონით დაწესებული ვადის განმავლობაში გარდაცვალების გამო ვერ გამოთქვა თავისი ნება მემკვიდრეობის მიღების შესახებ. ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილი მემკვიდრის უფლება სამკვიდრო ქონების იმ ნაწილზე, რომელიც მას უნდა მიეღო, გადადის მის მემკვიდრეზე. ამასთან, ამ უფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მემკვიდრეობის მიღებისათვის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ჩვენის აზრით, მემკვიდრეობის უფლების გადაცემის ასეთი

¹ Справочник по вопросам судебной практики, 1937 г. стр. 50.]

წესი გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალი სამოქალაქო კოდექსით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 118 მუხლით დადგენილია მხოლოდ პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა წრე. ამ მუხლის შესაბამისად პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან: გარდაცვლილის შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები), მეუღლე და მშობლები (მათ შორის შვილად ამყვანები); აგრეთვე გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საფუძვლებით გარდაცვალებულის მშობლები აღიარებულია პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებად, მიუხედავად მათი შრომისუუნარობისა.

საბჭოთა საოჯახო სამართლის კანონმდებლობის თანახმად შვილად ამყვანი შვილად აყვანილისა და მისი შთამომავლობის მიმართ შეიძენს ყველა პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, როგორც წარმოშობითი ნათესავები (73 მუხ.). ამ ნორმის ასეთი რედაქციის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ შვილად აყვანილის გარდაცვალების შემთხვევაში, მემკვიდრეობის მიღებისათვის, შვილად ამყვანი გამოიწვევა მშობლების თანაბარი უფლებით. ამჟამად ეს საკითხი გადაწყვეტილია საკანონმდებლო წესით. საფუძვლების 118 მუხლში, პირველი რიგის მემკვიდრეთა შორის, თანაბარი უფლებებით მოხსენებულია გარდაცვლილის შვილად ამყვანი.

საფუძვლებით შენარჩუნებულია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესი, მემკვიდრეობის მიღებისათვის შვილიშვილების წარმომადგენლობის უფლების საფუძველზე გამოიწვევის შესახებ. მემკვიდრეობის მიღებისათვის შვილიშვილები გამოიწვე-

ვიან წარმომადგენლობის უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მშობელი გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე და თანასწორი უფლებით მიიღებენ სამკვიდრო ქონების იმ წილს, რომელიც მიეკუთვნებოდა მათ მშობელს მემკვიდრეობის გახსნის მომენტში ცოცხალი რომ ყოფილიყო.

ამრიგად, საფუძვლების მიხედვით, მემკვიდრეობის მიღებისათვის წარმომადგენლობის უფლებით გამოიწვევიან მხოლოდ სამკვიდროს დამტოვებლის პირდაპირი დადმავალი ხაზის შთამომავლობა — შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები. სამკვიდროს დამტოვებლის სხვა მემკვიდრეთა შთამომავლობა მემკვიდრეობის მიღებისათვის წარმომადგენლობის უფლებით არ გამოიწვევიან. კერძოდ, სამკვიდროს დამტოვებლის კმაცოფაზე მყოფი პირის შვილი მემკვიდრეობის მიღებისათვის წარმომადგენლობის უფლებით არ გამოიწვევა.

სასამართლოს პრაქტიკაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ შეიძლება თუ არა მემკვიდრეობის მიღებისათვის წარმომადგენლობის უფლებით გამოწვეული იქნეს შვილიშვილები, იმ შემთხვევაში თუ მის მშობელს ანდერძით ჩამოერთვა მემკვიდრეობა?

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ამ საკითხთან დაკავშირებით მიუთითა, რომ თუ მოანდერძის შვილი, რომელსაც მემკვიდრეობის უფლება ანდერძით ჩამოერთვა, გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე, მისი არასრულწლოვანი შვილები (მოანდერძის შვილიშვილები) მემკვიდრეობის მიღებისათვის წარმომადგენლობის უფლებით გამოიწვევიან საერთო საფუძველზე. ხოლო სრულწლოვანი შვილები (მოანდერძის შვილიშვილები) მემკვიდრეობის მიღებისათვის გამოიწვევიან მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელი ქონე-

ბა ანდერძით არ აქვს გადაცემული სხვა მემკვიდრეებს.

ასეთი მონაცემების არსებობისას, მემკვიდრეობის მიღებისათვის შვილიშვილების წარმომადგენლობის უფლებით გამოწვევის შესაძლებლობა დადგენილ უნდა იქნას საკანონმდებლო წესით — ახალი სამოქალაქო კოდექსით.

საფუძვლებით განსაკუთრებული პირობებია დაწესებული იმ შრომისუუნარო პირის სამემკვიდრეოდ გამოწვევისათვის, რომელიც სამემკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე იმყოფებოდა არა ნაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე. ასეთი პირი მემკვიდრეობას მიიღებს იმ რიგის მემკვიდრეთა თანაბრად, რომლებიც სამემკვიდრეოდ გამოიწვევიან. ამ დებულების ძალით, სამემკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე მყოფი პირის არსებობა არ გამორიცხავს იმ მემკვიდრეთა სამემკვიდრეოდ გამოწვევის შესაძლებლობას, რომელსაც დაადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

საფუძვლები შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს კანონით მემკვიდრეთა შემდგომი რიგი. ამასთან, შემდგომი რიგის კანონით მემკვიდრეები მემკვიდრეობის მისაღებად გამოიწვევიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არიან პირველი რიგის მემკვიდრეები ან მათ არ მიიღეს მემკვიდრეობა კანონით დადგენილი წესით. ამ რედაქციის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს დააწესოს კანონით მემკვიდრეთა შემდგომი რიგი, ან უარი განაცხადოს ასეთის დაწესებაზე.

საფუძვლებით დაწესებული პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა წრე არ მოიცავს ოჯახის ყველა წევრთა შემადგენლობას. საოჯახო სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად ოჯახის წევრებად ითვლებიან — მეუღლე, შვილე-

ბი, მშობლები, პაპა, ბებია, ძმები და დები. ამასთან, იმ ფაქტის ძალით, რომ ოჯახის ამ წევრთა შორის კანონით დაწესებულია ორმხრივი საალიმენტო ვალდებულება, სასურველად უნდა ჩაითვალოს შემდგომი რიგის კანონით მემკვიდრეთა წრის დაწესება.

ჩვენის აზრით, თუ პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები არ არიან ან მათ მემკვიდრეობა არ მიიღეს, მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებად უნდა ჩაითვალოს გარდაცვლილის პაპა, ბებია, დები და ძმები. ამასთან, შემოღებული უნდა იქნეს დისა და ძმის შვილების წარმომადგენლობის უფლებით სამემკვიდრეოდ გამოწვევის შესაძლებლობა.

საფუძვლებით დაწესებულია, რომ კანონით მემკვიდრეობის დროს პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა შორის ქონება განაწილდება თანასწორ ნაწილად, თუ სამკვიდრო ქონების განაწილების ეს წესი ანდერძით არ არის შეცვლილი. შემდგომი რიგის კანონით მემკვიდრეთა შორის სამკვიდრო ქონების განაწილების წესს დაადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

საფუძვლებით სავსებით ახლებურად არის გადაწყვეტილი ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების მემკვიდრეობის მიღების საკითხი.

სამოქალაქო კოდექსის 420 მუხლის შენიშვნის თანახმად ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობის და საყოფაცხოვრებო საგნები გადაეცემა იმ მემკვიდრეებს, რომლებიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ, იმ პირობით თუ ისინი მემკვიდრეობის მიღებისათვის გამოწვეულნი არიან კანონით დადგენილი წესით. თუ არ შეიძლება გარდაცვალებულთან ერთად მცხოვრები მემკვიდრეების სამემკვიდრეო გამოწვევა, იმ შემთხვევაში მათ არ შეიძლება გადაეცეს ჩვეულებრივი საოჯახო

მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნები. ასე მაგალითად, გარდაცვალებულს დარჩა მეუღლე, შვილები და ძმები. მათ შორის გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ მეუღლე და ძმები. მოცემულ შემთხვევაში სამკვიდრო ქონება თანასწორ წილად განაწილდება გარდაცვალებულის მეუღლესა და შვილებს შორის. ამასთან ერთად, მეუღლე, როგორც გარდაცვალებულთან ერთად მცხოვრები მემკვიდრე, დამატებით მიიღებს ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნებს. ხოლო ძმები მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარდაცვლილთან ერთად ცხოვრობდნენ ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნებს ვერ მიიღებენ, იმ ფაქტის ძალით, რომ მათი, როგორც მესამე რიგის კანონით მემკვიდრეებისა, სამემკვიდრეოდ გამოწვევა არ შეიძლება.

ამ წესისაგან განსხვავებით, საფუძვლების მიხედვით კანონით მემკვიდრეობის დროს ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნები გადაეცემა იმ მემკვიდრეებს, რომლებიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ, მიუხედავად მათი რიგისა და მემკვიდრეობის წილისა.


ამ დებულების თანახმად მეორე ან მესამე რიგის კანონით მემკვიდრეები, რომლებიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ, ჩვეულებრივ საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნებს მიიღებენ, მიუხედავად იმისა მემკვიდრეობის მიღებისათვის შეიძლება თუ არა მათი გამოწვევა. ამასთან, ამ საგნების ღირებულება არ ჩაეთვლება მათ სხვა სამკვიდრო ქონების ღირებულებაში.

საფუძვლების მიხედვით ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების მემკვიდრეობის წესით მიღებისათვის ერთადერთ აუ-

ცილებელ პირობას წარმოადგენს გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრების ფაქტი. მაგრამ, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს გარდაცვალებულთან ერთად მცხოვრები მემკვიდრის ცნებას. ამიტომ ახალ სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნეს შემდეგნაირად: ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნები მემკვიდრეობის წესით უნდა გადაეცეს იმ მემკვიდრეებს, რომლებიც სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად ცხოვრობდნენ ერთ ბინაში არა ნაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე და მასთან ერთად ეწეოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას. აღნიშნული პირობების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, მემკვიდრე სარგებლობს ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების მიღების უპირატესი უფლებით.

საფუძვლებით მკვეთრად არის გაფართოებული მოქალაქეთა საანდერძო განკარგულების უფლება. სსრ კავშირის თვითეულ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ვარკვეული ნაწილი ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების ჩათვლით ანდერძით დაუტოვოს როგორც კანონით მემკვიდრეებს, ისე იმ პირებს, რომლებიც არ შედიან კანონით მემკვიდრეთა წრეში, აგრეთვე სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან და შრომისუუნარო შვილებს (მათ შორის შვილად აყვანილებს), აგრეთვე შრომისუუნარო მეუღლეს, მშობლებს (მათ შორის შვილად ამყვანებს) და კმაყოფაზე მყოფ მემკვიდრეებს, მიუხედავად ანდერძის შინაარსისა, ყველა შემთხვევაში შეუძლიათ



მემკვიდრეობა მიიღონ არა ნაკლებ ორი მესამედი იმ წილისა, რომლის მიღება მათ შეუძლიათ კანონით მემკვიდრეობის დროს.

სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობის და ყოფაცხოვრების საგნების ღირებულება.

საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 421 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსების სათანადო მუხლების შესაბამისად ყოველ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი გარკვეული ნაწილი ანდერძით დაუტოვოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამ მუხლის ასეთ რედაქციასთან დაკავშირებით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაბატონებული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამკვიდრო ქონება ანდერძით არ შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს. ამჟამად ეს საკითხი სავსებით ამომწურავად არის გადაწყვეტილი. საფუძვლების 119 მუხლის თანახმად ყოველ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი გარკვეული ნაწილი ანდერძით დაუტოვოს სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ამასთან, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ქონება ანდერძით არ შეიძლება გადაეცეს ისეთ დაწესებულებას, რომელიც არ სარგებლობს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებით. ასე მაგალითად, მოქალაქე კიჩატოვმა მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ეკლესიას. კიჩატოვის გარდაცვალების შემდეგ სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სასამართ-

ლოში აღძრა სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობისა და სამკვიდრო ქონების საბჭოსათვის გადაცემის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე გააუქმა ლავოდების რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება და მიუთითა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ქონება ანდერძით შეიძლება გადაეცეს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. იმის გამო, რომ ეკლესია არ წარმოადგენს არც სახელმწიფო ორგანოს და არც საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ანდერძი ეკლესიისათვის ქონების გადაცემის შესახებ ბათილად უნდა იქნას აღიარებული¹. საფუძვლების თანახმად, თუ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო მემკვიდრეობა, ან ანდერძის დამტოვებელმა ყველა მემკვიდრეს ჩამოართვა მემკვიდრეობა, გარდაცვლილის ქონება მემკვიდრეობის უფლებით გადაეცემა სახელმწიფოს (117 მუხ.).

სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს რედაქცია არ ამოწურავს გარდაცვლილის ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის ყველა შემთხვევას. ასე მაგალითად, თუ გარდაცვლილს დარჩა ერთადერთი მემკვიდრე, რომელსაც სამკვიდროს დამტოვებლის მკვლელობისათვის ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ქონება მემკვიდრეობის წესით უნდა გადაეცეს სახელმწიფოს; მეორე მაგალითი, თუ მოქალაქემ, რომელსაც კანონით მემკვიდრეები არ ჰყავს, თავისი ქონების გარკვეული ნაწილი ანდერძით დაუტოვა გარეშე პირს, ის ქონება, რომელიც ანდერძში არ არის მოხსენებული უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

¹ „Судебная практика Верховного Суда СССР,“ выпуск I, 1948 г., стр. 5.

აღნიშნულის გამო გარდაცვლილის ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის სხვა დამატებითი საფუძვლები გათვალისწინებულ უნდა იქნას ახალი სამოქალაქო კოდექსით. საფუძვლებით საკანონმდებლო წესით არის ჩამოყალიბებული საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში შემუშავებული დებულება — მემკვიდრეობის გახსნის ადგილის ცნების განსაზღვრის შესახებ. საფუძვლების მიხედვით მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ჩაითვლება სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი მუდმივი სა-

ცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, — ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი. ამით საბოლოოდ უარყოფილია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მემკვიდრეობის გახსნის ადგილად უნდა ჩაითვალოს ის დასახლებული პუნქტი, სადაც სამკვიდროს დამტოვებელი გარდაიცვალა (მაგალითად, სამსახურებრივი მივლინების ადგილი, ან მკურნალობის ადგილი).

სსრ კავშირის ახალი საპაერო კოდექსი

(მიმოხილვა)

უადრესად დიდია სამოქალაქო ავიაციის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის. მაგრამ კიდევ უფრო გრანდიოზული პერსპექტივებია დასახული მის წინაშე სოციალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ ეპოქაში. ამ პერიოდში, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, საავიაციო ტრანსპორტი გადაიქცევა მგზავრთა გადაყვანის მასობრივ სახეობად, მოიცავს ჩვენი ქვეყნის ყველარაიონს. უკვე შვიდწლეულის ბოლოსათვის საპაერო გადაყვანის და გადაზიდვის საერთო მოცულობა 1940 წელთან შედარებით 154-ჯერ გაიზრდება.

სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციისა და სამოქალაქო ჰაერონაოსნობის განვითარების ფართო მასშტაბები სამართლებრივი მოწესრიგების ახალ ამოცანებს აყენებს. სწორედ მათი გადაწყვეტის საქმეს ემსახურება სსრ კავშირის ახალი საპაერო კოდექსი. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 26 დეკემბერს დაამტკიცა. კოდექსი მოქმედებაში შევიდა 1962 წლის პირველ იანვრიდან. მეტად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კოდექსის ქართული ტექსტი დაიბეჭდა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს უწყებებში (1962 წ. № 3 (163)). როგორც ცნობილია, ადრე მოქმედი 1935 წლის საპაერო კოდექსი ქართულ ენაზე თარგმნილი არ ყოფილა.

1961 წლის კოდექსი საპაერო სამართლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მოიცავს. იგი ამიტომაც „კომპლექსური“ ბუნებისაა. მართალია კოდექსში ჭარბობს სატრანსპორტო სამართლის ასპექტი,

მაგრამ ამას გარდა უადრესად მნიშვნელოვანი სხვა სამართლებრივი მომენტებიცაა მოწესრიგებული კოდექსით.

ახალი საპაერო კოდექსით განსაზღვრულია სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციისა და სამოქალაქო ჰაერონაოსნობის გამოყენების მიზნები. ესაა: მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის, ფოსტის გადაზიდვა; სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში სპეციალური სამუშაოების შესრულება (ავიაციის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, ტყეების დაცვაში, საპაერო ფოტოგადაღებებისათვის და ა. შ.); მოსახლეობისათვის სამედიცინო და სხვა დახმარების გაწევა და სანიტარულ ღონისძიებათა ჩატარება; საცდელი, ექსპერიმენტული და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება; სასწავლო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული მიზნები.

ძირითადი ორგანო, რომლის გამგებლობაში იმყოფება სახელმწიფოს კუთვნილი სამოქალაქო საპაერო ხომალდები, აგრეთვე აერობორტები, აეროდრომები და მიწის ზედანაგებობანი, არის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო. სწორედ ამ სამმართველოს აქვს მინიჭებული უფლება-არსებული საპაერო კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის სავალდებულო წესები, რჩევა-დარიგებები და ინსტრუქციები.

კოდექსი განმარტავს საპაერო ხომალდის ცნებას. სსრ კავშირის სამოქალაქო

ქო საპაერო ფლოტის სახელმწიფო რე-ესტრში შეტანილი საპაერო ხომალდის ეკიპაჟი უნდა შედგებოდეს მხოლოდ სსრ კავშირის მოქალაქეთაგან. ეკიპაჟის შერჩევისას გათვალისწინებულია ფრენის უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფა. საპაერო ხომალდის კომანდირი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს პილოტის (მფრინავის) სპეციალობა, აგრეთვე გააჩნია მომზადება და გამოცდილება, რაც საჭიროა ამ ტიპის საპაერო ხომალდის დამოუკიდებლად მართვისათვის. განსაკუთრებულად გაზრდილი მოთხოვნილებებია გათვალისწინებული მგზავრების გადასაცემად განკუთვნილი საპაერო ხომალდების კომანდირის შერჩევისათვის.

კომანდირის განკარგულება უნდა შესრულოს ყველა პირმა, ვინც კი იმყოფება ხომალდზე. ხომალდის ფრენის დროს მას უფლება აქვს გამოიყენოს ყველა საჭირო ზომა იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით საფრთხეს უქმნიან ფრენას და არ ემორჩილებიან მის განკარგულებას. ასეთი პირები უახლოეს აეროპორტში შეიძლება გაძევებულ იქნან ხომალდიდან, ხოლო დანაშაულის შემთხვევაში გადაეცემათ შესაბამის ორგანოებს.

თუ ფრენის დროს ხომალდს საფრთხე ემუქრება, ან ხომალდმა ვანიცადა უბედურება კომანდირი ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხომალდისა და მასზე მყოფი ქონების დასაცავად.

კომანდირს უფლება აქვს გადმოყაროს ხომალდიდან ბაგაჟი, ტვირთი ან ფოსტა, თუ ეს აუცილებელია მგზავრებისა და ეკიპაჟის გადასარჩენად, ხომალდის დასაცავად და ფრენის გაგრძელებისა და დაჯდომის უშიშროების უზრუნველსაყოფად, ე. ი. უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში.

ეკიპაჟის ყველა წევრი, ხოლო საჭი-


რო შემთხვევაში მგზავრებიც ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ ხომალდისა და ხალხის გადაარჩენაში.

უბედურების შემთხვევაში არავის არა აქვს უფლება დატოვოს ხომალდი კომანდირის ნებართვის გარეშე. ხომალდს ყველაზე ბოლოს კომანდირი ტოვებს.

ფრენის დროს ისეთი მეტეოროლოგიური პირობების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც ემუქრება ფრენის უსაფრთხოებას, საპაერო ხომალდის კომანდირმა და მოძრაობის ხელმძღვანელმა თანამდებობის პირებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა საპაერო ხომალდის საშიში პირობებიდან გამოსაყვანად და ფრენის გასაგრძელებლად ან შესაწყვეტად. სსრ კავშირის საპაერო სივრცეში ფრენის უფლება აქვთ მხოლოდ იმ საპაერო ხომალდებს, რომელთაც აქვთ სახელმწიფო-სარეგისტრაციო გამოსაცნობი ნიშნები.

კოდექსის პირველი მუხლით სსრ კავშირის ეკუთვნის სრული და განუყოფელი სუვერენიტეტი სსრ კავშირის საპაერო სივრცეზე. სსრ კავშირის საპაერო სივრცეში იგულისხმება საპაერო სივრცე სსრ კავშირის სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიაზე, მათ შორის სსრ კავშირის კანონმდებლობითა და სსრ კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიულ წყლებზე.

საპაერო კოდექსში მოწესრიგებულია საერთაშორისო ფრენასთან წარმოშობილი საკითხები. ყოველი ფრენა, რომლის დროსაც საპაერო ხომალდი გადაჰყვით სსრ კავშირსა და სხვა სახელმწიფოს სახელმწიფო საზღვრებს, საერთაშორისო ფრენად ითვლება. უცხოეთის საპაერო ხომალდების ფრენა სსრ კავშირის საპაერო სივრცეში შეიძლება წარმოებდეს საპაერო მიმოსვლის შესახებ სსრ კავშირსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის შეთანხმებათა საფუძ-



ველზე და პირობების შესაბამისად; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი წესით გაცემული ერთჯერადი ფრენის სპეციალური ნებართვის საფუძველზე და პირობების შესაბამისად.

კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე მგზავრებისა და ტვირთის ტრანსპორტირებას ეხება, ე. ი. ურთიერთობებს, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სასამართლოებისა და არბიტრაჟის საქმიანობასთან. ამიტომაც საჭიროა შედარებით სრულად მიმოვიხილოთ ისინი.

1935 წლის საპაერო კოდექსის 78 მუხლით საპაერო ხომალდის სტარტის, ფრენის ან დაჯდომის დროს მგზავრების სიკვდილის შემთხვევებისა ან მათი დასახიჩრებისათვის, აგრეთვე პირებისა და ქონებისადმი მიყენებული ზიანისათვის, რომლებიც სამოქალაქო საპაერო ხომალდზე არ იმყოფებიან, ქონებრივი პასუხისმგებლობა საპაერო ტრანსპორტის ორგანიზაციას ეკისრებოდა ყველა პირობებში, თუ თვითონ დაზარალებულის მხრივ ადგილი არ ჰქონდა განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას. მაშასადამე, ამ მუხლით დადგენილი იყო საპაერო გადაწყვეტისა და გადამზიდვის პასუხისმგებლობა არა მარტოდენ ბრალის გარეშე, არამედ საზოგადოდ „შემთხვევისათვისაც“. მათ შორის კვალიფიციური შემთხვევისათვის ე. ი. დაუძლეველი ძალის დროსაც. დაუძლეველი ძალის არსებობის პირობებში სამოქალაქო პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ საპაერო კოდექსით იყო გათვალისწინებული. ამ გაზრდილმა, გარანტირებულმა პასუხისმგებლობამ ცხოველი დისკუსია გამოიწვია საბჭოთა ცივილისტურ ლიტერატურაში. ავტორთა ერთი ჯგუფი ამართლებდა საპაერო გადაზიდვისა და გადაყვანის დროს გაზრდილ პასუხისმგებლობას

იმ რისკის გამო, რაც საპაერო პორტირებას ახლავს. ავტორთა მეორე ჯგუფს სრულიად გაუმართლებლად მიაჩნდა საპაერო გადაყვანისა და გადაზიდვის დროს გაზრდილი პასუხისმგებლობა.

პრინციპული ცვლილება შეიტანა 1961 წლის საპაერო კოდექსმა დაუძლეველი ძალის პირობებში ზარალის მიყენების საკითხში.

საპაერო კოდექსის 101 მუხლის პირველი ნაწილით გადაწყვეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება სიკვდილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებისათვის, რომელიც მიყენა მგზავრს საპაერო ხომალდის სტარტის, ფრენის ან დაჯდომის დროს, აგრეთვე მგზავრების ხომალდში ჩასხდომისა და გადმოსხდომის დროს, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მოხდა თვით დაზარალებულის მხოლოდ წინასწარი განზრახვით და არა უხეშ გაუფრთხილებლობით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 1935 წლის კოდექსში. ამით საპაერო სატრანსპორტო ორგანიზაციის პასუხისმგებლობა არსებითად გათანაბრებულია, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 90-ე მუხლის შესაბამისად, სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციის პასუხისმგებლობასთან, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მომეტებულ საფრთხესთან გარეშე მყოფთათვის.

1961 წლის საპაერო კოდექსის 101 მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება მგზავრს მიყენებული აქვს დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად, გადაწყვეტის ეკისრება დადგენილი პასუხისმგებლობა, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას

ხელს უწყობდა თვით დაზარალებულის წინასწარ განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა.

სხვა შემთხვევაში, როცა გადამყვანი დაამტკიცებს, რომ დაზარალებულის უხეშმა გაუფრთხილებლობამ ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას ან გაზრდას, სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი ნორმების შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ოდენობა შემცირებულ უნდა იქნეს ან ზიანის ანაზღაურებაზე უარი უნდა ეთქვას. მაშასადამე, ადრე მოქმედ კოდექსისგან განსხვავებით 1961 წლის საპაერო კოდექსის 101 მუხლის მეორე ნაწილი დაუძლეველი ძალის არსებობის დროს არა მარტო „შერეულ პასუხისმგებლობას“ ითვალისწინებს დაზარალებულის ბრალისას, არამედ გადამყვანის გათავისუფლების შესაძლებლობასაც უშვებს.


ასევე პრინციპული ცვლილება შეიტანა ახალმა კოდექსმა ტვირთისა და ბაგაჟის გადაზიდვის სამართლებრივ მოწესრიგებაში. 1935 წლის კოდექსის 80-ე მუხლის „ბ“ პუნქტით გადაზიდვა არ თავისუფლდებოდა დაუძლეველი ძალის — სტიქიური უბედურების დროს ტვირთისა და ბაგაჟის დაკარგვისა და დაზიანებისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს ფრენის დროს მოხდებოდა. ესეც იმ გამონაკლისის რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც საპაერო ტრანსპორტის საწარმოსათვის დაუძლეველი ძალის არსებობის დროსაც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას.

ახალი საპაერო კოდექსის 102-ე მუხლით კი გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ბაგაჟის, ტვირთის ან ფოსტის დაკარგვა, გაფუჭება ან დაზიანება მოხდა ისეთ გარემოებათა შედეგად, რომელთა გათვალისწინება მას არ შეეძლო ან რომელთა თავიდან აცილება მასზე არ იყო დამოკიდებული. ამით მთლიანად გამორიცხულია დაუძლევე-

ლი ძალისათვის პასუხისმგებლობა ტვირთისა და ბაგაჟის დაკარგვის, დაზიანებისა და გაფუჭებისათვის.

1935 წლის კოდექსის 82-ე მუხლით იმ ხელის ბარგისათვის, რომელიც ბაგაჟად არ იყო ჩაბარებული, გადამზიდვა არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობდა. 1961 წლის კოდექსის 102-ე მუხლით გადამზიდველი პასუხისმგებელია მგზავრის კუთვნილი ნივთების, რომელიც შესანახად არ იყო ჩაბარებული, დაცულობაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებულ იქნება, რომ ამ ნივთების დაკარგვა, გაფუჭება ან დაზიანება მოხდა გადამზიდველის ბრალით. ბაგაჟისა და ტვირთის დაკარგვის, გაფუჭებისა და დაზიანებისათვის ბრალის პრინციპის თანმიმდევრულად გატარება, როგორც პასუხისმგებლობის წანამძღვრისა, მთლიანად ეთანხმება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის 37-ე და 74-ე მუხლებს.

ახალი საპაერო კოდექსის 92-ე მუხლი მიუთითებს გადაზიდვის გეგმიურ ხასიათზე. გადაზიდვის გეგმის შესასრულებლად გადამზიდველი ვალდებულია მისცეს გეგმაში აღნიშნული გადასაზიდვა საშუალებანი, ხოლო ტვირთის გამგზავნა მიაწოდოს გადასაზიდვად გეგმით გათვალისწინებული ტვირთი. გეგმაში აღნიშნულ გადასაზიდვად საშუალებათა მიუცემლობის და გადასაზიდვად გეგმით გათვალისწინებული ტვირთის მიუწოდებლობის შემთხვევაში გადამზიდველი და ტვირთის გამგზავნი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ ჯარიმის სახით ყველა მიუწოდებელ ან გამოუზიდავ, მაგრამ დასატვირთავად გამზადებული ტვირთის რაოდენობის გადაზიდვისათვის, საჭირო გადასახადის 25 პროცენტის ოდენობით. ტვირთის გამგზავნი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ტვირთის გადასაზიდვად მიუწოდებლობის ან მისი ნაკლები რაოდენობის



მიწოდებისათვის, თუ ეს მოხდა სტიქიური ხასიათის მოვლენათა შედეგად, აგრეთვე ტვირთის გამგზავნის საწარმოში ავარიის შედეგად, რამაც გამოიწვია წარმოების შეწყვეტა ვადით არა ნაკლებსამი დღე-ღამისა. თავის მხრივ გადამზიდველიც თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან გადასაზიდავ საშუალებათა მიუცემლობისათვის, თუ ეს მოხდა სტიქიური უბედურების გამო, აგრეთვე მეტეოროლოგიური მიზეზების გამო საპაერო ხომალდების ფრენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

ახალი საპაერო კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ იგი ითვალისწინებს არაგემიურ და ზეგემიურ ტვირთის გადაზიდვის ვალდებულებას და მისი დარღვევისათვის ითვალისწინებს ისეთსავე პასუხისმგებლობას, რაც დადგენილია გემიურ გადაზიდვის ვალდებულებებისათვის.

1935 წლის კოდექსის 80-ე მუხლის „დ“ პუნქტი უშვებდა ტვირთის და ბაგაჟის გაგზავნას აუცილებელი შეფუთვის ან არასათანადო შეფუთვის სახით. ამ პირობებში სასამართლო და არბიტრაჟის ორგანოები ათავისუფლებდნენ გადამზიდავს ტვირთისა და ბაგაჟის დაკარგვისა და დაზიანებისათვის. ეს როდი უწყობდა ხელს იმას, რომ გადამზიდავს შესაბამისი ზრუნვა გამოეჩინა ტვირთისა და ბაგაჟის მთლიანობასა და ადგილზე დროულად მიტანისათვის, როცა იგი გამგზავნის პასუხისმგებლობით იყო მიღებული. ყველაფერი ეს სერიოზულ სიძნელეს წარმოშობდა ტვირთისა და ბაგაჟის გადაზიდვაში. 1961 წლის კოდექსმა ძირეულად შესცვალა ადრე არსებული წესი. გადამზიდვისათვის სათანადო ტარით ტვირთისა და ბაგაჟის ჩაბარება ამ ხელშეკრულების დადების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად გახდა. კოდექსის 95-ე მუხლით ტვირთი, რომელსაც ესაჭიროება ტარა ან შეფუთვა დაკარგვის ან გაფუჭებისაგან დასაცავად,

გადასაზიდავად წარდგენილ უნდა იქნას წესიერ ტარაში ან შეფუთული სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად, ხოლო ტვირთი, რომლის ტარაზე და შეფუთვაზე სტანდარტი არ არის დადგენილი წესიერ ტარაში, რაც გადაზიდვისა და გადატვირთვის დროს უზრუნველყოფს მის სრულ დაცულობას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებსაც კოლმეურნეობები აგზავნიან, გადასაზიდად შეიძლება მიღებულ იქნას არასტანდარტულ ტარაში, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთის დაცულობას გადაზიდვის დროს.

ტვირთის უწესიერო ტარით ან შეფუთვით, ან ისეთი ტარითა და შეფუთვით წარდგენის დროს, რაც არ შეესაბამება ტვირთის სახეობასა და თვისებებს, ან არ შეესაბამება საპაერო ტრანსპორტით გადაზიდვის პირობებს, გადამზიდველი ვალდებულია უარი განაცხადოს ასეთი ტვირთის გადასაზიდად მიღებაზე. მიღებული ტვირთის დაზიანებისა და გაფუჭებისათვის გადამზიდველი მხოლოდ მაშინ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ აღმოჩნდება, რომ ეს შედეგი დადგა ტარის ან შეფუთვის უვარგისობის გამო, რომლის გარეგნულად შემჩნევა არ შეიძლებოდა ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის გადასაზიდად მიღების დროს.

საპაერო გადაზიდვაში პირველხარისხიანი მნიშვნელობისაა ტვირთისა და ბაგაჟის დროულად მიტანა დანიშნულებისამებრ. სწორედ ამაშია საპაერო გადაყვანისა და გადაზიდვის მთავარი ეკონომიური ეფექტიანობა. საპაერო კოდექსი ითვალისწინებს მთელ რიგ გარანტიებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ტვირთისა და ბაგაჟის დროული მიტანა. ამიტომაც 97-ე მუხლით გადამზიდველი ვალდებულია გადასაზიდავად მიღებული ტვირთი დანიშნულების პუნქტში მიიტანოს დადგენილ ვადაში. ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათ-

ვის გადამზიდველი ტვირთის მიმღებს ყოველ ვადაგაცილებულ დღე-ღამეზე უხდის ჯარიმას გადაზიდვის ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაზიდვის ღირებულების 50 პროცენტისა. ტვირთის მიტანის ვადის გადაცილები-სათვის პასუხისმგებლობისაგან გადამ-ზიდველი თავისუფლდება თუ დაამტკი-ცებს, რომ ვადის გადაცილება მოხდა მეტეოროლოგიური პირობების გამო ფრენის შეუძლებლობის შედეგად ან სხვა მიზეზის გამო, რომელთა თავიდან აცილება გადამზიდველს არ შეეძლო.

გადამზიდველი ვალდებულია აცნობოს ტვირთის მიმღებს მის სახელზე ტვირთის მოსვლის შესახებ. მიმღები ვალდებულია მიიღოს და გაიტანოს მის სახელზე მოსული ტვირთი. ტვირთის მიმღებს უფლება აქვს უარი განაცხადოს დაზიანებული ან გაფუჭებული ტვირთის მიღებაზე, თუ დადგენილი იქნება, რომ ტვირთის ხარისხი იმდენად შეიცვალა, რომ მისი თავდაპირველი დანიშნულებისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენების შესაძლებლობა გამორიცხულია.

ტვირთის გამგზავნელს ან მის მიმღებს უფლება აქვს დაკარგულად ჩათვალოს ტვირთი და მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება, თუ ეს ტვირთი არ იყო გაცემული ტვირთის მიმღებზე, მიტანის ვადის გასვლიდან 10 დღის განმავლობაში. ახალი საჰაერო კოდექსის 99-ე მუხლით ტვირთი, რომელსაც შეტყობინებიდან 30 დღე-ღამის განმავლობაში არ მიიღებს ტვირთის მიმღები, ჩაითვლება მოუთხოვნელ ტვირთად და იგი რეალიზებული იქნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

კოდექსის 105 მუხლით განსაზღვრულია ტვირთის, ბაგაჟის ან ნივთების, რომელიც მგზავრს თან აქვს, დაკარგვის ან დაზიანებისათვის გადამზიდველის პასუხისმგებლობის ოდენობის წესი.

ის გარემოებანი, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადამზიდველთა, ტვირთის გამგზავნელთა, ტვირთის მიმღებთა და მგზავრთა ქონებრივ პასუხისმგებლობას, დადასტურებულ უნდა იქნას კომერციული აქტით. ადრე არსებული საჰაერო კანონმდებლობით პრეტენზია, რომელიც კომერციული აქტის გარეშე იქნებოდა წარმოდგენილი განხილვის გარეშე უკან უბრუნდებოდა განმცხადებელს. ეს ხელს უშლიდა მოსარჩლეთა ინტერესების დაცვას. ამჟამად ადრე მოქმედი კანონმდებლობის ეს ნაკლი გამოსწორებულია. ახალი კოდექსის 113-ე მუხლით კომერციული აქტის უქონლობა კლიენტს არ ართმევს პრეტენზიისა და სარჩელის წარდგენის უფლებას, თუ დამტკიცებული იქნება, რომ საჰაერო-სატრანსპორტო საწარმოს მუშაკებმა უარი განაცხადეს კომერციული აქტის შედგენაზე და მათი მოქმედება გაასაჩივრა კლიენტმა. პრეტენზიები საჰაერო-სატრანსპორტო საწარმოთა მიმართ განცხადებულ უნდა იქნეს ექვსი თვის ვადაში, ხოლო პრეტენზიები ჯარიმის გადახდის შესახებ — 45 დღის განმავლობაში.

საჰაერო კოდექსით განსაზღვრულია ხომალდის მგზავრის უფლებანი. საჰაერო ხომალდის მგზავრები აუცილებელ სახელმწიფო დაზღვევას ექვემდებარებიან. მგზავრებს უფლება აქვთ უფასოდ გადაზიდონ ბაგაჟი დაწესებული ნორმის ფარგლებში. უფასოდ ან შეღავათიან პირობებში თან წაიყვანონ ბავშვები (ასაკის გათვალისწინებით). უფასოდ ისარგებლონ მომსახურებით, რომელსაც მგზავრებს უწევს აეროპორტებში (დასასვენებელი ოთახი; დედათა და ბავშვთა ოთახი, გზაში საჰაერო ხომალდის იძულებითი დაყოვნების შემთხვევაში ადგილი სასტუმროში და სხვ). ამას გარდა მგზავრს უფლება აქვს უარი თქვას გაფრენაზე და მიიღოს უკან გადაყვანი-სათვის გადახდილი თანხა შემდეგ შემთ-



ხვევებში: მგზავრის ავადმყოფობის შემთხვევაში, რაც უნდა დადასტუროს სამკურნალო დაწესებულებამ, გამგზავრების პუნქტიდან საპაერო ხომალდის გაფრენის დაგვიანების ან საპაერო ხომალდის სხვა ტიპის ხომალდით შეცვლის შემთხვევაში, ხომალდის, რომელმაც ვერ შეასრულა რეისი, გამგზავრების პუნქტში დაბრუნების შემთხვევაში, როცა გადაყვანის წესებით დადგენილი ვადის განმავლობაში შეატყობინებს გადამყვანს თავის უარს გაფრენაზე. გადაყვანის წესებით დადგენილი ვადის დაგვიანებით შეტყობინების დროს მგზავრს უფლება აქვს უკან მიიღოს გადაყვანისათვის გადახდილი თანხა დადგენილი გამოსაღების დაკავებით. მგზავრს უფლება აქვს უარი განაცხადოს შემდგომ გაფრენაზე და უკან მიიღოს გადაყვანისათვის გადახდილი თანხის შესაბამისი ნაწილი, როცა რეისი შეწყვეტილია იძულებითი დაჯდომის შედეგად ან სხვა მიზეზით ან როცა გადაჯდომის აეროპორტიდან არ მოხდა მგზავრის გამგზავრება გარანტირებული ვადის განმავლობაში, აგრეთვე მგზავრის ავადმყოფობის გამო.

საპაერო კოდექსის მერვე თავი სპეციალურად მიძღვნილია მგზავრების საერთაშორისო საპაერო გადაყვანის, ბაგაჟისა და ტვირთის საერთაშორისო საპაერო გადაზიდვის საკითხებისადმი. მსგავსი ნორმები საერთოდ არ ყოფილა 1935 წლის კოდექსში.

საერთაშორისო საპაერო სტრანსპორტო ურთიერთობის საკითხების შეტანა ახალ საპაერო კოდექსში ადასტურებს ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მონაწილეობას ქვეყნებს შორის დამოკიდებულებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის მერვე თავი ეხება იმ საერთაშორისო გადაყვანასა და გადაზიდვას, რომლებიც არ ხვდება სსრ კავშირის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედებაში. იმ შემთხვევაში, როცა სსრ კავშირს დადებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულება საპაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, მოქმედებს ამ ხელშეკრულების პირობები და არა საპაერო კოდექსის დებულებები. საპაერო კოდექსის საერთაშორისო სამართლებრივი წესები მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება, იმისაგან განსხვავებით, რაც ქვეყნის შიგნით არის დადგენილი საპაერო კოდექსის ნორმებით.

სსრ კავშირის ახალი საპაერო კოდექსის ზოგადი გაცნობაც კი საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ რა მრავალგვაროვანი ურთიერთობებია მასში მოწესრიგებული.

სასამართლოების, არბიტრაჟის, პროკურატურის მუშაობა გულისყურით უნდა შეისწავლონ ეს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი; იურისტმა მეცნიერებმა თავიანთი კვლევის საგნად უნდა გაიხადონ საპაერო სამართლის აქტუალური საკითხები.

ი. გ. ჭილაშვილი — დიდი მოაზროვნე და სხვადასხვა იურიდიული

ს. ჯორბენაძე

მეცხრამეტე საუკუნემ მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და მოაზროვნე მოგვცა. ამ მოღვაწეთა დიდი რიგის დასაწყისში მკვეთრად გამოირჩევა ი. გ. ჭილაშვილის უადრესად კოლორიტული ფიგურა.

ი. გ. ჭილაშვილი „პირველი ქართველთაგანია, რომელმაც მიიღო რუსულ-ევროპული სწავლავანათლება და ამასთან ზედმიწევნით რომ იცნობდა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას“¹

ი. გ. ჭილაშვილის ევროპული განათლებისა

და მალაღწეობრიობის შესახებ აღტაცებით წერდა ა. ს. გრიბოედოვი.

ი. გ. ჭილაშვილი მარტო გამოჩენილი იურისტი როლი იყო. იგი პოეტიც იყო და მეტად ნაყოფიერი მთარგმნელი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი. საუურნალო სტატია სრულიად არაა საკმარისი ამ დიდი შემოქმედის თუნდაც იურიდიული შეხედულებების გასაცნობად. ამისათვის ჩვენ მონოგრაფიას ვამზადებთ. ამ სტატიაში მიმოვიხილავთ ი. გ. ჭილაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მსოფლიო ძირითად მომენტებს.

1 ზოგი რამ ი. გ. ჭილაშვილის ბიოგრაფიიდან

იაგორ გაბრიელის ძე ჭილაშვილი იმ დუშელ ჭილაშვილთა გვარს ეკუთვნის, რომელიც ერეკლე მეორესა და გიორგი XII დროს მალაღვაჯენიანი იყო. მისი მამა გლახა (გაბრიელ) ჭილაშვილი 1803 წელს ვახტანგ ბატონიშვილის იძულებით გასახლებასთან ერთად გაჰყვა მას პეტერბურგს თავისი ოჯახით. უშვილო ვახტანგ ბატონიშვილმა უადრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო ჭილაშვილების ვაჟების აღზრდაში. უფროსი ვაჟი კი სწორედ იაგორი იყო. იგი 1792 (ზოგიერთი ცნობით 1790) წელს დაიბადა. ვახტანგ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით იაგორმა შესანიშნავი განათლება მიიღო პეტერბურგში. 1808-1813 წლებში იაგორი ვახტანგ ბატონიშვილთან მუშაობს „მდივნისა და მთარგმნელის წოდებით“.

იაგორ ჭილაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. დიდი ილიასი ამ იყოს, თუ რას ირჩევს სათარგმნელად ამაში თვითონ მთარგმნელის იდეური მრწამსიც შეგვიძლია დავინახოთ. იაგორი გატაცებულია ფრანგი განმანათლებლების ფილოსოფიით. სწორედ ამიტომ 18 წლის ჭაბუკი ფრანგულიდან რუსულად თარგმნის მონტესკიეს „არზას და ისმენას“. ორი წლის შემდეგ კი 1812 წელს მამლის ერთ-ერთ ძირითად ნაწარმოებს „ისტორიის შესწავლის

შესახებ“. ეს შემთხვევითი არ არის. რუსეთში ამ დიდი ფრანგი განმანათლებლის ნაწარმოების თარგმნით მრავალი პროგრესული მოაზროვნე იწყებდა თავის შემოქმედებით გზას. ნიშანდობლივია, მაგალითად, რომ ა. ნ. რადი-შჩევმა 1773 წელს თარგმნა და გამოსცა თავისი შენიშვნებით მამლის „ნააზრები საბერძნეთის ისტორიის შესახებ“. მამლის იმ ნაწარმოებში, რომელიც ი. ჭილაშვილმა ამოიჩინა სათარგმნელად განხილულია ახალი და ძველი მსოფლიოს ისტორია და ამ ისტორიას მომხდარი ყოველი უბედურების წყაროდ მმართველთა და აღმასრულებელთა ბოროტმოქმედებაა გამოცხადებული. მას მოჰყავს იმ ქვეყნების მაგალითი, სადაც თავისუფალი ინსტიტუტების შექმნა მოახერხეს ხალხებმა. მამლის მტკიცებით ძველი ისტორიის შესწავლის გარეშე, ისტორიული გამოცდილების გამოყენების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მართვა. მამლი უტოპისტ-სოციალისტი იყო. ყველაფრიდან ჩანს, რომ მის შემოქმედებას კარგად იცნობდა ი. ჭილაშვილი. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ისიც უტოპისტ-სოციალისტად გამოვაცხადოთ. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თვით მამლი არასდროს არ ყოფილა თანმიმდევრული უტოპისტი იმ აზრით, როგორც ამ ტერმინს ჩვენ ვხმარობთ XVIII საუკუნის უტოპისტების მიმართ², მთავარი ის არის, რომ

¹ დიმიტრი ყიფიანი. მემუარები, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, 1930 წ. გვ. 126.
² В. П. Волгин, Развитие общественной мысли во Франции в XVIII веке, 1958 г. стр. 341.

ი. ჭილაშვილის მახლის შემოქმედების პოლიტიკური რადიკალიზმი, ტირანისა და დესპოტიზმისადმი სიძულვილის და თავისუფლების მოყვარული იდეები იზიდავდა.

ი. ჭილაშვილი მარტო ფრანგი განმანათლებლების მთარგმნელობითი მუშაობით როდი იზღუდებოდა. იგი 1812 წელს აქვეყნებს ორიგინალურ ნაწარმოებს „ბუნებითი სამართლის მონახაზებს“.

ი. ჭილაშვილი მხატვრულ ნაწარმოებებსაც წერდა. ერთ-ერთი მათგანი 1819 წელს ეკუთვნის, როცა იგი აქვეყნებს ფელდმარშალ მ. ი. კუტუშოვის განრადცვალებასთან დაკავშირებით: «Песень на канчину кн. М. И. Голенищев-Кутузова».

1815 წელს იგი შედის ლაბზინის მასონთა ლოჯაში და ამ ლოჯის უადრესად აქტიური წევრი ხდება¹. როგორც ცნობილია, მასონობა თავისთავად სრულიადაც არ წარმოადგენდა საეზიროებას მეფის ხელისუფლებისათვის, მაგრამ მასონთა შორის გვხვდებოდა ისეთნიც, რომლებიც კრიტიკულად იყვნენ განწყობილი არსებული სინამდვილისადმი. ცნობილია, რომ დეკაბრისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა დროს მასონთა ლოჯის წევრები იყვნენ². შემთხვევითი როდი იყო, რომ იმპერატორის ბრძანებით 1821 წელს სამხედრო პირთათვის, ხოლო 1822 წელს — საზოგადოდ აიკრძალა მასონთა ყოველი ლოჯა, ისე როგორც ყოველი სხვა საიდუმლო საზოგადოება.

ი. გ. ჭილაშვილი არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, რომელთაც ციციანოვის მსგავსად, სცვენოდათ თავიანთი ქართული სისხლისა და ქართული სულის დაკარგვას ზარ-ზეიმით აცხადებდნენ. ი. გ. ჭილაშვილი თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო. ამიტომაც მოხდა, რომ 1820 წლის სექტემბერში იგი საკუთარი სურვილით დაბრუნდა სამშობლოში. 1821 წლის ოქტომბერში კი დაინიშნა საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორად. იგი პირველი და ერთადერთი ქართველი პროკურორი იყო. მისი, როგორც საქართველოს მთავრობის პროკურორის მოღვაწეობა, უადრეს ინტერესს იწვევს. მეტად მძიმე მემკვიდრეობა დახვდა ამ გამოჩენილ მოაზროვნეს. 1803 წლიდან არსებობდა საქართველოს უმაღლეს მთავრობასთან პროკურორის თანამდებობა, პროკურორი ვალდებუ-

ლი იყო დაწესებულებებზე კონტროლი განეხორციელებინა, მიეღო ზომები ბოროტმეტყველებათა და კანონის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მასში თანამდებობაზე კავკასიაში ნებაყოფლობით მხოლოდ ის ჩინოვნიკები მოდიოდნენ, რომლებსაც იოლი გამდიდრების სურვილი ამოძრავებდათ. ასეთი პირები პროკურორადაც კი ხდებოდნენ. 1821 წელს თბილისის მაზრის ხაზინიდან გატაცებული იქნა ტომარა 615 ჩერვონეით. ქურდი კი აღმოჩნდა თვითონ პროკურორი — მელინი³ — ი. გ. ჭილაშვილის წინამორბედი.

ი. გ. ჭილაშვილმა თავისი მდიდარი ერუდიცია, ქართული და რუსული სამართლის ღრმა ცოდნა, მაღალპატიოსნება გამოიყენა იმისათვის, რომ შეემსუბუქებინა ყმების მდგომარეობა, შებრძოლებოდა მოხელეთა თვითნებობასა და კორუპციას.

ი. გ. ჭილაშვილი ქართული სინამდვილის, მისი წარსულისა და წესჩვეულებების შესანიშნავი მცოდნე იყო. რუსული და ევროპული კულტურის ცოდნას მასში სრულიადაც არ ჩაუკლავს სამშობლოს პატრიოტის სიყვარული. ამას დიდად უწყობდა ხელს ი. გ. ჭილაშვილის მდიდარი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან ქართულიდან რუსულად თარგმნა „საქართველოს მეფის ძის ვახტანგ ირაკლის ძის წერილები“, რომლებიც 1812 წელს გამოსცა საიმპერატორო აკადემიამ. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ჩვეულებითი სჯულის, განსაკუთრებით კი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის გადათარგმნაში.

ი. გ. ჭილაშვილის საპროკურორო მოღვაწეობა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მის პროგრესულ მსოფლმხედველობაზე. ეს სხვადასხვა პატაკში, წარდგინებაში, მოხსენებით ბარათებში პოულობს თავის გამოხატულებას. მათში ჩვენ ავტორის არა მარტო იურიდიულ, არამედ ეკონომიურ შეხედულებების არსსაც ვიგებთ. ამასთან დაკავშირებით მთელი კატეგორიულობით უნდა იქნეს უარყოფილი პროფ. ი. ე. თუმანიანის მტკიცება, რომ „რა თქმა უნდა, ეკონომიური პოლიტიკა აძლევს შესაბამის მასალას ეკონომისტ-მოაზროვნეებს, მაგრამ თითოეული ჩინოვნიკი ანდა მისი რეფერენტი ყო-

¹ И. К. Ениколонов, Пушкин в Грузии. 1950 г. стр. 78.

² Воспоминания А. Е. Лабзиной, с предисловием и примечаниями Б. Л. Модзилевского, 1903, стр. 131.

³ В. И. Семевский, «Декабристы — массоны». «минувшие годы» 1908 г. № 5—6 стр. 379.

⁴ Акты... т. VI, ч. 1, стр. 40.

ველთვის არ შეიძლება იყოს ეკონომისტ-მოაზროვნე¹.

ი. გ. ჭილაშვილის მიმართ ამგვარი მტკიცება მდებარეობდა და უსამართლოც. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით პროფ. ს. ბერაძეს, რომ ი. ჭილაშვილმა დიდი როლი შეასრულა XIX საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოს ეკონომიურ აზროვნებაში ახალი მიმართულების გასავითარებლად, რომ „მართალია, იგი ვერ ავიდა რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის დონემდე, მაგრამ ბატონყმობის პირობებში მან მკვეთრად აღიმალა მხა ბატონყმური თვითნებობის წინააღმდეგ და იცავდა ყმა-გლეხებს. ახლებურად დაამუშავა ეკონომიური საკითხები, რაც ქართული ეკონომიური აზრის ისტორიაში მაშინ ახალი ეტაპის დასაწყისს წარმოადგენდა². რასაკვირველია მთავარმართველისადმი, ანდა სხვა მაღალი თანამდებობის პირისადმი გავაწინილ პატივში, მოხსენებით ბარათში არ შეიძლება ვიპოვოთ მოწოდება რევოლუციურ გამოსვლებსაკენ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათში არ შეიძლება დავინახოთ პროგრესული, რადიკალური შეხედულებები, რომელიც ყმა-გლეხების დაცვის, მათი მდგომარეობის შემსუბუქებისათა ნაკარნახევი და გამოხატავს მისი ავტორის მსოფლმხედველობას. თუ ჩვენ მარტოაღწევს მეფის სახელმწიფო აპარატში მუშაობის შიშველი ფაქტიდან გამოვალთ, მაშინ ისტორიის ბევრი პროგრესული მოღვაწის მიმართ უსწოროდ დასკვნა უნდა გამოგვეტანა. სინამდვილეში კი უნდა გამოვდიოდეთ საწინააღმდეგო პოზიციიდან. სახელდობრ იქიდან, რომ ჩინოვნიკური მანტიით გამოწყობილი პროგრესული მოაზროვნეები, როგორც წესი, პრაქტიკულ საქმიანობაში ცდილობენ თავიანთი შეხედულებების³ გატარებას. დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით ა. ნ. რადიშჩევის მაგალითი. უკანასკნელი წლები თავისი სიცოცხლისა ა. ნ. რადიშჩევი მეფის საკანონმდებლო კომისიაში მსახურობდა. ნ. ს. ილინსკი, რომელიც ამავე კომისიაში რადიშჩევთან ერთად მუშაობდა აღნიშნავს, რომ რადიშჩევა „თავისუფალ აზრებს იცავდა და ყველას კრიტიკულად უყურებდა, როცა ჩვენ სენატის საქმეს ვისილავდით და დასკვნებს ვწერდით, კანონის შესაბამისად, იგი თითოეულ დასკვნაზე არ გვეთანხმებოდა, ურთავდა თავის აზრს, ეყრდნობოდა რა ამისათ-

ვის მხოლოდ ფილოსოფიურ თავისუფალ აზროვნებას“⁴.

ი. გ. ჭილაშვილი როგორც საქართველოს უწინესი მთავრობის პროკურორი ცდილობს „დახმარების ხელი გაუწოდოს“⁴ ღარიბ და კანონებში გაუთვითცნობიერებელ მოსარჩლესა თუ დაწარალებულს, მას სურს პროკურატურის ზედამხედველობა ქმედითი გახადოს იმით, რომ მისი გატარება იმ პირებს დაეფლოს, რომლებიც არ იქნებიან დამოკიდებული ადგილობრივი უფროსებისაგან. ამ მიზნით იგი საქტიროდ თვლიდა თვითონ პროკურორის ვახვლას თბილისიდან ადგილებზე მდგომარეობის შესასწავლად. ი. გ. ჭილაშვილს კარგად ესმოდა მთელი სიძნელე კანონიერების განხორციელებისათა, როცა ადგილობრივი ხელისუფალნი აშკარა თვითნებობასა და ბოროტმოქმედებას მიმართავენ, როცა მოხელეების ენა გაუგებარი იყო მასისათვის, ხოლო მასის ენა მოხელეებისათვის. ამგვარ ვითარებაში სასამართლო წარმოება მშრომელის წინააღმდეგ იყო მიმართული. იმდროინდელ მართლმსაჯულების სიმახინჯეს კარგად აგვიწერს მეორე გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი. ეს მისი გაბეღული ჩვენებაა 1833 წლის იანვარს გამოძიებლისადმი, რომ „კანონს უკუღმართი აზრით ხსნიან და საქმეები ფრიად არასწორად მთავრდება“, რომ მსარეები უფრო მეტს ხარჯავენ, „ვიღრე თვითონ საქმე ღირს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ იქნება მოსმენილი და არც არასოდეს დამთავრდება“, რომ „ყველაზე პატიოსან და ყველას მიერ პატივცემულ ადამიანს სჯიან ხოლმე, თუ მან ოდესმე რაიმე ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რაც ძალიან ხშირად ხდება გულწრფელობით, კანონის უცოდინარობით და ქართველის ლაღი ხასიათის გამო: ილაპარაკოს თავისუფლად რითაც შესაძლებელია არავის ზიანს არ აყენებს, მაგრამ კანონით დანაშაულად ითვლება ან აკრძალულია და ისჯება“⁵.

ი. გ. ჭილაშვილი სწორედ მასის მხრივ კანონის უცოდინარობაზე წერდა, რაც ხშირად შეუსაბამო სასჯელის შეფარდების მიზეზი იყო. იგი თვლიდა, რომ „დანაშაულისათვის სასჯელი ბოროტების ალაგმვას ემსახურება; მაგრამ გადაცდენისათვის შეუსაბამო სასჯელი ხშირად უარესია ლმობიერებაზე და ყო-

¹ კრებულში «К вопросу об истории развития экономической мысли народов Закавказья», 1955 г. стр. 115.
² ს. ბერაძე, ქართული ეკონომიური აზრის ისტორიისათვის მე-19 საუკ. 20-30-იან წლებში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1951 წ., ტ. VIII, გვ. 227.
³ Записки Николая Степановича Ильинского «Русский архив» 1879 № 12, стр. 416.
⁴ Акты т. VI, часть I, стр. 48.
⁵ სოლომონ დოდაშვილი, თხზ., 1961. გვ. 346.

ქართული
ენათმეცნიერება

ველთვის ეწინააღმდეგება კანონსა და სამართლიანობას“. სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდებისას იგი თხოულობდა გათვალისწინებული იქნებ გლეხობის მიმე მდგომარეობა, განსაკუთრებით კი მამისა, როცა მისი დაღუპვის მიზეზია თვით ჩვენი სსამართლო წარმოების წესი, რომელიც ყოველთვის როდი ეთანხმება გლეხის გაუნათლებლობას“¹.

ი. გ. ჭილაშვილმა გარკვეულ ცვლილებებს მიადწია სასამართლო ორგანოებზე პროკურატურის შედამხედველობის გაძლიერებისათვის.

უაღრესად მნიშვნელოვანია ი. გ. ჭილაშვილის მოღვაწეობა „სამოქალაქო საქმეებზე“. ი. გ. ჭილაშვილმა თანამედროვეობაში საყოველთაო აღიარება პპოვა როგორც გამოჩინებულმა ცივილისტმა. სამოქალაქო სამართლის იმ დრმა ცოდნას, რომელიც ი. გ. ჭილაშვილს გააჩნდა, თავის დროისათვის ფართო გამოყენება ჰქონდა. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართული ბატონყმური წყობის შესწავლით არსებითად დაინტერესებული იყო ცარიზმი. ი. გ. ჭილაშვილი არა მარტო ღრმად იცნობდა ქართული ბატონყმური წყობის თავისებურებას, არამედ შესანიშნავად იცოდა რუსული სამართალიც, რაც მას საშუალებას აძლევდა შედარებითი შესწავლა მოესდინა. მეტად საყურადღებოა ამ მიმართულებით ი. გ. ჭილაშვილის დასკვნები. მისი მტკიცებით ზუსტად არ არის ცნობილი ისტორიული წყაროებით საქართველოში ბატონყმობის წარმოშობა, მაგრამ „ის აქაც იმავე მიზეზებთანაა დაკავშირებული, როგორც იგი სხვა ქვეყნებში წარმოიშვა და მისი არსი ერთია. შემდგომ დროს კი გლეხებზე საკუთრების უფლების შექმნის საშუალებებია ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით: მეფის წყობილება, ყიდვა, მემკვიდრეობა, ანდერძი, მზითევი, ჩუქება, სამხედრო ნადავლი და ნებაყოფლობითი კაბალა“².

ი. გ. ჭილაშვილი მიუთითებდა მიწაზე საკუთრების უფლების შექმნის საშუალებების გაურკვეველობაზე. მისი აზრით „საქართველოში საეჭვოა მოიძებნოს ორი მემამულე, რომელსაც როდესმე ექნებოდა წერილობითი აქტი საგვარეულო მამულზე“³.

როგორც ცნობილია, საადგილმამულო გაუმჯობესება მიწათმოქმედების პრიმიტიულობის პირობებში იმ დავების წყარო გახდა, რომელიც მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არ გადა-

წყვეტილა.

ი. გ. ჭილაშვილმა უაღრესად დიდი მუშაობა ჩაატარა ფეოდალთა და ყმათა ურთიერთობის გასარკვევად. უნდა აღინიშნოს, რომ ი. გ. ჭილაშვილი მარტო ქართული ფეოდალურ წყობის ღრმამცოდნე როდი იყო. 1828 წელს გრაფ პასკევიჩის წინადადებით შეიქმნა „მუსულმანური პროვინციების მოწყობის კომიტეტი“. ამ კომიტეტის აქტიური წევრი იყო ი. გ. ჭილაშვილი. „კომიტეტის საქმეთა მმართველობა და მთელი მიმოწერა ევალებოდა ჭილაშვილს. მის დასახმარებლად თბილისის გუბერნატორს უნდა გამოეყო საქმის მწარმოებელი და გადაეწერათ საქმის რაოდენობა“⁴.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რაც ი. გ. ჭილაშვილის პროკურორად ყოფნის პერიოდში ჩატარდა, ეს იყო მისი დაუინებოთი ბრძოლა ყმების საჭაროდ გაყიდვის წინააღმდეგ. მისი სიტყვებით გლეხების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა „ჩემს მიერ დაცულ იქნა ამ თანამდებობის შესრულების დაწყების დროიდან ე. ი. 1821 წლის ოქტომბრის თვიდან“⁵.

ი. გ. ჭილაშვილს არ მოუთხოვია ბატონყმობის გაუქმება. თავისი ოფიციალური მდგომარეობით ამისი გაკეთება მას არც შეეძლო. მაგრამ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება ყმათა მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ მისი იდეებისა და საქმიანობის პროგრესულობას ადასტურებს.

მართალია კანონით მკაცრად იკრძალებოდა ყმების გაყიდვა უტსოეთში, განსაკუთრებით თურქეთში, მაგრამ ქვეყნის შიგნით იგი დაშვებული იყო. გამოხაკლისი ებრაელთა მიმართ იქნა გათვალისწინებული. ციმბირში გადასახლების რიღით ებრაელს არ შეეძლო ვალში ყმის შესყიდვა და დაგირავება, მაგრამ ქრისტიან მყიდველთან უფრო უკეთესად როდი გრძნობდა თავს მისი ერთმორწმუნე. თავადაზნაურობა ფულადი დავალიანების დასაფარავად ფართოდ მიმართავდა მამულებისა და ყმების საჯარო ვაჭრობას. ამ ვაჭრობის განუვითარებლობის გამო, ხშირად მხოლოდ ერთ-ერთი კრედიტორი ცხადდებოდა გაყიდვაზე და იგი ჩალის ფასად იძენდა ყმებსა და მამულს. ამ მოვლენის წინააღმდეგ ი. გ. ჭილაშვილმა მეტად თამამი ღონისძიება წამოაყენა. თავის წინადადებას იგი ასაბუთებდა ხაზინის სარგებლიანობითა და სხვადასხვა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლით, რათა ჩიხსოთ მევახშეობის შეუ-

1 Акты... т. VI, часть I стр. 55.
2 იქვე, 83-72.
3 იქვე, 83-67.
4 Акты... т. VII, стр. 427.
5 Акты... т. VI часть стр. 73.

საქართველოს
საზღვრო

კავებელი სურვილი გლახების გაყიდვისა¹. ერ-
მოლოვისადმი 1822 წლის 20 მარტს წარდგე-
ნილ პატაკში ი. გ. ჭილაშვილი წინადადებას
აყენებდა ისეთი წესის შემოსაღებად, როცა
დავალანებული მემამულის ყმა-გლეხის საჯა-
რო ვაჭრობით გაყიდვის დროს, რასაც მოვალის
პრეტენზიები მოითხოვს, სხვა დაინტერესებულ
პირებთან ერთად... გამოძახებულ იქნან თვით
ყმა-გლეხები და წინადადება მიეცეთ მათ...
გადაიხადონ თავიანთი თავისათვის საჯარო ან
საბოლოო ვაჭრობის დროს ჩამოყალიბებული
ფასი, ანდა თუ საჯარო ვაჭრობა არ შედგა, გა-
დაიხადონ თანხა შეფასების მიხედვით, და თუ
ფულს ნამდვილად შეიტანენ, მაშინ ყველა ისი-
ნი თავიანთი ქონებითურთ მიღებულ იქნან სა-
ხაზინო უწყებაში. იმ შემთხვევისათვის, როცა
გლეხებს საშუალება არ ჰქონდათ თავის გამოს-
ყიდვისა, ერთობ სასარგებლო იქნებოდა ი. გ.
ჭილაშვილის აზრით, თვით სახაზინას გაეწია მათ-
თვის ფულადი სუბსიდიებით დახმარება გან-
საზღვრული პირობებით. გლეხებზე მიცემული
ფული ვალს წარმოადგენდა, რომელიც მათ
რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა დაეფა-
რაბთ. თავდასწინილი გლეხები სახელმწიფო უწყ-
ებების განკარგულებაში გადადიოდნენ. ეს პრო-
ექტი ერმოლოვმა პეტერბურგში იუსტიციის
სამინისტროში გააგავანა. 1924 წლის 22 თე-
ბერვალს სახელმწიფო საბჭომ იგი დაამტკიცა.
ამ კანონის მიხედვით ყმა გლეხებს უფლება მი-
ეცა საჯარო ვაჭრობით თავი გამოეყიდათ, მი-
ედწიათ პირადი დამოუკიდებლობისათვის და
გადასულიყვნენ „თავისუფალ მხვინელ-მთეს-
ველთა რიცხვში ყველა იმ სარფით, რომელიც
მათ აქვთ მდგომარეობით მიწიქებული“². თავ-
დასწინსაღმი მისწრაფება ამის შემდეგ გლეხებ-
ში დიდად აკისრდა³. მ. ვ. ნეჩკინის დამოწმე-
ბით საჯარო ვაჭრობის გზით გლეხობის თვით-
გამოყიდვას მხოლოდ საქართველოში ატარებ-
დნენ⁴.

1826-1827 წლებში ი. გ. ჭილაშვილი ისევ პე-
ტერბურგშია ფინანსთა მინისტრის კანკარინის
განკარგულებაში. 1827 წელს აპრილში იგი სა-
ქართველოშია მოვლინებული ქვეყნის „ფინან-
სური მდგომარეობის მიმოხილვისათვის“. ამ

პერიოდში იგი ადგენს მიმოხილვას საქართვე-
ლოს სამხედრო გზის მთელი მოსახლეობის შე-
სახებზე. ამ მიმოხილვაში საქართველოს ისტორიის
უმნიშვნელოვანესი მომენტებია განხილული; ამა-
სთან ნაჩვენებია მთის ღარიბთა მძიმე მდგომარე-
ობა. აღნიშნულია, რომ „აქ ყოველმხრივ სიღა-
რიბეა; სიღატაკე მისი ყველაზე მკვეთრი სახით
ჩანს“⁵. მითითებულია რამდენიმე აქაური გლეხე-
ბის მდგომარეობა, რომელთაც სახელმწიფო
ვალდებულებათა გამო საშუალება არა აქვთ პუ-
რის მოსავლის აღებისა, ხაზგასმულია მოხელე-
თა თვითნებობა. ი. გ. ჭილაშვილი იმ ეკონომი-
ურ და სამართლებრივ ღონისძიებების პრო-
ექტს ამუშავებს, რომელმაც უნდა შეამსუბუ-
ქოს მთის ხალხის მდგომარეობა. შემდგომ ი. გ.
ჭილაშვილი თბილისის გუბერნიის სამხედრო
გუბერნატორის გენერალ სიპიაგინის განკარგუ-
ლებაშია, სადაც მთელ რიგ საპასუხისმგებლო
დავალებებს ასრულებს. ი. გ. ჭილაშვილის, იხე
როგორც მისი სხვა ძმების, განსაკუთრებით კი
გენერალ-მაიორ ბ. გ. ჭილაშვილის ოჯახებს მჭი-
რო კავშირი ჰქონდა საქართველოსა და რუსე-
თის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენ-
ლებთან⁶. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის,
რომ სხვადასხვა დროს ბ. გ. ჭილაშვილის სტუმ-
რები იყვნენ პუშკინი, ლერმონტოვი, დეკაბრის-
ტები⁷.

ი. გ. ჭილაშვილს მეტად ახლო მეგობრობა
ჰქონდა ალ. ჭავჭავაძესთან. მათი იდეური სიახ-
ლოვეც უწყობდა ამას ხელს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ი. გ.
ჭილაშვილისა და ა. ს. გრიბოედოვის ურთიერ-
თდამოკიდებულება. ამას გრიბოედოვის ერთი
წერილი შესანიშნავად ადასტურებს. 1828 წელს
გენერალ სიპიაგინის სიკვდილის შემდეგ ი. გ.
ჭილაშვილი იძულებულია დატოვოს სამსახური.
სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ა. ს. გრიბო-
ედოვის წერილი პასკევიჩისადმი. ა. ს. გრი-
ბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე 1828 წლის 3 დე-
კემბერს წერენ თავრიზიდან პასკევიჩს:

«Примите в ваше покровительство надвор-
ного советника Чилиева, который неког-
да был прокурором в Тифлисе, потом
при Сипячине. Он меня об этом не просит,
но ещё в бытность, мою в Тифлисе он

¹ Акты... т. VI, ч. I стр. 52.

² Полное собрание законов, т. 39. № 29806. 1824 г.

³ ა. კვიციანი, საქართველოს ისტორია (XIX საუკ.) 1954, გვ. 143.

⁴ М. В. Нечкина, Грибоедов и декабристы, 1951 г. стр. 194.

⁵ Акты... т. VII, стр. 349.

⁶ Кавказ в письмах его воинских деятелей, из архива Б. Г. Чилиева, с предисло-
вием и примечаниями Б. Л. Модзелевского «Русский архив», 1904 г. т. VIII ч. I,
стр. 115—174.

⁷ დაწვრილებით იხ. Вано Шадури, Декабристская литература и грузинская общест-
венность 1958 г. стр. 554—555.

очень желал бы лично быть известным вашему сиятельству. Все его знают, как за самого благонамеренного и расторопного человека, сведущего в законах и наконец грузина каких я мало встречал с европейским образованием и нравственностью.

Нина тоже обращается к вам с просьбой о нем и не смея прямо это сделать, стоит возле меня и заставляет меня все усердно о том при вас стараться. Мне самому смешно, когда вспомню свой собственный стих из Горы от Ума:

Как станешь представлять к крестичку ли,
к местечку,

Ну как не порадеть родному человеку».¹

ა. ს. გრიბოედოვის წერილმა იმოქმედა. ი. გ. ჭილაშვილი საქართველოს მთავარმართებელთან საგანგებო დავალების ჩინოვნიკად იწყებს მუშაობას.

ი. გ. ჭილაშვილის როგორც სამშობლოს პატრიოტის სახეს მნიშვნელოვნად ავსებს მის მიმართ 1832 წლის შეთქმულთა დამოკიდებულება. თვითონ იგი ამ შეთქმულების მონაწილე არ ყოფილა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ

II ი. გ. ჭილაშვილი — დეკაბრისტების პრე-პრეტი იდეური წინამორბედი

ი. გ. ჭილაშვილი ავტორია წიგნისა „ბუნებითი სამართლის მონახაზები“. როგორც უკვე აღვნიშნეთ იგი 1812 წელს სამამულო ომის დაწყებამდე დაბეჭდა. წიგნის² დაბეჭდვის ნებას ცენზურა 1812 წ. 29 თებერვალს იძლევა.

შეცდომის თავიდან ასცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებითი სამართლის შესახებ მოძღვრება არ შეიძლება თავის ისტორიულ განვითარებაში განვიხილოთ როგორც ჩვეულებრივი იურიდიული დოქტრინა.

ბუნებითი სამართლის შესახებ მოძღვრების ფესვებს ანტიკურ სამყაროში ვპოულობთ. იგი დასავლეთში ფართოდ დამუშავდა XVII საუკუნეში, მაგრამ მხოლოდ XVIII საუკუნის საფრანგეთში იქცა ეს მოძღვრება საზოგადოებრივი აზრის ფართო მოძრაობის იდეოლოგიურ ფორმად. სწორედ ფრანგმა დიდმა განმანათლებელმა მოგვცეს ფეოდალური უთანასწორობისა და თვითნებობის შეუღარებელი კრიტიკის ნიმუშები. თავიანთ კრიტიკაში ისინი გონების სა-

იგი იდეურ და მეგობრულ კავშირში იყო შეთქმულებთან და ყოველმხრივ თანაუგრძობლად მათ. შემთხვევითი როლი იყო, რომ გამარჯვების შემთხვევაში ი. გ. ჭილაშვილს ერთდროულად განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი უნდა დაეკავებინა.² ნიშანდობლივია, რომ ი. გ. ჭილაშვილი ერთადერთი იყო, რომლისთვისაც მინისტრის ორ პორტფელს ითვალისწინებდნენ. ბუნებრივია, მეფის ხელისუფლება ნდობით ვერ მოეკიდებოდა ამგვარ პიროვნებას. იგი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან, გადაყვანილ იქნა ლენქორანში, სადაც 1838 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. ცარიზმის დამოკიდებულებას ამ შესანიშნავი მოღვაწისადმი კარგად გამოხატავს შემდეგი ფაქტი: ი. გ. ჭილაშვილის გარდაცვალებისთანავე მისი ყველა ქალაქი შეგროვებულ იქნა კორპუსის უნდარმის კაპიტან როდეს მიერ „მასზე დაკისრებული მოვალეობის შესაბამისად“ და ოფიცერ ბაშინჯაღოვის თანხლებით გაიგზავნა თბილისში.³

მეუფიდან გამოდიოდნენ, რომლის წინაშე ყოველი ადრინდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფორმები, ყველა ტრადიციული წარმოდგენა უარყოფილ იქნა, როგორც უსამართლობის, ცრუმორწმუნეობის შედეგი. ყველაფერი ახლებურად უნდა დაწყებულიყო ბუნებითი სამართლის მარადიული ქვეყნარტების შესაბამისად. ბუნებითი სამართლის რეკოლუციური და პროგრესული წარმომადგენლები XVIII საუკუნეში ფეოდალიზმის სრული აღმოფხვრისა და დემოკრატიული თავისუფლების დამყარების მიზანს ემსახურებოდნენ. ბუნებითი სამართალი არსებითად ერთადერთი მიდგომა იყო სოციალური და პოლიტიკური მოვლენების ასახნედლად რაციონალისტური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. ამ მოძღვრების გავლენის გარეშე არ დარჩენილან თვით უტოპისტ-სოციალისტები, მხოლოდ და მხოლოდ სენსიზმონისტებმა მოახერხეს საბოლოო კავშირის გაწყვეტა ბუნებითი სამართლის თეორიასთან და ამით დიდი

¹ А. С. Грибоедов, сочинения, 1945, стр. 551.

² გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ. 91-92.

³ И. К. Ениколопов. Грибоедов в Грузии. 1954 г. стр. 77.

⁴ ი. გ. ჭილაშვილის წიგნი ნამდვილი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. მოსკოვში მისი ერთადერთი ეგზემპლარი ისტორიული ბიბლიოთეკის იმეათა წიგნების განყოფილებაშია. ექვი არ არის ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა უაღრესად სასარგებლო საქმე იქნებოდა ჩვენში საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესასწავლად.

ნაბიჯი გადადგეს საზოგადოებრივი აზრის შემდგომი განვითარების გზაზე.

თავისთავად ბუნებითი სამართლის დოქტრინისადმი მხარდაჭერა ჯერ კიდევ არასაკმარისია ამა თუ იმ ავტორის პრაგმატიზმის დასამტკიცებლად. ამ თეორიას რეაქციული მიზნებისათვისაც იყენებდნენ¹ და ამაჟამადაც იყენებენ ბურჟუაზიულ იურისპრუდენტიაში. მაშასადამე, ი. გ. ჭილაშვილის მსოფლმხედველობის დასახსნათებლად სრულიადაც არ კმარა მითითება, რომ იგი ბუნებითი სამართლის პოზიციებზე იდგა. საჭიროა დავასაბუთოთ რა დასკვნებისათვის იყენებდა იგი ბუნებითი სამართლის დოქტრინას და რა ადგილი უჭირავს მის წიგნს ამ სწავლებისადმი მიძღვნილ ნაშრომებს შორის. მეფის ხელისუფლება პირდაპირ არ კრძალავდა უმაღლეს სკოლებში ბუნებითი სამართლის სწავლებას, მაგრამ იგი ამ მოძღვრებას არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობისათვის სრულიად უწყინარ სასიათს აღძვდა. მრავალი კურსია გამოცემული XIX საუკუნის 20-30-იან წლებში, როცა ბუნებითი სამართალი იმდროინდელი სინამდვილისადმი სრული შესამების სულისკვეთებითა დამუშავებული². ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბუნებითი სამართალს ხშირად იყენებდნენ პროგრესული მოაზროვნეები რადიკალური დასკვნების გასაკეთებლად. მოწინავე ახალგაზრდობა სწორედ მათი სწავლებით იყო გატაცებული. საკმარისია გავისხევოთ რა სიყვარულით წერდა ა. ს. პუშკინი ბუნებითი სამართლის პროგრესულ წარმომადგენელზე ა. პ. კუნიცინზე, ხოლო ნ. ვ. გოგოლი — ნ. გ. ბელოუსოვზე³.

ი. გ. ჭილაშვილი სწორედ ბუნებითი სამართლის დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო. მართალია, იგი პირდაპირ არ აღიარებს ხალხის უფლებას რევოლუციაზე, ცენზურა ან ანც დამტკიცებად, მაგრამ აშკარა ავტორის მიერ თავის დროისათვის გამოთქმული დემოკრატიული და რადიკალური დასკვნები. დამახასიათებელია, რომ თავის წიგნის შესავალში ი. გ. ჭილაშვილი წერს იმ დაბრკოლებებზე, რაც მას ხელს უშლიდა სრულად მიმოეხილა ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან უმნიშვნელოვანესი სოციოლოგიური საკითხები. „ვაჭვეყნებ რა ამ ნაწარმოებს, — აცხადებს ი. გ. ჭილაშვილი წიგნის შესავალში, — მე ვალდებულად

ვრაცხ ჩემს თავს ვალიარო, რომ მისი გამოკვეთნება სხვანაირი სახით მინდოდა, მაგრამ მთელმხარემა გარემოებებმა ხელი შემეშალეს ამ სურვილის განხორციელებაში; მე არ შემეძლო მისი სასურველი სრულყოფა საჭირო დროის უქონლობის გამო, და მე დამრჩენია მხოლოდ ვთხოვო პატივცემულ მკითხველებს იყვნენ ჩემს მიმართ ლმობიერნი“.

ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ ავტორის მხოლოდ ტექნიკური სიმწელები და დროის უქონლობა როდი აქვს მხედველობაში, როცა თავის ნაშრომს ახასიათებს. მას აქვე მინიშნებული აქვს იმის შესახებ, რომ ძნელია ლოგიკურ ბოლომდე მიიყვანო ბუნებითი სამართლის თვალსაზრისი, რადგან რუსეთის მაშინდელი სინამდვილე ამის სრულ საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენდა.

ადამიანის ბუნებად, ი. გ. ჭილაშვილის აზრით, იწოდება იმ თვისებების გამოხატულება, რომლითაც მას შეუძლია იმოქმედოს ანდა განიცადოს, ხოლო „ბუნების კანონები ქმნიან წესრიგს, რომელშიც ყველა ადამიანური მოქმედება და განცდები უნდა განხორციელდეს. ამ კანონების ერთიანობას კი ჰქვია ბუნებითი სამართალი“ (გვ. 10). ადამიანთა საზოგადოების მიზანი ი. გ. ჭილაშვილს გამოჰყავს ადამიანის ბუნებრივ თავისებურებებიდან, მის „ბუნებრივ საჭიროებიდან“. ბუნებრივ საჭიროებად ი. გ. ჭილაშვილს ესმოდა ადამიანის მიერ რაიმე ნივთის ნაკლებობის შეგრძნება, ამასთან მოთხოვნილებას საკვებასა და წყურვილზე იგი თვლიდა ადამიანის სიცოცხლის მთავარ სტიმულად.

კვებისა და წყურვილის მოთხოვნილება მისი მტკიცებით „ადამიანის სიცოცხლის მთავარი ზამბარაა, ზამბარა ურომლისოდაც იგი იღუპება და კვდება“. (გვ. 12).

ი. გ. ჭილაშვილის ეს აზრები ეხმარება ჰელვეციუსის შეხედულებას. ჰელვეციუსის თვლიდა, რომ შიმშილი და გაჭირვება ადამიანს შრომისმოყვარესა და ბრძენს ხდის; აიძულებს მას შექმნას და სრულყოფოს შრომის იარაღები; შიმშილი პირველი მასწავლებელია პირველყოფილი ადამიანისა. მსგავს აზრებს ავითარებდა უ. თ. რუსო.

ი. გ. ჭილაშვილი თვლის რომ შიმშილი და გაჭირვება დიდი ძალაა, რომელიც ავითარებს ადამიანის უნარს და მათ შორის არა მარტო ფიზიკურს, არამედ სულიერსაც.

¹ И. С. Бак. Антифеодальные экономические учения в России второй половины XVIII-го века. 1958 г. стр. 40.

² М. И. Гильман, Некоторые вопросы развития передовой социологической мысли в России второй половины XVIII — первой четверти XIX веков. (Проблема естественного права и общественного договора). 1954 г. стр. 121.

³ С. Машинский, Гоголь и «дело о вольнодумстве» 1959, стр. 288—289.

ი. გ. ჭილაშვილი იწყებს განცალკევებული ინდივიდით — პირველყოფილი ადამიანით, რომელიც ბუნებრივ მდგომარეობაშია. ეს ადამიანი გრძნობს შიმშილს, იტანჯება, მაგრამ არ იცის რა გააკეთოს და შემთხვევით იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას. იმ ნივთს, რომელმაც მისი წყურვილი დააკმაყოფილა, ადამიანი ათვალთვრებს, ადამიანში იღვიძებს სულის პირველი მოქმედება, ე. ი. ყ უ რ ა დ ე ბ ა. ადამიანი კვლავ გრძნობს შიმშილს. ტანჯვა ისევ განახლებდა მასში. იგი წარმოიდგენს თავის აღრინდელ მდგომარეობას მყოფადთან ერთად. იგი აღარებს. აქ ხდება მ ს ჭ ე ლ ო ბ ა. შემდეგ მასში ჩნდება მოგონება იმ ნივთზე, რომელმაც დააშუშა იგი მსგავს შემთხვევაში. იგი აზრით უახლოვდება ამ ნივთს. ასე იქმნება წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა. სისტემატურად აქცევს რა ყურადღებას წარსულ შიმშილს, მომავალ საჭიროებას და ნივთს, რომელიც აკმაყოფილებს მის წყურვილს, აღარებს მათ, ადამიანი ფ ი ქ რ ო ბ ს. დასასრულ იგი იგებს რომ ნივთმა, რომელმაც აღრინდელი შიმშილი დააკმაყოფილა, შეუძლია დააკმაყოფილოს ახლანდელიც. იგი ა ზ რ ო ვ ე ბ ს. იმის გამო, რომ შიმშილის შეგრძნება უწყვეტია, და იცის რა რომ განსაზღვრულ ნივთს მისი დაკმაყოფილება შეუძლია, ადამიანს უნდა ფლობდეს ამ ნივთს. მას ამის სურვილი აქვს. ამ სურვილს იგი გამოხატავს ნივთის შექენით, რაც ნ ე ბ ა დ იწოდება. ამ გზით ადამიანის საჭიროებებსა და უნარს შორის უმჭიდროესი კავშირითიერთობა ვითარდება. ი. გ. ჭილაშვილს უაღრესად ორიგინალურად აქვს განვითარებული ადამიანის სულიერი ჩამოყალიბების გზა. თვითონაც შენიშნავს, რომ „თითქმის ყველა ავტორი ამ სულიერ უნარს ჩვეულებრივ სხვანაირად მიმოიხილავს“ (გვ. 19). როგორც ვხედავთ, ი. გ. ჭილაშვილი აბსტრაქტული ადამიანის ცნებიდან გამოდის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისთვის უცხოა ადამიანის საზოგადოებრივი კავშირითიერთობის მნიშვნელობის შეფასება. იგი შენიშნავად წერდა „ჩვენ აზრობრივად შეგვიძლია ამოვგვიძოთ ადამიანი მის მსგავსთა გარემოდან, განვიხილოთ იგი განცალკევებულად, მაგრამ მას არ შეუძლია იარსებოს ამგვარ მდგომარეობაში, არ შეუძლია გააგრძელოს თავისი სიცოცხლე სხვების დახმარების გარეშე“ (გვ. 30). რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ი. გ. ჭილაშვილმა მოახერხა ისტორიული იდეალიზმის დაძვება, მაგრამ შეეკვლია, რომ აქ ავტორი საზოგადოებრივი ადამიანის როლის ღრმა მიხვედრას ვგაძლევს.

ი. გ. ჭილაშვილის მსოფლმხედველობა უაღრესად ჰუმანურია. მიუთითებს რა მოაზროვნეთა იმ დავაზე, თუ რისთვის იბადება ადამიანი, ი. გ. ჭილაშვილი ადამიანის სიყვარულით პასუხობს: „ადამიანი იმისათვის არ იბადება, რომ არ იცხოვროს, ბუნებამ გააჩინა იგი, ბუნებამ მოამარაგა მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარით, მაშასადამე, ბუნებამ განუსაზღვრა ადამიანს დატკბეს სიცოცხლით“. (გვ. 20-21).

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ ი. გ. ჭილაშვილი აბათილებს კაცთმოძულე მალთუხის შეხედულებას. მალთუხის წიგნი, რომელიც 1798 წელს გამოქვეყნდა სწორედ საპირისპიროს ამტკიცებდა: „წელმეტ“ ადამიანს „არავითარი უფლება არა აქვს მოითხოვოს როგორც არ უნდა იყოს გამოკვება... ცხოვრების დიდ ნაღიმე მისთვის არ არის ადვილი. ბუნება უბრძანებს მას გაშორდეს და არ აგვიანებს თავისი-განაჩენი სისრულეში მოიყვანოს“.¹

ი. გ. ჭილაშვილს მიაჩნია, რომ ადამიანს უფლება აქვს თავისი ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ისარგებლოს იმ საგნებით, რომლებიც მას გარს აკრავს და ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ადამიანის უფლებებს შორის იგი ცალკე გამოყოფს უფლებას „ძალით მოიგერიოს ყოველგვარი გარდუვალი თავდასხმა, რომელიც მის სიცოცხლეს ანდა კეთილდღეობას ემუქრება“ (გვ. 22). თვითმპყრობელობის დროს, ძალადობისა და დესპოტიზმის პირობებში მითითება ღაჩარულის უფლებაზე დაცვას თავი თავდასხმისაგან — ავტორის შეხედულების რადიკალიზმზე მიუთითებს.

ი. გ. ჭილაშვილის აზრით შრომა უპირველესი აუცილებლობაა ადამიანისათვის, ვინაიდან ამ გზით შეუძლია ადამიანს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. უაღრესად ხანტერესია ი. გ. ჭილაშვილის შეხედულება შრომისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულებაზე. შრომაში მოთხოვნილება იზრდება და რთულდება; ადამიანებს შრომის პროცესში უჩნდებათ ახალი მოთხოვნილება საკუთრებისა, რაც შრომაზეა დაფუძნებული და რომელიც გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ ნივთების შესაძენად, რომლებიც საჭიროა ადამიანის კეთილდღეობისათვის (გვ. 27). ყველა სახე საკუთრებისა მართლმომიერია მხოლოდ იმდენად რამდენადაც იგი „შრომის გზით არის შექენილი (გვ. 38). ამით უარყოფილია ყოველი საკუთრება, რომელიც სხვისი შრომითაა შექენილი.

¹ Мальтус. Опыт о законе народонаселения, 1868, т. 1, стр. 12.

ფიზიოკრატებისა და მამლის მსგავსად ი. გ. ჭილაშვილი აღიარებს პირად საკუთრებას, რომელიც პირად თავისუფლებას გულისხმობს, და მოძრავი ქონების საკუთრებას, როგორც არსებობის საშუალებებზე საკუთრების უფლებას.

ი. გ. ჭილაშვილი მიუხედავად მაშინდელი რუსეთის ცხოვრების მიმე სინამდვილისა, 1812 წელს დაუინებოთ ამტკიცებდა: „არ არის თავისუფლება პირადი საკუთრების გარეშე, არ არის პირადი საკუთრება თავისუფლების გარეშე, არ არის მათ გარეშე კეთილდღეობა“ (გვ. 37). ამიტომაც მისი აზრით ყველასთვის უნდა იყოს პირადი საკუთრება. ამასთან: „1. პირადი საკუთრება და თავისუფლება თითოეული ადამიანისა უნდა იყოს წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელი; 2. მარტო მას—ადამიანს შეუძლია განაგოს ისინი თავისი ნებით; 3. ადამიანმა უნდა ძალით მოიგერიოს ყოველგვარი თავდასხმა, რომელიც მის პირად საკუთრებას და მის თავისუფლებას ემუქრება“ (გვ. 37).

მოძრავი ქონების საკუთრება ბუნებრივად უნდა წარმოადგენდეს პირადი საკუთრების გაგრძელებას. ეს კერძო საკუთრება მხოლოდ შრომით შეიძინება. მეტად ნიშანდობლივია, რომ მოძრავ ქონების საკუთრებიდან ი. გ. ჭილაშვილი გამოყოფს საკვებ პროდუქტებს, რომელიც ყველას უნდა ეძლეოდეს, ვინაიდან იგი სწორედ ყველას სჭირდება. საკუთრების შრომითი წარმოშობის თეორიას ი. გ. ჭილაშვილი იყენებს ამგვარი პროგრესული დასკვნების გასაკეთებლად. თავისი მოძღვრებით იგი საკუთრების ობიექტიდან მთლიანად გამორიცხავდა ყმაზე საკუთრებას და ამით ამუღავნებდა თავის პრინციპულ დამოკიდებულებას ბატონყმობისადმი. წინააღმდეგობრივია მისი პოზიცია მიწაზე კერძო საკუთრების საკითხში. იგი პირდაპირ არ უარყოფს მიწაზე კერძო საკუთრების არსებობას, მაგრამ მას ისევ შრომით თეორიას უკავშირებს. მიწაზე საკუთრების შექმნა დასაშვებად მიაჩნია მისი დამუშავების გზით, როცა ადამიანს ამისათვის მსხვერპლად მიაქვს შრომა და მოძრავი საკუთრება. ამ გზით წარმოშობილი საკუთრება მიწაზე არ ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს. ი. გ. ჭილაშვილის აზრით, როგორც მოძრავი ისე მიწის საკუთრება „აღმოცენდება საჭიროებისაგან და პირადი საკუთრებისაგან, მაშასადამე, თვით ბუნებისაგან“ (გვ. 42). მიწის საკუთრებაზე შრომითი დაუფლების პრინციპის მიხედვით მსჯელობა ბატონყმური ურთიერთობის შეუზღუდველი თვითნებობის პირობებში უაღრესად გაბედული შეხედულება იყო.

ი. გ. ჭილაშვილი ხელშეკრულების ბუნების ახსნასთან დაკავშირებით შესანიშნავ აზრებს

ანვითარებს. „ყველა ადამიანი თავისუფალია ყველა ადამიანი ურთიერთშორის თანასწორობაში პირადი საკუთრებისა და პირადი თავისუფლების ხაზით, მაშასადამე, არც ერთ მათგანს არავის ვალი არ აქვს, ანდა რამდენი ვალიც ერთს აქვს მეორეს წინაშე ისეთივე ვალი აქვს მეორეს“ (გვ. 42-43). ამაზეა დამყარებული ხელშეკრულებები. ისინი ნებიდან და თავისუფლებიდან უნდა გამომდინარეობდნენ. არ კმარა მარტო ხელშეკრულების დადების თავისუფლების აღიარება. საჭიროა მისი რეალიზაციისათვის სათანადო საკანონმდებლო გარანტიების შემუშავება. ხელშეკრულებებმა არასდროს არ უნდა შეზღუდონ პირადი საკუთრება და პირადი თავისუფლება. ხელშეკრულების დარღვევის თავიდან ასაცილებლად მხარეს უფლება აქვს იძულებითი დონისძიებებით აიძულოს კონტრაგენტი შეასრულოს ვალდებულება (გვ. 46). თანასწორობის ეს იდეა მართალია უტოპისტურია და ილუზიური, მაგრამ ფეოდალიზმის და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში თანასწორობის იდეა, როგორც ცნობილია, ყველაზე რევოლუციური იდეა იყო.

ი. გ. ჭილაშვილი აბსტრაქტულ-ფილოსოფიურ ფონზე მიმოიხილავს ბუნებით სამართალს. იგი, რასაკვირველია, თავს იკავებს იმისგან, გვიტხრას რამდენად ეფარდება რუსეთის კანონმდებლობა და რუსული სინამდვილე ბუნებითი სამართლის პრინციპებს. ამის გაკეთება მას არ შეეძლო პირველ რიგში ცენტურული მოსაზრებით.

თუ რამდენად ეთანხმებოდა ბუნების სამართლიანობას რუსული სინამდვილე, შედარებას ავტორი მთლიანად მკითხველს ანდობს. ყველაფერი ამ წიგნში სწორედ ამგვარი შეხედულების სურვილის აღძვრითაა მიმოხილული.

ი. გ. ჭილაშვილი XIX საუკუნის საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის შესანიშნავი წარმომადგენელია. მართალია, იგი ვერ გასცდა ისტორიის იდეალისტურ გაგებას და მეტაფიზიკურ მეთოდოლოგიას, მაგრამ თავის დროსათვის მან მოწინავე სოციოლოგიური თეორია შეიმუშავა.

ი. გ. ჭილაშვილის „ბუნებითი სამართლის მონახაზები“ დასტურებს ოცი წლის ჭაბუკ მეცნიერის ღრმა ერუდიციას ფილოსოფიის, იურისპრუდენციისა და ისტორიის დარგში. იგი არა მარტო დიდი ფრანგი განმანათლებლების გავლენას განიცდის, არამედ ევროპის მოწინავე აზროვნების კრიტიკული ათვისების საუკეთესო ნიმუშს გვაძლევს. ამიტომაც სავსებით სწორია „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ (ტ. 47) მტკიცება, რომ ი. გ. ჭილაშვილი დეკაბრისტების ერთ-ერთი იდეური წინამორბედაა.

ქარიზხალზე მიწრობილი გული

კომუნისტ ხოსროვ რუზიშვილის სიკვდილით დასჯა ირანში

ლ. დ. შალვაშვილი

1958 წელს, მაისის 10-ს, ირანის სამხედრო ტრიბუნალის წინაშე იდგა ცხრა თვის მანძილზე ძიებაში წამებული, უკვე ჯანგაბებილი, ყავარ-ჯენს დაყრდნობილი 43 წლის ვაჟაკი, რომელიც საკუთარი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს ასე ამოთვრებდა თავის საბოლოო სიტყვას: „მე არ ვთვლი თავს დამნაშავედ, მაშასადამე, არც სასჯელს ვიმსახურებ. მაგრამ, რადგანაც ჩემ სინდისს საშიშროება ელის, სასამართლოს ვთხოვ, მაკუთვნოს სიკვდილით დასჯა; ასეთი თხოვნა გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ სურვილით — გავინაწილო ხვედრი გვირგვინად დაღუპული ოფიცრებისა და ბოლო მოუღო იმ საფრთხეს, რომელიც ჩემს სინდისს ემუქრება. არც მე, არც სიკვდილით დასჯილი ოფიცრები და არც ისინი, რომლებსაც უკანასკნელი წლების მანძილზე პოლიტიკური მოღვაწეობისათვის დაეღოთ მსჯავრი, არ ვყოფილვართ დამნაშავენი. არა! ჩვენ ძვირფასი სამშობლოს უანგარო სამსახურის მწველი სურვილი გვაიმოძრავებდა. სამართლიანი და კეთილშობილი ირანელი ხალხი დღევანდელის მსგავს ყველა პროცესს დესპოტიზმის გამოხატულებად სთვლის და იგი არ დაივიწყებს მისი სიკეთისათვის მებრძოლ შეილებს.

თქვენ მსჯავრს გამოუტანთ ხოსროვ რუზიშვილს, მაგრამ ამით ვერ დაგმოთ სიამაცეს, პატრიოტიზმს, კაცთმოყვარეობას და რწმენისათვის თავდადებას. ჩემი თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პატივცემულ მოსამართლეებს განაჩენის წაკითხვისთანავე დიმილით შევეგებები და ეს იქნება ჩემი უფურცელი გულის მიერ გამოხატული მადლობა“.

ხოსროვ რუზიშვილი ისეთ გმირთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელები მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დაიქუხებენ ხოლმე, მათიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერებთან და ხალხში ლეგენდებად გადადიან. გავისხეთო ჩეხი ხალხის სახელოვანი შვილი იულიუს ფუჩიკი, რომლის მიერ საპრობილედან შემოთვლილმა სიტყვებმა — „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარსარსი იყავით ფხიზლად!“ მხოლოდო რეზონანსი მოიპოვა. ან თუნდაც მოვიგონოთ საბჭოთა ადამი-

ნი მუსა ჯალილი, რომელმაც სიკვდილის წინ ბრძოლისა და ოპტიმიზმის პათოსით აღსაყვარებელი სიტყვები ასე დაამთავრა: „ჩემი სიკვდილი ხალხში ბრძოლის სიმდერად გადავა“; რამტკიცე და ძლიერი ადამიანის სახე იხატება მკითხველის თვალში გერმანელი კომუნისტის გეორგ ლენელიტერის მიერ სასჯელის აღსრულების წინ თქმულ ამ სიტყვებში: „მოახლოვებული სიკვდილი მე არ მაშინებს... ჩემს მეგობრებთან ერთად ვიღწვოდი იდეისათვის, რაც ადამიანს ადამიანობას ანიჭებს... ტანჯვაში იდგა გაგაძლებინებს, ამ დროს იგი ისევე საჭიროა, როგორც ცხოვრებაში“. და კიდევ რამდენი ასეთი პირი შეიძლება დავასახელოთ კაცობრიობის ახალი ისტორიის მათიანედან!

რუზიშვილმა, არტილერიის კაპიტანმა, ირანის თავისუფლებისმოყვარე ოფიცერთა ფარული ორგანიზაციის ხელისჩამდგემლმა და შემდეგ სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, დაღუპული ჭაბუკობის წლებიდან მიანდო გული სამშობლოს ბედის ქარიზხალს და ამ ბრძოლაში დაეცა ისე, როგორც ეს ერის ჩრეულ შეილებს ხშირად ხვედრად რვებათ ხოლმე. მისი სიცოცხლის შეგნებული წლები თავისი ქვეყნის ფრიალ დაძაბულ და მშფოთვარე ხანებს დაემთხვა — ეს იყო პერიოდი, როდესაც ყველა დროე უფრო აშკარად თქვა სპარსელმა ხალხმა თავისი სიტყვა: „ჩვენ აღარ შეგვიძლია კვლავაც მოვითმინოთ, როდესაც ვხედავთ, უცხოელები როგორ ძარცვავენ იმ საუნჯეს, რომელსაც მშობლიური მიწა ჩვენთვის ავრთვებდა ორმოცდაათი მილიონი წლის განმავლობაში“; „მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის წიაღში ოქროს ოქანაა, ჩვენ არ ვცხურს შემშობილი სიკვდილი“ — ეს სიტყვები ახალი დროის ირანის მიძიმე დღეთა ამსახველია და გამოხატავენ ამ ქვეყნის განსაკუთრებით მიძიმე ვითარებას. უცხოური კაპიტალი, ჭერ ბიტლერული გერმანიისა, ხოლო შემდეგ ინგლისისა და ამერიკის შერთებული შტატების იმპერიალიზმისა განუკითხავად შეიჭრა სპარსეთის ეკონომიური ცხოვრების წიაღში და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მპყრობელობისა და სა-

ხელმწიფოს მმართველობის ფაქტიური განმგებლის უფლებათა მოპოვებისათვისაც იკავებდა გზას. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება 1953 წელს აგვისტოს გადატრიალების შემდეგ¹, როდესაც მმართველი კლასების ყველაზე უფრო რეაქციული ფრთის ინიციატივით, ამერიკის იმპერიალიზმის დახმარებით, დამსობილ იქნა დოქტორ მოსადეყის მთავრობა და ირანის ნავთის ნაციონალიზაციას, რომლისგანაც ხალხი შეგებას ელოდა, ასე მალე მოეღო ბოლო. ამიერიდან კვლავ ახალ ტალღად შეიჭრა იქ უცხოური კაპიტალი, რასაც შედეგად მოჰყვა ირანის ჩათრევა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიულ ბლოკებშიც.

ირანის ეროვნული ეკონომიკა, შეიძლება ითქვას, ძირგამოთხრილია უცხოური, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის მონოპოლიებით. ამჟამად იქ ათასზე მეტი უცხო ფირმა და მონოპოლიაა. ეს გარემოება ანადგურებს ადგილობრივ ვაჭრობასა და მრეწველობას. მაგრამ ასეთი ფირმები და მონოპოლიები შეიძლება სასხენებელიც არ იყოს ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმთან, რომელიც ირანელ მუშას კაბიკებს უხდის, ტონა ნავთობი დოლარნახევარი

უჯდება, ხოლო 11-13-ჯერ მეტ ფასში ყიდის მას. უცხოური მონოპოლიები სპარსეთის ნავთობისაგან ყოველწლიურად 800 მილიონ დოლარს მოგებას ნახულობენ. ყოვლად შეუზღუდავი საიმპორტო საქონელი ანადგურებს ადგილობრივ მრეწველობას; ირანის მთავრობა ვალებშია ჩაფლული, მკვეთრად მცირდება ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისათვის საჭირო ხარჯები და ეს ხდება ისეთ ქვეყანაში, სადაც ოცდახუთი ათას მოსახლეზე მოდის ერთი ექიმი, სადაც ყოველწლიურად სხვადასხვა დაავადება ასეულობით სიცოცხლეს სპობს, სადაც ყოველი მეოთხე ახლადშობილი იღუპება, ხოლო ერთ წლამდე 75 პროცენტზე ვეფ² აღწევს; მოსახლეობის 71 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია და ბიუჯეტის მხოლოდ უმცირესი ნაწილი (10-12%) ხმარდება განათლების საქმეს.

ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. რადმანეში 1960 წელს წერდა: „ამჟამად ჩვენი ქვეყანა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ დანაშატს წარმოადგენს. ირანის მო-

¹ ამ გადატრიალებას შედეგად მოჰყვა დოქტორ მოსადეყის კაბინეტის დაცემა. მან ჯერ კიდევ 1949 წ. ჩამოაყალიბა ირანის ეროვნული ბურჟუაზიის ორგანიზაცია „ნაციონალური ფრონტი“, რომელიც მტკიცედ მოითხოვდა ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის ლიკვიდაციას და ქვეყნის ამ ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის ნაციონალიზაციას. როდესაც მოსადეყმა პრემიერის პოსტი დაიჭირა (1951 წ. 29 აპრილს), ეს განზრახვა მან კიდევ მოიყვანა სისრულეში და ამრიგად ინგლისი გამოეთხოვა დიდ კონცესიას, რომელიც მას ხელთ ეპყრა 1901 წლიდან. მთავრობის ამ ნაბიჯს ფართო მასები უსახლვრო კმაყოფილებით შეხვდნენ. აბადანში სიხარულით აცრემლებული მუშები ნავთობის გადამამუშავებელ მანქანებს ხელებით ეფერებოდნენ, ხოლო ქუჩებში გამოსული ხალხი შეწირვის ნიშნად ცხვრებს ჰკლავდა და ყურანზე იფიცებდა, რომ დაცვადა მოპოვებულ კანონს ნავთის ნაციონალიზაციის შესახებ. აი, ამ დრომდე ირანის სახალხო პარტია და მოსადეყის მთავრობა ერთ საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ ამიერიდან მასების გააქტივებისა და ალტაცების გამო ვითარება შეიცვალა და სულ მალე თავი იჩინა ბურჟუაზიის ნამდვილმა ბუნებამ; ეს ცხადი გახდა იმავე წლის 15 ივლისს, როდესაც ინგლისის სამხედრო ძალებისა და ირანის პოლიციის მიერ 1946 წელს აბადანის მუშათა გაფიცვის დახვერტიდან ხუთი წლისთაყის აღსანიშნავად გამოსული გრანდიოზული დემონსტრაცია, რომლის უმთავრესი მიზანი იყო პროტესტის გამოცხადება ახალი მთავრობისათვის ამერიკასთან მოლაპარაკების დაწყების გამო, მოსადეყის მითითებით დარბეულ იქნა. „მოსადეყო, შენ უკვე ჩამორჩენილი ნიღაბი, შენ ამერიკელთან ხარ, შენ უღალატე ხალხს და ზოცავ მის უცილებს!“ — იძახდა ხალხი. და სწორედ იმ დღით იყო, თეირანს რომ ეწვია ბრუმენის პირადი წარმომადგენელი ჰარიმანი. იქმნებოდა ვითარება, რომ ახალი პრემიერი ინგლისელ იმპერიალისტებს ამერიკელებით სცვლიდა. თავისი „უცოდველობის“ დასამტკიცებლად მოსადეყმა გადააყენა სამხედრო და საპოლიციო თანამდებობის პირები, მაგრამ ხალხის მხარდაჭერა მან ამით ვეღარ დიდბრუნა. სამაგიეროდ დაჰყარა ის რეალური ძალა, რომელიც მას მხარში უდგა ნაციონალიზაციის კანონის შენარჩუნებასა და დაცვაში. ამავე დროს არ ეძინათ ქვეყნის რეაქციულ ძალებს, რომლებიც ირანში ინგლისის პოზიციების დაკარგვით გალაღებულ ამერიკის იმპერიალიზმთან შეთანხმებაში შეედიდნენ; ამისთანავე დაკარგულნი იყვნენ რაიმე წილის მიღების მიზნით მათ ინგლისს „შეუერთდა“ 1953 წ. 19 აგვისტოს პიტლერული წრთობის რეაქციული გენერალის ზაჰედის მეთაურობით მოახდინეს კაბინეტის გადატრიალება. სამართალში იქნა მიცემული მოსადეყი, ხოლო ქვეყანა ტერორმა და რეაქციამ მოიცვა.

ნაწილობამ სენტო-ს აგრესიულ პაქტში¹ და მის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ხელშეკრულების დადებამ იგი აქცია სამხედრო ბაზად, რომელსაც ახლა იმპერიალისტები იყენებენ ჩვენი დიდი და ძლიერპოლიტიკური მეთაურის, ხალხთა უანგარო მეგობრისა და მათი თავისუფლების ქომაგის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

შაჰის ხელისუფლების ანტიხალხურმა საგარეო პოლიტიკამ ირანი მთელ შუა აღმოსავლეთში იზოლირებულ მდგომარეობაში მიიყვანა. ხალხის წინაშე შაჰის მთავრობის შიშის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს დაპატიმრებული ირანელი პატრიოტებით გაჭედვითი საპრობოლტები და პოლიგონები, სადაც ხან ჯგუფ-ჯგუფად და ხან სათითაოდ ხვრეტენ სამართლიანი საქმისათვის მებრძოლ ადამიანებს.

შაჰის ხელისუფლების ეკონომიურმა პოლიტიკამ ქვეყნის ვითარება მიიყვანა ქრონიკულ კრიზისებამდე. ამას ადასტურებს ფასების განუწყვეტელი ზრდა, ინფლაცია, ექსპორტის თითქმის სტოპირებული მდგომარეობა, უცხო სესხების ზრდა და საწარმოთა მფლობელების ფრიალ ხშირი ვაკოტრება².

ირანის ეკონომიური დაქვეითებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკნინებას ბუნებრივია, რომ გულგრილად ვერ სვდებოდა ქვეყნის ნამდვილი პატრონი — ხალხი, ფართო მშრომელი მასები და მისი მოწინავე რაზმი — სახალხო პარტია, რომელიც, როგორც რადიკალური აღნიშნავს, თავის რიგებში აერთიანებს ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ საუკეთესო ძალებს და ირანის კომუნისტური პარტიის (დაარსებული იქნა 1920 წ.) საქმის მემკვიდრე და გამგრძელებელია. მისივე თქმით, ირანის სახალხო პარტიის შექმნა (1941 წლის სექტემბერში—კ. ფ.) — ეს იყო შემობრუნების პუნქტი ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ — განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. ირანის სახალხო პარტია მცირე დროში; რამდენიმე მცირერიცხოვანი უჯრედიდან, გადაიქცა მუშათა კლასისა და მშრომელთა ფართო მასების პარტიად, რომელიც შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით... შედარებით მოკლე დროში პარტიამ დიდი მხარდაჭერა მპოვა ირანის მუშებს, გლეხებს, კულტარულ მეწარმეთა და პროგრესულ ინტელიგენციას შორის, აგრეთვე პატრიოტულად განწყობილ ოფიცერთა შორის³.

აღმოსავლეთის ისტორიის ბოლო დროის

ფურცლები არა მხოლოდ ირანში, არამედ სხვა განაც ადასტურებენ პატრიოტულად განწყობილ ოფიცერთა როლს სამშობლოსათვის მძიმე ვითარებასა და კრიტიკულ წუთებში. ასე იყო ეგვიპტეში, ასე იყო ერაყში, ასე მოხდა იემენში. ირანის არმიის რიგებსაც ამშვენებდა თავისი ქვეყნის უებრო პატრიოტი კაპიტანი ხოსროვ რუზბეში, რომელიც სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე დადგა ისევე ღირსეულად, როგორც 30-იან წლებში თაყი ერანი — ირანის კომუნისტური პარტიის დიდი მოღვაწე, რევოლუციური მარქსიზმის დაუღალავი პროპაგანდისტი, მგზნებარე ტრიბუნი და შესანიშნავი ორგანიზატორი; გენერალი აზიმი — 1946 წ. ირანის ანერბაიჯანის სახალხო-რევოლუციური მოძრაობის სტრატეგი, და მისი ოცდაქვესი თანამებრძოლი, რომელმაც ინტერნაციონალის სიმღერით მიდიოლდენ დასახვრეტად დანიშნული ადგილისაკენ; ქურდისტანის რევოლუციის მეთაური ყაზი მოჰამედი და შრავალი სხვა.

1953 წლის აგვისტოს გადატრიალების შემდეგ ირანში რეაქცია გამეფდა, დაიწყო მასობრივი დაჭერები, რაც 1954 წელსაც გაგრძელდა. დაპატიმრეს თავისუფლებისმოყვარე ოფიცერთა ორგანიზაციის წევრები; ფრიალ განათლებული სამხედრო პირები. ირანის გაუთებმა გამოაქვეყნეს ამ ორგანიზაციის მესვეურთა გვარები, რომელთა შორის მოხსენებული იყო რუზბეშიც. მაშინ მან მოასწრო დამალულიყო, ხოლო ამხანაგთა წინადადებაზე, დაეტოვებია ირანი, მტკიცე უარი განუცხადებია და უთქვამს — მე უნდა ვიბრძოლო და მოკვდე ჩემს სამშობლოში. მისი დევნა და ძებნა, რა თქმა უნდა, დღითი დღე ძლიერდებოდა. ორჯერ შეიპყრეს კიდეც, მაგრამ ორჯერვე მოახერხა საპატიმროდან თავის დაღწევა. ბოლოს, მოალატის მიერ გაცემული, 1957 წლის 7 ივლისს, თეირანის ერთ-ერთ ქუჩაზე, ჩისში, პოლიციის მიერ აღყაშვებორტყმული აღმოჩნდა. ამ საბედისწერო წუთებში გასაოცარი სიღინჯე და მიზანშეწონილი მოქმედების უნარი გამოუჩინია. მიუხედავად მიღებული სამი ჭრილობისა, ერთხანს თავის დაღწევაც მოუხერხებია და იქვე, მახლობლად, მრავალსართულიანი სახლის სასურავზე მოქცეულა. აქ, თავისუფლად ამოსუნთქვის რამდენიმე წუთიც საქმისათვის შეუწირავს: ბლოკნოტის ფურცლებზე ალუნიშნავს გამცემის ვინაობა, — დე, იცოდეს ხალხმა და პარტიამ თუ ვინ არის ორგული და მოალატეო და ეს ფურცლები გადასაცემად მიუწვდია

1 1959 წლის აგვისტომდე — ბაღდადის პაქტის სახელწოდებით იყო ცნობილი.
 2 გაზეთი „პრავდა“ 1960 წლის 22 ივნისი.
 3 იქვე.

ქარიშხალზე მინდობილი გული

ნიავისათვის, რომელიც ქროდა „სასარელი თე-
ირანის“ სახურავებზე.

პატივითაა ცხრა თვის ძიების შემდეგ
სოსროვ რუზბეში ტრიბუნალის წინაშე წარ-
დგა. აქ მან განაცხადა: „მე მთელი არსებით
მძაგ კაპიტალიზმი და ვარ ამ წყობილების შე-
ურჩეველი მტერი. კაპიტალიზმი თვრამეტი
მილიონ ადამიანის (იგულისხმება ირანის მო-
სახლეობა — კ. ფ.) შიმშილის, სიღარიბისა და
უფუფლებობის ფასად მხოლოდ ათასამდე პრი-
ვილეგირებული ოჯახს ბედნიერება შექმნა...
ჩვენ გვინდა სამუდამოდ მოვსპოთ ადამიანის
მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რომელიც ყო-
ველგვარი სოციალური ბორცების წყაროს
წარმოადგენს... ირანის სახალხო პარტია ყველა-
ზე პრინციპული და ყველაზე ორგანიზებული
პარტიაა, რომელიც კი ყოფილა ირანში კონს-
ტიტუციის არსებობის ორმოცდაათი წლის მან-
ძილზე. მისი განსაკუთრებული დამახასიათებ-
ელი თვისება ეს თანმიმდევრული რევოლუ-
ციური ხასიათია. სახალხო პარტიის შექმნა
ისტორიული აუცილებლობათა გამოწვეული,
მისი არსებობა მეცნიერულ პრინციპებზეა და-
ფუძნებული, იგი ხელმძღვანელობს რევოლუ-
ციური თეორიითა და მსოფლმხედველობით.
ჩვენ პარტია ამყობს იმით, რომ ის ემყარება
ხალხს და იბრძვის მისი ინტერესებისათვის“.


ვინ იყო სოსროვ რუზბეში თავისი სოცია-
ლური წარმომადგენლობით, განათლებით, ან რამ მი-
იყვანა იგი სახალხო პარტიასთან? ამის შესახებ
მან მოახსენა სამხედრო ტრიბუნალს და ამას-
თანავე დასძინა: ჩემს ბიოგრაფიას მოგითხ-
რობთ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხადვყო, თუ რა-
ტომ დავუკავშირე ესოდენ მჭიდროდ ჩემი
ცხოვრება ამ სახელოვან პარტიასო.

იგი დაბადებულა 1915 წელს თეირანში დივი-
ზიის მთავარი ინტენდანტის ოჯახში. კეთილსინ-
დისიერი მამაჩემის პატიოსანი შრომით აღებუ-
ლი ჯამაგირი არ გვეყოფნიდა და ამიტომაც ხელ-
მოკლებოდა ჩვენი ოჯახის განუწყრელი თანამგ-
ზავრი იყო. მამას რომ დავხმარებოდი და
მისთვის ოჯახის ტვირთი შემემსუბუქებინა,
ორი წლით ჯერ დავასრულე გიმნაზიის კურს-
სი და შევედი თეირანის უნივერსიტეტში მე-
ქანიკის ფაკულტეტზე. პროფესორები ნიჭს მი-
ქებდნენ და ჩემგან დიდ ირანელ მათემატიკოსს
ულოდნენო. მგონი რომ მათ იმედი არ გაუტ-
რუვდებოდათ, მაგრამ, ვაგლახ, მატერიალურმა
ხელმოკლებამ კურსის დასრულების საშუალებ-
ა არ მომცა. იძულებული ვაგხდი გადავსული-
ყავი საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც
1937 წელს დავასრულე ლეიტენანტის ჩინითო.
იგი აქაც ქებული კურსანტი ყოფილა. გენერალ
შენგენეს ბალისტიკაში ურთულესი მოცემუ-

ლობის ამოხსნისას აღძრული სიძნელეებს და
სადღევად ხშირად მიუმართავს ხოლმე მისთ-
ვის — აბა, დოქტორო, დავგენსმარე ამოცანის
დადაწვეტაშიო.

სოსროვ რუზბეშის მრავალმხრივი ინტერესე-
ბისა და დიდი ერუდიციის მაჩვენებელია მისი
ხელიდან გამოსული არა ერთი და ორი ნაშრო-
მი, როგორც, სამხედრო მეცნიერების, ისე ცო-
დნის სხვა დარგებში. ასე, მაგალითად, მის კა-
ლამს ეკუთვნის „უმადლესი მათემატიკის კურს-
სი არტილერიისტიკისათვის“ ორ ტომად; „შინ-
ნაგანი ბალისტიკა“, „საზენიტო არტილერიის
ტექნიკურ მოწყობილობათა თეორიული სა-
ფუძვლები“, „ფილოსოფიის საფუძვლები“,
ტომი 1, შესავალი; „მეორე მსოფლიო ომის
მოკლე ისტორია“; „მეცნიერული და უტოპიუ-
რი სოციალიზმი“; „ფილოსოფიურ, ეკონომიურ
და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი“; „რუსუ-
ლი ენის თვითმასწავლებელი“; „ბავშვის აღზრ-
და სკოლასა და ოჯახში“ და სხვა. მას შესრუ-
ლებული აქვს არა ერთი და ორი თარგმანი
ევროპული ენებიდან. ყველა ამისათვის, გარდა
კარგი ხელფასისა, რომელსაც იგი 1945 წლიდან
ღებულობდა როგორც ოფიცერთა სკოლის მე-
თაური, მას ზონორარის სახითაც საქმოდ კარ-
გი შემოსავალი ჰქონია. მაგრამ, განაცხადა მან
სასამართლოზე, ჩემი კეთილსინდისიერი შრო-
მისა და პატიოსანი ცხოვრების ფონზე როდესაც
ვხედავდი, უსაქმონი და უქნარა ადამიანები
შრომით წელში გაწყვეტილი ხალხის ხარჯზე
რარიგ უზარუნველად ცხოვრობდნენ, მე სხვა
გზა ვერ ავირჩიე, თუ არა ხალხის სამსახური და
სიკვდილ-სიკვებელი სამშობლოსათვის. „უსა-
მართლოდ მოწყობილი ცხოვრების იმ დარტყ-
მებმა, განაგრძობდა იგი ტრიბუნალის წინაშე,
რომელიც ჩემმა მგობნობიერმა ბუნებამ განი-
ცადა, მე მაიძულეს ჩემი სული და გული, აზ-
რი და გონება მიმეპყრო გადატაკებულთა ბე-
დისადმი. მე აღარ ვიყავი ის სოსროვ რუზბეში,
რომელსაც საზოგადოებისათვის სამსახურის გა-
წევა სურდა თავისი თარგმანებით, გამოკვლე-
ვებით; წიგნებით. მე სრულიად შეიცვალე;
დიდმა ქარიშხალმა გამიტაცა, უსუვადვე აზრი
სამშობლოს სამსახურისა წვირილმანი საქმეებით
და გადავწყვიტე მთელი ძალ-ღონე შევწირო
ხალხს ისე, რათა ძირფსვიანად შევცვალო
ქვეყნის ვითარება და ბოლო მოვუღო მილიო-
ნობით თანამემამულის ტანჯვასა და უბედურე-
ბას“.

ირანის სამხედრო ტრიბუნალში რუზბეშის
მიერ წარმოთქმული სიტყვები დიდი მნიშვნე-
ლობის დოკუმენტია თანამედროვე ირანის შე-
სასწავლად. მათში მოცემულია ქვეყნის ეკო-
ნომიური ვითარების ღრმა ანალიზი, გამომ-



უღავენებულთა შაპისა და მისი მთავრობის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის ნამდვილი ბუნება და დასაბუთებულია სახალხო პარტიის მიერ არჩეული გზის სისწორე ირანის მომავალი განვითარებისათვის. ასე რომ, მისდამი ინტერესი სცილდება სპარსელი ხალხის ამ შესანიშნავი შვილის თავისთავად ფრიად საინტერესო ამბავს. რუზბეჰის მიერ ტრიბუნალში წარმოქმნილი სიტყვების ტექსტის მოპოვება, მეგობრებმა მხოლოდ მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ შესძლეს, 1961 წელს კი სახალხო პარტიამ ყველა ისინი ცალკე წიგნად გამოსცა სპარსულ ენაზე და წაუშმდვარა თავისი ცენტრალური კომიტეტის შესავალი წერილი.

ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ხოსროვ რუზბეჰი შეეხო ირანის თავისუფლებისმოყვარე ოფიცერთა ორგანიზაციას, რომლის დამაარსებელი, როგორც აღვნიშნეთ, თვით იგი იყო. მან გააცამტვრა ბრალდების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკი იყო — არმია არ უნდა ერეოდეს ქვეყნის შინაგან პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფაქტებით შეიარაღებულმა, მან სამხედრო ტრიბუნალს წაუყენა სანაცვალგებო სარჩელი: მაშინ, თუ არა შაჰი და მისი მთავრობა, იყენებენ არმიას ქვეყანაში დიქტატურის დასაცავად, ხალხის სამართლიან მოთხოვნათა და სულისკვეთების ჩახასშობად. ამას ისიც ემატება, დასძინა მან, რომ ამ ძალადობაში უცხო ქვეყნების სამხედრო ძალებიც მონაწილეობენ. რატომ უნდა ბოგინობდნენ ჩვენს ქვეყანაში ამერიკელი ოფიცრები, ისიც ესოდენ პრივილეგირებულ პირობებში. მე როგორც ოფიცერს და საარტილერიო სასწავლებლის ლექტორს, რომელსაც ირანის არმიისათვის ორი ათასი ოფიცერია აღმიზრდია, გული მტკიავა, როცა ამერიკელი ოფიცრები ჩვენს ქვეყანაში იღებენ სპარსელდებზე ორჯერ მეტ ხელფასს, ამასთანავე ეძლევათ ანაზღაურება შინამოსამსახურისათვის, შოფრისათვის, მემანქანისათვის და უზრუნველყოფილი აქვთ უფასო კომუნალური მომსახურება. რად სჭირდება ირანს ამერიკელი ოფიცრები?

ხოსროვ რუზბეჰს და მისი სახით სახალხო პარტიას ერთ-ერთ სამივე ბრალდებად წაყენებული ბქონდათ საშემობლოს ღალატად და ანტიპატრიოტიზმი. ამის გამო მან ტრიბუნალის წინაშე დასვა საკითხი მაჰრინის კუნძულებისა, რომლებიც თავმოყრილია სპარსეთის უბეში. ირანის სახალხო პარტია, შენიშნავს იგი, ყოველთვის აღიარებდა მათ კანონიერ კუთვნილებას ჩვენი ქვეყნისათვის და აი, როდესაც უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში შაჰის მთავრობას, მისი ბაღდადის აგრესიულ პაქტში შესვლის გამო, ერთხელ მიეცა რეალური შესაძ-

ლებლობა მისი შემოერთებისა, ნაცვლად რომ სხენებულ დაჯგუფებაში შესვლის პირობად ინგლისის წინაშე ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა გამოეცხადებინა, იგი არც კი აღუძრავს ისე შეუერთდა სხენებულ პაქტს, რომელსაც ჩვენი ქვეყნისათვის ზარალის გარდა სხვა არაფერი მოუტანიაო.

თავის გამოსვლებში ტრიბუნალის წინაშე რუზბეჰი შეეხო კონსტიტუციის ფუნქციებს გათვლების ფაქტებს ირანის სინამდვილეში. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ უზურბატორული რეჟიმის ორი პარტიის სისტემას აღარ ძალუძს შეცდომაში შეიყვანოს მასები, რომელთა ცნობიერებაში სახალხო პარტიის იდეები სულდგმულობენ. ამჟამად, შენიშნავს იგი, 1953 წლის აგვისტოდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში არსებულმა ყველა პარტიამ შესწევითა არსებობა, რადგან შექმნილი ფაქტიური ვითარების გამო, მათ წაერთვათ მოქმედების საშუალება, ხოლო სახალხო პარტია, სრულიად დაუსაბუთებლად და წინააღმდეგ კანონისა, გამოცხადებულ იქნა კანონს გარეშე. მაგრამ შემდეგში, როდესაც ხალხისათვის თვალის ასახვევი დემოკრატიზმისათვის საჭიროდ დაინახეს ორი პარტიული სისტემის არსებობა, კიდევ შექმნეს ორი პარტია: „მარდომი“ („ხალხის“), როგორც ოპოზიციური და „მეღლიუნი“ („ნაციონალისტები“) როგორც ბურჟუაზიულ-მემამულური პარტია. ამასთან გააღწევეტილია, რომ პირველი შეასრულებს უმცირესობის როლს, ხოლო მეორე — უმრავლესობას; ყოველივე ეს კი, დასძინდა რუზბეჰი, არისო ინგლისის სინამდვილიდან ლიბერალისტებისა და კონსერვატორების, ას ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების კარიკატურა. განსხვავებით სხვა პარტიებისაგან, „მარდომი“ და „მეღლიუნი“ ორგანიზებული იქნენ ზემოდან და არა ქვემოდან. ნაცვლად იმისა, რომ თანდათან გაღლიერებულიყვნენ და არჩევნებში გამარჯვების შედეგად მისულიყვნენ ხელისუფლების სათავეში, მათ ჯერ ძალაუფლება ჩიავდეს ხელში და ამის შემდეგ შეუდგნენ პარტიის გამაგრებას. ორივე პარტიის მეთაურები ვაბატონებული კლასების ფრიად გამოცდილი მოღვაწენი არიან. ისინი ხელს არ უშლიან ერთმანეთს ე. წ. არჩევნებში ერთიმეორეს გადასცენ ძალაუფლება, როგორც ბურთი სტალიონზე, ე. ი. მოიქცნენ სწორედ ისე, როგორც ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც არჩევნებში „გამარჯვებული გამოდის ხან რესპუბლიკური, ხან დემოკრატიული პარტია — ორივე

შემთხვევაში კი მოგებულ იხევ და იხევ გაბატონებული კლასები რჩებიან. ირანის სინამდვილეში, შენიშნავდა იგი, ასეთი ორპარტიანობით კიდევ შეიძლება ხალხის მოტყუება, ვთქვათ, ოცდაათი წლის წინათ, მაგრამ ახლა, როდესაც მოქმედებს სახალხო პარტია, მსგავსი საშუალებებით სპარსელი ხალხის შეცდომაში შეყვანა აღარ მოუხერხდება შაჰის დიქტატურას.

ხოსროვ რუზბეჰმა თავის გამოსვლაში როგორც სამხედრო ტრიბუნალის პირველ ინსტანციაში, ისე სადამცველო სიტყვაში სამხედრო სააპელაციო ტრიბუნალის წინაშე საფუძვლიანად გააკრიტიკა აგრეთვე შაჰის ირანის სასამართლო პრინციპების სიყალბე და აღძრა ყველა ის საკითხი, რომელთა საფუძვლიანი კრიტიკაც აშკარაა იმ კონსტიტუციის გათვლას, რომლის ძალითაც იგი საბრალდებო სკამზე იქნა. ასე მაგალითად, გენერალური პროკურორის ამ თანამდებობაზე ყოფნის გამო, საამისოდ არსებული კანონის დარღვევის შედეგად, მან გამოაშკარავა ტრიბუნალის უფლებებზე არჩევდეს მის საქმეს. ძირითადი კანონის დამატებათა 88-ე მუხლი იუწყება, შენიშნავდა იგი, რომ გენერალურ პროკურორს ნიშნავს შაჰი უმაღლესი სასულიერო პირის თანხმობით. მაგრამ კონსტიტუციის არსებობის 50 წლის მანძილზე ერთხელ მაინც განხორციელებულა ეს ირანში, — კითხულობს იგი. მას როგორღა უნდა შეუთანხმდეს ეს ფაქტი იმავე კანონმდებლობის 74-ე მუხლს, სადაც ხაზგასმულია, რომ არავითარი სასამართლო არ შეიძლება ცნობილ იქნას უფლებამოსილად განიხილოს საქმე, თუ კი არაა დაცული საამისოდ დაწესებული ყველა კანონი. მაშასადამე, ასეთი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენიც უკანონოა. ამიტომ რა უფლებამოსილებით განიხილავს დღეს ტრიბუნალი ჩემს საქმესო — განაცხადა რუზბეჰმა. მან, მრავალ სხვა საკითხთა შორის, ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ მის მიმართ დარღვეული იქნა სამართალში მიცემული პირისათვის სათანადო კანონებით დადგენილი ყველა წესი: რუზბეჰს არ მისცეს დამცველის არჩევის უფლება, საბრალდებო დასკვნა მას გასაცნობად გადასცეს პროცესის წინათი დღით ადრე, წინააღმდეგ დედგენილი ათი დღისა; ფანჯარი შენიშვნების ამოსაწერად და საერთოდ დაცვისათვის მოსამზადებლად ჩანაწერების გასაკეთებლად მხოლოდ ორი დღით ადრე მისცეს; პროცესი, რომელიც თავისი ხასიათის გამო, თანახმად კანონისა, ღია უნდა ყოფილიყო, ჩატარდა დახურულ კარებში, ხოლო მასზე რომ ფსიქოლოგიური დაწოლაც მოხდინათ, ტრიბუნალი შეიკრიბა არა სასამართ-

ლო დარბაზში, არამედ საპატიმროს შენობაში და ისიც სწორედ იმ ოთახში, სადაც მშობე ფიზიკური ზემოქმედების პირობებში ცხრა თვის განმავლობაში მისი დაკითხვა წარმოებდა. პროცესი ირანის ყოფილი პრემიერის დოქტორ მოსადეყისა, რომლის საქმე გაცილებით უფრო დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იყო და ესოდენ ძლიერი რეზონანსიც ჰქონდა, ღიად ჩატარდა, აღნიშნავდა რუზბეჰი. მას რით ახსენება ჩემი განსამართლება ასეთ არალეგალურ პირობებში, გერმეტულად ჩაკეტილ კარებშიო — რა განმარტებას მისცემს ამაზე ხალხს შაჰის ხელისუფლება, სად არის ქმედითობა თქვენი ქებულთა კონსტიტუციისა და მისგან გამომდინარე კანონებისო — კითხვას უსვამდა ხოსროვ რუზბეჰი სასამართლოს.

ხოსროვ რუზბეჰისათვის უმთავრეს ბრალდებად წაყენებული იყო რევოლუციური გადატრიალების ცდა. ამაზე იგი უპასუხებდა, რომ დაწინაურებული ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის კონსტიტუციაში, რევოლუცია ხალხის კანონიერ უფლებაა და აღიარებული. ახლა რომ ხელი მქონდეს ტექსტი, წაგაკითხავდი ირანის კონსტიტუციაშიც ამის შესახებ მინიშებასო; კერძოდ, თქვენ ყურადღებას მივაქცევდი იმ ადგილს, სადაც შაჰის ხელისუფლება ხალხის მიერ ბოძებულ საჩუქრადაა გამოცხადებული. რაკ ასეა, შენიშნავს იგი, ხალხს იმის უფლებაც რჩება, უკანვე წაიღოს მის მიერ მიცემული ძალაუფლება, როგორც ეს მოხდა მოჰამედ ალი-შაჰ ყაჯარის დროსო (იგულისხმება ირანის 1905-1911 წლების რევოლუცია, რომელმაც შაჰის აბსოლუტური ხელისუფლება კონსტიტუციით შეკვეცა). დღევანდელი შაჰის ხელმწიფობა ამ ისტორიული ფაქტის მიმკვიდრეა და იგი თავს კანონიერად თვლის. მას რაღა აქვს ბრალდებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სწორედ იმ კანონს, რომლის ძალითაც შაჰის ხელისუფლება უფლებამოსილიადაა აღიარებული?

თავისი ქვეყნის სოციალური სინამდვილიდან ხოსროვ რუზბეჰი შეეხო ქალის მდგომარეობის საკითხს, რომელიც მარად ძველი და მარად ახალია ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა აქ ქალი კვლავ ისევე უუფლებლობა, როგორც ეს იყო წინა საუკუნეების განმავლობაში. რუზბეჰი მითითებს, რომ კონსტიტუციის პრემამულაში „ირანის ყველა მცხოვრებელს“ (ხაზი მისია) უფლებაა გამოცხადებული აირჩიოს და თვითონაც იყოს არჩეული მეჯლისში (პარლამენტის ქვედა პალატა), ხოლო მისი მეორე მუხლი იუწყება, რომ ნაციონალური საბჭოს პალატა წარმოადგენს „ირანის მთელ მოსახლეობას,



რომელიც მონაწილეობს თავისი სამშობლოს სამეურნეო და პოლიტიკურ საქმიანობაში“-ო (ხაზი აქაც მას ეკუთვნის). მაშ, როდესაც საკითხი ეხება ქალის უფლებებს, რატომ არის იგი გამოორცხული ირანის მცხოვრებთაგან, „ირანის მთელი მოსახლეობიდან“, — კითხვას სვამს იგი და ამის შემდეგ ტრიბუნალის წინაშე სპარსელი ქალის ფაქტიური უფლებობისა და ჩაგვრის ვრცელ პანორამას შლის. მის სიტყვებში საერთოდ მრავალი მნიშვნელოვანი და ამაღლებელი ფაქტი და საკითხია, რომლებიც ცხადყოფენ ქვეყნის რეალურ ვითარებას და ააშკარავენ თუ საითკენ მიჰყავს შაჰის პოლიტიკას ირანის ისტორია.

ხოსროვ რუზბეჰმა თავისი საბოლოო სიტყვა ასე დაიწყო: „მე თუ სასამართლოს წინაშე ესოდენ გულახდილად ვაღიარებდი და რამდენადაც შემძლო, ყოველმხრივ ვიცავდი ჩემს პოლიტიკურ და სოციალურ რწმენასა და შეხედულებებს, ასე ვიქცეოდი არა იმიტომ, რომ სიკვდილი, რომელსაც განაჩენი მიქადის, მე ტკბილ და სასიამოვნო შარბათად მიმაჩნია. რატქმა უნდა, არა! სიკვდილი ყველა შემთხვევაში მძიმეა. განსაკუთრებით კი მისთვის, ვისაც სჭერა თავისი იდეების, ვისი გულიც აღსავსეა მომავლის იმედით, სწამს, რომ დადგება ეს მომავალი თავისი სინათლითა და ბრწყინვალეობით. მაგრამ რაც არ უნდა დაგიჯდეს და რა პირობებშიც არ უნდა იყოს, ოღონდ კი ცოცხალი დარჩე, არ შეჭფერის ადამიანს, რადგან ცხოვრების გზაზე არასოდეს არ უნდა დასთმო მიზანი. თუ სიცოცხლის შენარჩუნება შეიძლება სირცხვილის, სინდისის დაკარგვის, საკუთარი იდეებზე, სანუკვაროცნებებზე, პოლიტიკურ და სოციალურ რწმენაზე ხე-

ლის აღების ფასად, მაშინ სიკვდილი ასჯერ უფრო კეთილშობილია“ (ხაზი ავტორისაა — კ. ფ.).

1958 წელს, მაისის 11-ს ცნობილი გახდა, რომ მუის ამოსვლისას, თეირანში ჰეშმათის სასროლო მოედანზე დახვრიტეს სახელოვანი ირანელი კომუნისტი ხოსროვ რუზბეჰი. ცნობილი ბურჟუაზიული გაზეთი, ხელისუფლების ოფიციალი „ეთელათი“ იმავე დღეს იუწყებოდა, რომ, როდესაც სიკვდილის წინ მას შესთავაზეს რელიგიური წესის შესრულება, რუზბეჰმა უარი განაცხადა. ეს მე არ მესაჭიროებდა და საერთოდ ღმერთი არ მწამსო. ჭალათისთვისაც უარი უთქვამს, აღსასრულის ჟამს მისთვის თვალები ახვია, არ შევდრკები სიკვდილს თვალი გავუსწოროო. სწორედ ამ დროს მისი სახე პოლიციის რეპორტიორს აღუბეჭდავს, — გამოიყურებოდა იგი ჩვეული სიმხნევითა და ვაკაცური იერიით, დასძენდა პრესა.

თეირანში ჯერ კიდევ 80 წლის წინ აგებულ „ეიზილყალას“ ნესტიანსა და ხავსმოკიდებულ საპატიმროს განკერძოებულ საკანში ცხრა თვის პატიმრობის განმავლობაში ხოსროვ რუზბეჰის განუშორებელი მეგობრები იყვნენ ფირდოუსის „შაჰნამე“, ჰაფეზის დივანი (ლირიკული ლექსების კრებული) და საადის ქილიათი (თხზულებათა კრებული). ამ უკანასკნელიდან მისი საყვარელი სტრიქონები ყოფილა:

„ტალღებს ერიდე, მორევის გეშინოდეს, მაგრამ პარიზხალს თუ მისცე თავი, მას შენი გულიც მიანდევ“.

და ალბათ ამიტომაც უწოდა ირანის სახალხო პარტიამ მისი სიტყვების კრებულს „პარიზხალზე მინდობილი გული“.

აი, რამდენიმე სტრიქონი ირანის სახალხო პარტიის გამრული ბრძოლის ფურცლებიდან.

მ ა მ ა

ჩ ა ნ ა ხ ა ც ი

...სასამართლო. გაფითრებული დედა და ოთხი წლის ცისფერთვალეა გოგონა ერთად დგანან. მოშორებით მამა დგას. შვილისაკენ გახედვა თითქოს ეშინია. ჭაღარაშერეული მოსამართლე მას უკანასკნელად უმეორებს:

- რამდენი წელია რაც დაცილდით?
- ოთხი!
- თქვენ უკვე ახალი ოჯახი გაქვთ?
- დიახ!..

დედა ხმას არ იღებს. გოგონას ხუჭუჭი თმაზე აკანკალებულ ხელს ალერსით უსვამს და მოფერებს ცდილობს. შვილი გაოცებით შეპყურებს ხან დედას, ხან იმ „უცნობ“ ძიას — მამას რომ ეძახიან...

ვიღაცამ ჩაახველა. ირაკლიმ ახალა გახედა დარბაზს. წინა რიგში მჯდარი ქერათმიანი ქალიშვილი ზიზღით უტყეპროდა. დარბაზის ბოლოს გამხდარ მოხუცს გახეთი მუხლებზე დაედო და სთვლემდა...

— სასამართლომ დააკამყოფილა... — ესლა გაიგონა ირაკლიმ. გულზე თითქოს მოეშვა. გასასვლელისაკენ სწრაფად გაემართა.

— უსინდისო! — კარებთან დაეწია იმ ქალიშვილის ხმა.

ძლივს შეიკავა თავი. კიბეებზე უღონოდ ჩავიდა. სასამართლომ გულის სიღრმეში მიმაღული ჭრილობები გაუხსენა. იმ წუთს წარსულზე არ უნდოდა ეფიქრა, მაგრამ ფიქრები მაინც არ ასვენებდნენ. მის გულში საშინელი, უსიტყვო ბრძოლა იყო. ვერა და ვერ გაინელა ის გამოუთქმელი ტანჯვა, რამაც ამ ერთ დღეს აუფორიატა ყველაფერი.

ყველაფერი... როდიდან დაიწყო ყველაფერი?

...ოთხი წლის წინ ირაკლიმ უკანასკნელად გაიხურა იმ ოჯახის კარი. — ერთმანეთს ვერ გაუგესო, — ამბობდნენ მათზე მეზობლები. ქალის გადაჭარბებულმა ეჭვიანობამ და ქმრის ხანგრძლივიმა მივიღინებებმა ოჯახი პირველი შვილის შექენამდე დაანგრია.

შემდეგ უკვე მეორე ცოლთან შეიტყო ირაკლიმ ქალიშვილის დაბადება. და აი, ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ.

...გვიან ღამით დაბრუნდა სახლში.

ნათელას ვახშამი გაეწყო და ეძინა. ხმაურ-

ზე ადგა, ჭრელი ხალათი გადაიცვა. აწითლებულ ქმარს ცნობისმოყვარეობით შეხედა.

მაღალი, ფერმკრთალი ქალი იყო. ეს მოფუსფუსე ადამიანი ირაკლის უკვე სამი წელი იყო შეუღლებობას უწევდა. მაგრამ ერთი ჯავრი ღრღნიდა ქალს. შვილი არ უჩნდებოდა და ამ ამბით გაცეცხლებული ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ არც ქმარს ინდობდა.

— რატომ დაიგვიანე? — ჰკითხა მან ირაკლის და მაგიდის გაწყობას შეუდგა.

ირაკლიმ რაღაც ჩაილულულა, ბარბაცით მაგიდასთან მივიდა და ჩამოჯდა.

— ააა, მოასწარი?.. — აბილბილდა ქალი. მეტი გეხვეწე ადრე დაბრუნდი მეთქი. ხომ იცოდი, რომ ათასი რამ გვექონდა საყიდელი. ხვალ თინიკოს დაბადების დღეა და ჯერაც არ გეყიდიან საჩუქარი.

— ვისი? ვერ მიხვდა ირაკლი.

— თინიკო აღარ გახსოვს? ჩემი ბიძაშვილი... თუმცა შენ მთვრალი ხარ! დაწეცი! დაიძინე!..

ირაკლი მთელი ღამე ბორბავდა. გათენებისას როგორც იყო ჩაეძინა. საშინელი სიზმარი ნახა. შემკრთალმა უცბად გაახილა თვალი.

ნათელას ქმრის მხარზე ედო თავი და გაღიმებულს ეძინა. საბანი ჩაცურებულყოფი. განთიადის შუქზე მისი მომხიბლავი მკლავები სანთლისფრად ბრწყინავდნენ.

ირაკლიმ თვალები დახუჭა. გუშინდელი გაახსენდა.

მხარი ფრთხილად გაინთავისუფლა. მეუღლეს საბანი გაუსწორა და ფანჯარა გამოაღო.

ქარი ხმაურით შემოვარდა ოთახში. ირაკლის ციებზიანვით გააკანკლა. სწრაფად ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა.

ზამთრის გაცრეცილი მზე მამადავითს მისდგომოდა. თრიალეთზე შერჩენილი თოვლის ლაქები სარკესავით ბრწყინავდნენ. ეზოში ვიღაც შეშას ამოხდა.

დიდხანს მიჰყვებოდა ქუჩას. გახურებულ შუბლს მხურვალედ და ჯინიანად უკოცნიდა ცივი ქარი.

ბავშვებმა ჩაუქროლეს, ეტყობოდათ სკოლაში აგვიანდებოდათ. ყიჟინით მიიქნევდნენ ჩანთებს.

უცბად შედგა.

ნაცნობ ქუჩაზე მოსულიყო. ვერც კი გაიგო საიდან, ან როგორ გაჩნდა აქ. ერთ წამს დუმდა. იქ ყოველი ხე, ყოველი ქვა ნაცნობი იყო მისთვის...



შეე სუსტად ანათებდა. დაბერილი, რძიანი კვირტები ახალ სიცოცხლეს იწყებდნენ. ტოტებ-დასხებილ აკაციაზე ბელურები ჟღერდნენ.

...ქუჩის მეორე მხარეს ოთხსართულიან შენობას დააკვირდა. ის კარი დაკეტილი იყო. პატარა აივანზე ბავშვის პერანგები და ჭრელი წინდები ეკიდა.

...რამდენჯერ მდგარან თეო და ის ამ შესასვლელში. რას აღარ ოცნებობდნენ მაშინ ისინი. თვალწინ წარმოუდგა ირაკლის, როგორ აკოცა თეოს აქ პირველად და როგორ ატირდა შემკრ-

თალი გოგო. სწორედ ამ შესასვლელში შემოვიდა მათ ერთმანეთს სიყვარული და ამ კიბეზე აღოლა გაბრწყინებული ირაკლი ქორწილის დამეს...

სახლის წინ ბავშვები თამაშობდნენ. ბიჭებს ველოსიპედები გამოეტანათ. გოგონებს მზის გულზე ტროტუარი დაეხაზათ და კლასობანასათვის ემზადებოდნენ.

— იციო, — ტიკტიკებდა ერთი, — მამამ გუშინ რამხელა დათუნია მიყიდა, შოკოლადიც... ხვალ ჩემი დაბადების დღეა, კიდევ მომიტანს... ირაკლიმ ბავშვებს გადახედა.

ერთი პატარა, გამხდარი გოგონა განაპირას იდგა. ხელში გაცვეთილი დედოფალა ეჭირა. ბავშვი ეტყობოდა საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა.

ირაკლი დააკვირდა.

— ცისანა!

გოგონა სწრაფად მოტრიალდა. უცნობი ძიას დანახვაზე ერთ წამს შედგა. მამა და შვილა ერთმანეთს დაატყუარდნენ. და უცებ ცისანამ გაიღიმა.

— მიცანი შვილო? — ძლივსა მოახერხა დაბნეულმა.

ბავშვს დედოფალასათვის ხელი არ გაუშვია ისე გამოქანდა მამისაკენ.

ირაკლიმ შვილი აიტაცა, აკოცა, ერთხელ, მეორედ, მესამედ...

— დედა ავადა... წამოდი... ეხვეოდა ბავშვი.

...და როცა კიბეებზე აღიოდნენ ცისანამ ვარდისფერი ხელისგული მამას შუბლზე გადაუსვა და მორცხვად უთხრა:

— მე ყველაზე დიდი დედოფალა მიყიდე მამა...

მნიშვნელოვანი ნაშრომი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში

სარეცენზიო შრომა წარმოადგენს 400 გვერდიან წიგნს და ვათვალისწინებულა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია წამყვანი დისციპლინა სამართლის მეცნიერებაში. იგი მიზნად ისახავს შეისწავლოს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა, მათი განვითარება და კვდომის შესაძლებლობა, სახელმწიფოსა და სამართლის არსი, სახელმწიფოსა და სამართლის ტიპები და ფორმები, სამართლის ზოგადი ცნება, სამართლის წყაროები, სამართლებრივი ურთიერთობანი და სხვა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია შეისწავლის სამართლის ზოგად და ძირითად პრობლემებს, რომლებიც ამოსავალია სამართლის ცალკეული დისციპლინებისათვის. ამ გავებით არის სახელმწიფოსა და სამართლის თეორია წამყვანი მეცნიერება სამართლის მეცნიერებისათვის საერთოდ. იმ ძირითადი პრინციპების საფუძველზე, რომელსაც ადგენს სამართლის თეორია, სამართლის ცალკეული დისციპლინები შეისწავლიან სამართლის ამა თუ იმ დარგს.


დღემდე ქართულ ენაზე არ მოგვეპოვებოდა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ძირითადი პრობლემების შემცველი მარქსისტულ-ლენინური ნაშრომი.

დოც. გ. ინწკირველის ნაშრომის სახით ამჟამად მშობლიურ ენაზე გვაქვს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მთლიანი კურსის შემცველი სახელმძღვანელო.

ძნელია იმ პრობლემებისა და საკითხების ჩამოთვლა, რომლებსაც სახელმწიფოსა და სამართლის თეორია შეისწავლის. რთულია პრობლემების მოცულობისა და მნიშვნელობის მხრივ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია.

დოც. გ. ინწკირველის ნაშრომს კი პრეტენზია აქვს იყოს უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელო ამ დისციპლინაში. ეს არის, როგორც ვთქვით, პირველი ცდა, ამ მხრივ ნაშრომი არ არის უნაკლო, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ როგორც პირველი შემართება ამ დიდი საქმის განხორციელების მიმართულებით ის გამართლებულია.

ავტორი თავის ნაშრომში, პირველ ყოვლისა, ეხება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა (თავი II) და სახელმწიფოსა და სამართ-



ლის არსის საკითხებს (თავი II და III). ავტორი მართებულად მოიქცა, როცა ამ პრობლემების შესახებ შეარჩია ძირითადი ბურჟუაზიული თეორიები და მოგვცა ამ თეორიების მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა. წიგნში მართებულად და დამაჯერებლადაა დასაბუთებული ხსენებული თეორიების დადებითი და უარყოფითი მხარეები გარკვეული ეპოქების მიხედვით. ასე მაგალითად, ავტორის გადმოცემით, სახელმწიფოსა და სამართლის ხელშეკრულების ბურჟუაზიულ თეორიას წარმოშობისას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ხელშეკრულების თეორია ამტკიცებდა, რომ ფეოდალური სახელმწიფო საზოგადოებრივი ხელშეკრულების დარღვევას წარმოადგენს (გვ. 34). ავტორმა აქვე მართებულად გვიჩვენა, რომ ა. რადიშჩევმა კიდევ უფრო განავითარა ეს თეორია პროგრესული მიმართულებით: ა. რადიშჩევის აზრით, რევოლუციის შემდეგ ხელშეკრულება საფუძველად უნდა დაედგას შეთანხმებას სახელმწიფოსა და ხალხს შორის. (გვ. 34). ავტორს სწორად და კარგად აქვს განმარტებული სახელმწიფოსა და სამართლის წარ-

მოშობასთან დაკავშირებით სასამართლოს მნიშვნელობა. სასამართლო ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამოტანით, აშკარად ცნობილს ხდის და გაბატონებული კლასის ნებას (გვ. 23).

ავტორი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს ნიშნის თავისთავად ტერიტორია კი არ წარმოადგენს, არამედ მოსახლეობის ტერიტორიული დაყოფა. ტერიტორიული დაყოფა ნაცვლად გვაროვნულისა — სწორედ ეს არის სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი (გვ. 41—42).

ნაშრომში კარგად არის გარკვეული პოლიტიკურ შეხედულება და მოკიდებულებების საკითხი სახელმწიფოსთან და სხვა ზედნაშენურ მოვლენებთან (გვ. 47—48).

ნაშრომში ღრმა ცოდნით არის გადმოცემული სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმის ცვალებადობის საკითხი ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (გვ. 56—58).

კარგად არის გაშუქებული პოლიტიკისა და სამართლის დამოკიდებულების საკითხი (გვ. 77—78); საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა საქმიან რთულია, ხოლო ავტორის მიერ ის საღად, გასაგებად არის ახსნილი.

სახელმძღვანელოში მართებულად არის დახასიათებული მონათმფლობელური, ფეოდალური და ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის არსი (თავი IV).

ნაშრომის უდიდესი ნაწილი მიძღვნილია სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის დახასიათებისადმი.

V თავში განხილულია სოციალისტური სახელმწიფოს არსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ავტორი მართებულად ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ სოციალისტური რევოლუცია მიზნად ისახავს „ყოველგვარი ექსპლოატაციის ლიკვიდაციას“ (გვ. 132). ავტორის აზრით ბურჟუაზიას, ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბურჟუაზიული რევოლუციის დროს შეუძლია მშრომელთა მასების დროებითი მხარდაჭერით მოიპოვოს გამარჯვება ფეოდალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მშრომელების ეს მხარდაჭერა მხოლოდ დროებითია. რაც შეეხება პროლეტარიატს, ის სოციალისტური რევოლუციის დროს მტკიცე კავშირში იმყოფება მშრომელ მასებთან და ეს კავშირი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მტკიცდება (გვ. 134).

სარეცენზიო შრომაში კარგადაა გადმოცემული მარქსიზმის კლასიკოსების ძირითადი დებულებანი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის შესახებ. ავტორს მოყავს მარქსის სიტყვები, რომ კლასთა არსებობა წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთან არის დაკავშირებული, რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მიყვება პროლეტარიატის დიქტატურამდე და რომ დიქტატურა უკლასო საზოგადოებისავე გადასვლას წყობის სწორედ კ. მარქსის ამ სიტყვებთან დაკავშირებით წერდა ვ. ი. ლენინი, რომ „მარქსისტი მხოლოდ ის არის, ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განავრცობს“ (გვ. 137).

საბჭოების რესპუბლიკა წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას; ამავე დროს, ნაშრომში მოცემული განმარტებით, საბჭოების რესპუბლიკა, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერისი მუშათა კლასის სახელმწიფოებრივი ფორმა, სავალდებულო არ არის სხვა ქვეყნებისათვისაც (გვ. 191, 196). კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეპოქამ შეიძლება მოგვეცეს პოლიტიკურ ფორმათა მრავალფეროვნება. სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ ასეთ ფორმას (გვ. 147).

სარეცენზიო შრომის VI თავში დახასიათებულია სოციალისტური სამართლის ძირითადი პრინციპები და ნაჩვენებია, რომ სოციალისტური სამართლის ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს სოციალისტური მონაპოვრების დაცვაში, რითაც სოციალისტური სამართალი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის საქმეს ემსახურება.

სოციალისტური სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს შეადგენს მისი ლოგიკურ დაბოლოებაზე მიყვანილი დემოკრატიზმი. მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპი არის უფლებათა რეალური უზრუნველყოფა. შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრინციპი სოციალისტური სამართლისა მდგომარეობს სოციალისტური სამართლისათვის დამახასიათებელ ინტერნაციონალიზმში (გვ. 221—224).

სასიამოვნო მოვალეობად მიგვჩანია აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო შრომაში სათანადოდ არის გაშუქებული საკითხი სოციალისტური სახელმწიფოში დანაშაულის მიზეზების შესახებ. ნაშრომში მხოლოდ ზოგადად არ არის აღნიშნული, რომ დანაშაული წარმოადგენს უმთავრესად საზოგადოების წევრთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთს. ამ ზოგად დებულებას სარეცენზიო შრომის ავტორი მართებულ ახსნა-განმარტებას აძლევს. მას საუბარი აქვს შეგნებაზე და გამოთქვამს სწორი მოსაზრებას, რომ „ადამიანთა შეგნება ჩამორჩება მათ საზოგადოებრივ ყოფიერებას და ამიტომ, მიუხედავად მათი ცხოვრების მატერიალური პირობების განვითარებისა, ეკონომიკის სოციალისტურ ყიდაზე მთლიანად გარდაქმნისა, საზოგადოებრივ შეგნებაში უფრო მეტი ხნით არსებობს და სი-

ცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს ძველი წყობილების გადმონაშთები“ (გვ. 234).

სარეცენზო ნაშრომში კარგად არის გაშუქებული სამართლის და ზნეობის ურთიერთობის საკითხები (გვ. 235—237).

ნაშრომის ცალკე თავში არის განხილული სოციალისტური სამართლის ნორმების საკითხი. შრომაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული ტექნიკურ და იურიდიულ ნორმათა სხვაობა (გვ. 39), ნორმის ახსნა-განმარტების სხვადასხვა სახე, ნორმის მოქმედება დროში და სივრცეში.

წიგნში სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი სოციალისტური სამართლის წყაროების განხილვას (თავი VIII). ავტორის განმარტებით სამართლის წყაროები წარმოადგენენ იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს (გვ. 273). ეს განსაზღვრა სწორია და მიუხედავად საერთოდ სამართლის წყაროს ცნებას ყველა საზოგადოებისათვის.

სარეცენზო შრომის ავტორი განსაკუთრებულ ადვილს უთმობს კანონის, როგორც სამართლის წყაროს დახასიათებას. ვარდა კანონისა, ავტორის მიერ განხილულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. სამართლის წყაროსთან დაკავშირებით ავტორს გარჩეული აქვს ადამი, საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტები, ხელშეკრულებანი და სხვა.

სარეცენზო შრომის ერთ-ერთ საინტერესო თავს წარმოადგენს IX თავი, რომელიც სოციალისტური საზოგადოების სამართლებრივი ურთიერთობის ანალიზისადმი არის მიძღვნილი. სამართლებრივი ურთიერთობანი, ავტორის მართებული განმარტებით იდეოლოგიურ ურთიერთობათა ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. როგორც ზედნაშენური მოვლენა, იურიდიული ურთიერთობა ეკონომიური ბაზისით განსაზღვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი განსაზღვრავს სამართლებრივ ურთიერთობას.

სარეცენზო შრომაში განმარტებულია სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის მონაწილეებს ერთიმეორის მიმართ ვააჩნიათ სამართლის ნორმით განსაზღვრული უფლებანი და მოვალეობანი (გვ. 300).

სამართლის ურთიერთობის ელემენტების სახით შრომის განხილულია სუბიექტის, უფლებებისა და მოვალეობის და სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის საკითხი.

სარეცენზო შრომის ავტორს მოყავს სხვადასხვა მოსაზრებანი სამართლის სუბიექტისა და სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ურთიერთ დაპირისპირების შესახებ და ავითარებს

იმ შეხედულებას, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ამ ორი ტერმინის დასაპირისპირებლად (გვ. 303).

საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ავტორმა არა მარტო შესწოლო უფლებებისა და მოვალეობის სათანადო განმარტება, არამედ იმის ჩვენებაც კი, რომ სოციალისტური ურთიერთობის შინაარსის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, ექსპლოატატორთა საზოგადოების სამართლებრივი ურთიერთობისაგან განსხვავებით იმაში მდგომარეობს, რომ ის უფლებანი და მოვალეობანი, რომლებიც აქვთ სოციალისტური ურთიერთობის მონაწილეებს, ემსახურებიან ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ადამიანის ინტერესებს და ამასთანავე ეს უფლებანი და მოვალეობანი უზრუნველყოფილი და გარანტირებულია სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებით (გვ. 314—315).

სარეცენზო შრომაში მოცემულია იურიდიული ფაქტების განმარტება და გაკეთებულია ამ ფაქტების კლასიფიკაცია (გვ. 318—319).

ცალკეული ქვეყნების სამართლის ნორმათა ერთიანობის საფუძველად სარეცენზო შრომის ავტორს მიაჩნია „წარმოებითი ურთიერთობის ერთიანობა“ (გვ. 21), გაბატონებული კლასის ერთიანი ნება-სურვილი ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფოში და სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმა (გვ. 322—323). სამართლის ნორმები არეგულირებენ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ამდენადვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იურიდიულ ნორმათა გარკვეული ჯგუფი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობის განსაზღვრულ სფეროს შეადგენს სამართლის დარგს. სარეცენზო შრომის ავტორი სამართლის სისტემის შესახებ ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ სამართლის სისტემა მიზნად ისახავს სამართლის სხვადასხვა დარგის ერთიმეორისაგან გამიჯნვას და ამასთანავე ამ დარგების ურთიერთკავშირის დადგენას (გვ. 329).

ავტორს განხილული აქვს სამართლებრივი ინსტიტუტის საკითხი და მოცემული აქვს მისი განმარტება: სამართლებრივი ინსტიტუტი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც სამართლის ამა თუ იმ დარგის ნაწილია და აწესრიგებს „საზოგადოებრივი ურთიერთობის ცალკეული სფეროს ერთ კონკრეტულ მხარეს“ (გვ. 329), ხოლო სამართლის სისტემა „წარმოებითი ურთიერთობის სახისაგან სტრუქტურას“ (გვ. 325), ეს სტრუქტურა თავის მხრივ საზოგადოებრივ ეკონომიურ წყობილებით განსაზღვრება. სამართლის სისტემა, ავტორის მართებული შენიშვნით, გამოიხატება საერთო პრინციპების საფუძველზე ერთიანობაში მყოფი

იურიდიული ნორმების დანაწილებაში სამართლის დარგებად და ინსტიტუტებად, ამ დარგებისა და ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამოიჯნაში და მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენაში“ (გვ. 325).

საბჭოთა სამართლის სისტემის პრინციპები, ავტორის მართებული განმარტებით სოციალიზმის პრინციპებია. იმის გამო, რომ საბჭოთა სამართლის პრინციპები სოციალიზმის პრინციპებია, საბჭოთა სამართლისათვის მიუღებელია სამართლის საჯაროდ და კერძოდ დაყოფა. სოციალიზმის ქვეყანაში წინააღმდეგობა ინდივიდსა და საზოგადოებას შორის არ არის, ამდენად სამართლის საჯარო და კერძოდ დაყოფა მოკლებულია საფუძველს. ავტორს ამის შესახებ ძლიერ დამაჯერებელი დასაბუთება აქვს მოყვანილი და ამასთანავე ეს დასაბუთება სადად, გასაგებად არის გადმოცემული. (გვ. 328—330).

ავტორი დაწვრილებით იხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ რა უნდა დაედვას საფუძველად საბჭოთა სამართლის სისტემას. საბჭოთა სამართლის კლასიფიკაციის საფუძველად უნდა დაედვას სამართლებრივი რეგულირების სავანი (გვ. 335).

სარეცენზიო შრომაში განხილულია საბჭოთა სამართლის ცალკეული დარგები: საბჭოთა სახელმწიფო სამართალი, საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი, საფინანსო სამართალი, საკოლმეურნეო, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სხვა (გვ. 335—365). მოკლედ, მაგრამ ძირითადი ნიშნების მიხედვით არის დახასიათებული საბჭოთა სამართლის თვითეული დარგი.

სარეცენზიო შრომის უკანასკნელი თავის სათაურია: „სახელმწიფო, სამართალი და კომუნისმი“. ამ თავში, სითანადო მასალის სწორი ანალიზის საფუძველზე, პირველ ყოვლისა, მოცემულია საერთო სახალხო სახელმწიფოს დახასიათება. ავტორი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელი იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში. მუშათა კლასი სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენებით სძლედა ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობას, ახდენდა ამ კლასების ლიკვიდაციას. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის მუდმივი მოვლენა: მას შემდეგ რაც სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება განხორციელებულია, მუშათა კლასის დიქტატურის საჭიროებაც არ არის—დიქტატურამ ამოსწორა თავის თავი და მის ნიადაგზე წარმოიშვა საერთო-სახალხო სახელმწიფო. არსებითად პროლეტარიატის დიქტატურა შეიცავდა საერთო-სახალხო სახელმწიფოს ნიშნებს. საერთო-სახალხო სახელმწიფო

არის სოციალისტური დემოკრატიის ხარისხობრივად უფრო მაღალი საფეხური პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოსთან შედარებით (გვ. 366—367).

შრომაში მართებულად მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ საერთო-სახალხო სახელმწიფოს არაფერი აქვს საერთო ე. წ. „ზეკლასობრივი ან საერთო ეროვნული სახელმწიფოს ცნებასთან“ (გვ. 368). „ზეკლასობრივი სახელმწიფო“ ბურჟუაზიული იდეოლოგიების მიერ შექმნილია ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრიობის ფუნქციების მისაჩქარადად. სინამდვილეში კი ბურჟუაზიული სახელმწიფო, ისე როგორც ყოველი ექსპლოატატორული სახელმწიფო, წარმოადგენს კლასთან ბატონობის ორგანოს, ორგანოს მშრომელთა მასების დასათრგუნავად გაბატონებული კლასის სასარგებლოდ.

ავტორის სამართლიანი განმარტებით საერთო-სახალხო სახელმწიფო განსხვავდება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოსაგან ფორმის, სტრუქტურისა და ხელისუფლების განხორციელების მეთოდებით, მაგრამ სახელმწიფო ტიპის მხრივ იგივეა, ე. ი. საერთო-სახალხო სახელმწიფო მშრომელთა სახელმწიფოა, რომლის საბოლოო მიზანი უკლასო საზოგადოების აშენებაა (გვ. 375).

სარეცენზიო შრომის ავტორი დაწვრილებით ჩერდება სოციალისტურ სახელმწიფოს განვითარების საკითხზე კომუნისმის გასული მშენებლობის პერიოდში. ავტორს შესანიშნავად აქვს დამუშავებული პარტიის XX, XXI და XXII ყრილობის მასალები, მოყავს ამ ყრილობების დადგენილებათა ამონაწერები და ასაბუთებს, რომ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარება მიიმატება სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისაკენ, მასებისათვის სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების ფუნქციების გადაცემით, პროფკავშირთა ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდით, საბჭოების დეპუტატების შემადგენლობის განახლებით და სხვა (გვ. 376—377). ავტორი სითანადო ყურადღებას უთმობს სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საკითხს (გვ. 378—379).

პიროვნების თავისუფლებისა და საბჭოთა მოქალაქის უფლებათა გაფართოება, თავისთავად სვამს საკითხს სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრისათვის.

სარეცენზიო შრომის უკანასკნელი თავის უკანასკნელი პარაგრაფის სახელწოდება ასეთია: „მარქსიზმ-ლენინიზმი სახელმწიფოსა და სამართლის ბედის შესახებ კომუნისმის დროს“.

ამ პარაგრაფში ავტორი ასაბუთებს, რომ სოციალიზმსა და კომუნისმს შორის განსხვავება მდგომარეობს მათი განვითარების სხვადასხვა დონეში: კომუნისმის დროს „საზოგადოებრივი წყობილების მომწიფებულობის ხარისხი“ უფრო მაღალია, ვიდრე სოციალიზმის დროს. სახელმწიფო ისტორიული კატეგორიაა; იყო დრო როცა სახელმწიფო არ იყო, მოვა დრო და სახელმწიფო არ იქნება. სახელმწიფო წარმოიშვა კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან ერთად. სახელმწიფო მოიხსობა კლასობრივი საზოგადოების მოსპობასთან ერთად. „სოციალისტური სახელმწიფოს კვდომის პროცესი გულისხმობს სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარებას კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად“ (გვ. 395).

სარეცენზიო შრომის ავტორის განმარტებით „ისტორიულ განვითარებას გარდუვალად მოსდევს სახელმწიფოსა და სამართლის კვდომა“, მაგრამ სახელმწიფოსა და სამართლის კვდომისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ შინაგანი ფაქტორები; მაგალითად, განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აშენება არ გამოიწვევს სახელმწიფოსა და სამართლის მოსპობას, თუ კი საერთაშორისო ასპარეზზე არ მოხდა კაპიტალიზმის ლიკვიდაცია (გვ. 399).

ასეთია სარეცენზიო შრომის დადებითი მხარეები. ამასთანავე ნაშრომის ცალკეული დებულებები იწვევს შენიშვნებს.

1) ავტორი წერს: „სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის წინაპირობა კლასების არსებობა“ (გვ. 29); ამასთანავე ავტორს აქვე მოყავს ვ. ი. ლენინის განსაზღვრა ექსპლოატატორული საზოგადოების კლასებისა. ამის შემდეგ ავტორი განაგრძობს: „კლასების არსებობა თავისთავად ჯერ კიდევ არ იძლევა გასაღებს სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობის საკითხის ახსნისთვის. საქმე უმთავრესად იმაშია, რომ გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესში წარმოშობილი კლასები ურთიერთ მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ჯგუფებია. მათ შორის არსებული შეურთიგებელი წინააღმდეგობის შედეგად ხდება სწორედ სახელმწიფოს წარმოშობა სამართლიანად ერთად“ (გვ. 25).

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხი ავტორს მეფიოდ არ აქვს გამოკვეთილი. ავტორის გადმოცემით გამოდის, რომ კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ერთიანი პროცესი გათიშულია დროში.


პირველ ყოვლისა, ავტორს მოყავს ვ. ი. ლენინის ანტაგონისტური საზოგადოების კლასების

განსაზღვრა. ამავე დროს, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასთან დაკავშირებით მას საუბარი აქვს გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესში წარმოშობილ კლასებზე. გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესში წარმოშობილ კლასებსა და ანტაგონისტურ საზოგადოების კლასებს შორის განსხვავებაა: გვაროვნული წყობილების პერიოდის კლასები ანტაგონისტური საზოგადოების კლასების მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენს გვაროვნული წყობილების დროს, ამ საზოგადოების წარმოების წესს განსაზღვრავს თავისუფალი მოთემის შრომა, ხოლო მონის შრომას აქ დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, რამდენადაც გვაროვნული წყობილების წიაღში კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმოიშვა მონების ექსპლოატაცია, ამდენად მიდრეკება, რომლებიც საზოგადოების უმცირესობას წარმოადგენენ, ესპირობოდან ღარიბების დასათრგუნავი საშუალება, რის გამოც ისინი გვაროვნული საზოგადოების წიაღში ქმნიან ურთიერთ შეკავშირებას, ორგანიზაციას, რომლებიც სახელმწიფოს ჩანასახს წარმოადგენს.

ამასადაამე, გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესში წარმოშობილი ანტაგონისტური საზოგადოების ჩანასახები, გვაროვნული წყობილების კლასები, თავის არსში უკვე სახელმწიფოს ჩანასახსაც შეიცავენ¹.

2. ავტორი მოგვითხრობს, რომ პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის შედეგად წარმოიშვა მონათმფლობელური საზოგადოება. ისტორიულად პირველი სახელმწიფო მონათმფლობელური იყო, მაგრამ ზოგიერთ ხალხებში, (გერმანელებში, არაბებში, აღმოსავლეთ სლავებში და სხვა) „მათი განვითარების გარკვეული თავისებურების გამო“ გვაროვნული წყობილების ნანგრევებზე წარმოიშვა უშუალოდ ფეოდალური სახელმწიფო. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ სხენებულ ქვეყნებში გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესში საწარმოო ძალეები შედარებით სწრაფად ვითარდებოდნენ და სანამ მონათმფლობელური სახელმწიფო შეიქმნებოდა, უკვე ჩამოყალიბებას იწყებს ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელი წარმოების წესი. საგვარეულო თემის მეთაურები მიდრდებიან, ხელში იგდებენ საუკეთესო მიწის ნაკვეთებს და თავის გარშემო შემოკრებილ შეიარაღებულ რაზმელების საშუალებით მორჩილებაში ყავთ თემის წევრები. უკანასკნელნი თანდათანობით ხდებიან ეკონომიურ დამოკიდებულებაში მყოფ

¹ ეს საკითხი დავრდილებით განხილულია ჩვენს შრომაში „სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის“, (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შრომები 1, 1955 წ.)



გლენხედალ, რომლებიც გადასახადებს უხდიან მიწათმფლობელებს. ასეთ ვითარებაში წარმოიშვა ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო (გვ. 27). ყველაფერი ეს ავტორს მართებულად აქვს გადმოცემული, მაგრამ ჩვენი აზრით, აქ გამორჩენილია მთავარი: ფეოდალური საზოგადოების წარმოშობისას მონათმფლობელობა უკვე წარსულს ეკუთვნის, მონურ შრომაზე აგებული საზოგადოება დაეცა, მონური შრომა წინ აღუდგა საწარმოო ძალის განვითარებასა და მონათა რევოლუციების შედეგად მონათმფლობელური რომი დაემხო. ისეთ ვითარებაში, როდესაც უძველესი კულტურის მქონე საბერძნეთი და რომი დაეცნენ, როცა თვით მონათმფლობელურ საზოგადოებაში ჩაისახა ფეოდალური საზოგადოების საწყისები, რომლებმაც შეცვალეს, როგორც უფრო პროგრესულმა, დრომოჭმული მონათმფლობელობა, ამას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა იმ ხალხების განვითარებაზე, რომლებიც გვაროვნული წყობილების საფურცელზე იმყოფებოდნენ. ამ გარემოებისათვის საჭირო იყო ხაზის გასმა.

3. ავტორი წერს: „ჩაწერილი სასამართლო გადაწყვეტილებები და ადათები შეადგენდნენ პირველ სამართლებრივ ნორმებს“ (გვ. 28). ადათის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი ნორმა, მაგრამ თვითონ ადათი არ შეიძლება იყოს სამართლებრივი ნორმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შემდეგში ავტორს სწორედ აქვს გადმოცემული ადათიდან ადათობრივი სამართლის ნორმის წარმოშობა (გვ. 29).

4. ნაშრომში საუბარია ადათების საფუძველზე „პირველი სამართლებრივი ნორმების“ ჩამოყალიბებაზე: „პირველი ამგვარი კანონები, რომლებშიც გამოხატულვას პოულობდა მხოლოდ მმართველი კლასების, საზოგადოების უმცირესობის, ექსპლუატატორების ნება-სურვილი, — იყო, მაგალითად, სოლონის კანონები ათენის სახელმწიფოში, XII ტაბულის კანონები რომში, „სალიკური სამართალი“ ფრანკთა სახელმწიფოში და სხვა“ (გვ. 29-30). ავტორის ეს მოსაზრება ჩვენ უმართებულად მიგვაჩნია, რამდენადაც საუბარია „პირველ“ კანონებზე. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ჩამოთვლილი კანონები საერთოდ პირველი კანონებია ექსპლუატატორულ საზოგადოებაში, მაშინ, როდესაც ექსპლუატატორული საზოგადოების ისტორიაში ვაცილებით ადრე ვიდრე ჩამოთვლილი კანონებია, შეიქმნა კოდექსები, მაგალითად, ხამურაბის კანონები და სხვა.

5. ავტორი ეხება „ადრინდელ ფეოდალიზ-

მისათვის დამახასიათებელ ე. წ. დეტალურ-ზებულ მონარქიას“ და მოყავს მაგალითები: „ასეთი იყო, მაგალითად, ძველი რუსეთის სახელმწიფო IX-X საუკუნეებში, საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები X-XIII საუკუნეებში“ (გვ. 103). „უფრო გვიან კი, განაგრძობს ავტორი, როდესაც ვითარდება საეკპრო ფულადი ურთიერთობანი და ისპობა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, როდესაც წარმატებებს აღწევს მეფეების ან ღიდი მთავრების ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებისათვის, იქმნება ე. წ. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიები“ (გვ. 123). პირველ ყოვლისა, სახელმწიფოებრივი წყობილების მხრივ საფრანგეთსა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნების სახელმწიფოების ფორმების შედარება დროის მიხედვით უმართებულაა. რუსეთის IX-X საუკუნეების სახელმწიფო ფორმა საფრანგეთის და „ევროპის მთელი რიგი ქვეყნების“ X-XIII საუკუნეების სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმას არ ედრება, რუსეთში ფეოდალური დაქუცმაცებულობა XII-XIII საუკუნეებშია. ამის წინ კი რუსეთში რიურისკოვიჩების იმპერია იყო, რომელსაც დასავლეთ ევროპაში კარლოს ღიდის იმპერია შეესაბამება¹.

X-XI საუკუნეების რუსეთი მართალია სუსტი, მაგრამ მაინც ცენტრალიზებული სახელმწიფოა. X საუკუნეში და XI საუკუნის პირველ ნახევარამდე მთავრის ხელისუფლება რუსეთში საკმაოდ ძლიერია². ამგვარად ავტორის მიერ მოყვანილი შედარება უმართებულაა.

6) „რუსეთში აბსოლუტიზმი განმტკიცდა პეტრე I-სა და ეკატერინე II-ს მეფობის დროს“ (გვ. 104). აბსოლუტიზმი რუსეთში ერთიანი ნაციონალური ბაზრის საფუძველზე შეიქმნა XVII საუკუნის მეორე ნახევარში. პეტრე I-ის დროს კი აბსოლუტიზმი რუსეთში განმტკიცდა; ავტორის მიერ აქ ყველაფერი მართებულად არის გადმოცემული, მაგრამ ეკატერინე II-ის მოხსენება ზედმეტია, რადგანაც რუსეთში პეტრე I-ის დროს უკვე განმტკიცებული აბსოლუტიზმი.

7) „სახალხო მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნას იურიდიული განათლების მქონე ყოველი მოქალაქე“ და სხვ. (გვ. 190). იურიდიული განათლება არ არის სავალდებულო.

8) ავტორი ეხება სამართლებრივ ურთიერთობებსა და სამართლის ნორმებს შორის დამოკიდებულებას, ამ საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებებს და წერს: მიუხედავად აზრთა და თეორიული ხასიათის დავისა, რომელიც ზოგჯერ სქოლასტიკურ ხასიათს ატარებს“ არავინ

¹ История СССР, т. I, под ред. Б. Д. Грекова, гв. 107.

² იქვე, გვ. 84—85.

არ უარყოფს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება არსებობდეს სამართლის ნორმის გარეშე (გვ. 298); რადგან ავტორმა ზოგიერთ მოსაზრებას ამ საკითხზე „სქოლასტიკური“ უწოდა, მას კიდევ უნდა განემარტა რომელი მოსაზრება ან რისთვის არის სქოლასტიკური. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფრაზა გაუგებარია.

9) ავტორი წერს: „ისტორიულ მეცნიერებაში, კერძოდ სამართლის ისტორიაში, სამართლის წყაროს ცნება იხმარება სამართლის შექმნების წყაროს მნიშვნელობითაც“ (გვ. 275). სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის საყურადღებოა სამართლის ისტორიის წყარო, რომელიც ზოგჯერ ემთხვევა სამართლის წყაროს (არა ყოველთვის) ცნებას, იმ გაგებით, რომ ეს დამთხვევა იმ ეპოქისათვის უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც სამართლის ისტორია სწავლობს. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნი ქართული სამართლის ისტორიის წყაროა (XVIII საუკუნისა), ამავე პერიოდის სამართლის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი წყაროა ვახუშტის შრომის ის ადგილი, რომელიც ქართული სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტს ეხება.

ენობრივი ხასიათის შენიშვნები:

1) „XVII საუკუნის ჰოლანდიაში სახელმწიფოს წარმოშობის სახელმეკრულებო თეორიის წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი იურისტი ჰუგო გროციუსი და გამოჩენილი ფილოსოფოსი ბენედიქტე სპინოზა“ (გვ. 32).

ავტორი საერთოდ სწორად თარგმნის „Договорная теория“-ს „ხელშეკრულების თეორია“, მხოლოდ ამ შემთხვევაში და სხვა ადგილებზე (გვ. 33) წინადადების კონტექსტის მიხედვით უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევა „სახელმეკრულებო თეორიის“ ხმარებას, რაც უმართებულად მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა წინადადება შემდეგნაირად აგებულიყო: „XVII საუკუნის ჰოლანდიაში ხელშეკრულების გზით სახელმწიფოს წარმოშობის თეორიის წარმომადგენლები“ და ა. შ.

2) „ქიდვე უფრო რეგულაციური სიმახვილე მიიღო სახელმეკრულებო თეორიამ გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის ალექსანდრე რადიშჩევის შრომებში“ (გვ. 34), „სახელმეკრულებო“ თეორიაზე უკვე ვგქონდა საუბარი. ამ შემთხვევაში არ მოგვწონს „სიმახვილე“.

3) ავტორს საუბარი აქვს ექსპლოატატორთა სახელმწიფოში მშრომელთა ექსპლოატაციასზე, ვადასახადებზე და სესხზე; მშრომელთა „იძულებულნი არიან თვითონ გაიღონ ხარჯები იმ აპარატის შესანახავად, რომელსაც ექსპლოატა-

ტორები ქმნიან მათივე დასათრგუნავად“ (გვ. 43). სიტყვა „მათივე“-ს ბუნდოვანება შეაქვს აზრის გაგებაში.

4. „სახელმწიფოს ფორმა შეიძლება სხვადასხვა იყოს ან კიდევ ფორცვალოს იმისდამხედვით თუ გაბატონებული კლასის რომელი ფენა მოქცეული სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში და როგორი მეთოდებით სურს მას პოლიტიკური ბატონობის უზრუნველყოფა, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება“ (გვ. 57), წინადადება ბუნდოვანია.

5. სახელმწიფოს მექანიზმის ცალკეულ ნაწილებს მიეკუთვნება „სახელმწიფო მმართველობის ანუ აღმასრულებელი ორგანოები, რომლებსაც, როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ქმნიან სხვადასხვა გზით; მაგალითად, მინისტრთა საბჭო, სამინისტროები, აღმასკომები (სსრ კავშირში), მინისტრთა კაბინეტები, სამინისტროები, მერიები, პრეფექტურები და სხვა (კაპიტალისტურ ქვეყნებში)“ (გვ. 62). საუბარია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღმასრულებელი ორგანოების შექმნის სხვადასხვა საშუალებაზე. მაგალითებიც „სხვადასხვა გზით“ შექმნაზე უნდა ყოფილიყო მოყვანილი წინადადების აგებულების მიხედვით.

6) „ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტები“ (გვ. 74), უმჯობესია „ინსტიტუტი“ (მხოლოდითში).

7) „მინდროსაცავი“, ნაცვლად მინდროსაცავისა (გვ. 187).

8) „იძულებითი ძალა“ (გვ. 24), უვარგისი გამოთქმა.

9) აზნაცები მთავრდება წერტილ-მიძიეთი (;) უნდა მთავრდებოდეს წერტილით (.), გვ. 200, 298, 372.

10). წინადადება იწყება „ე. ი.“-ით, რაც აგრეთვე არამართებულია (გვ. 234, 245, 328, 369).

ენობრივად გაუმართავია წინადადებები აგრეთვე 131 და სხვა გვერდებზე.

მიუხედავად ხსენებული ნაკლისა, ავტორის მიერ ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომია დაწერილი. ამ შრომის სახით იურიდიულ ფაკულტეტს დღეს აქვს მშობლიურ ენაზე სამართლის წამყვან საგანში სახელმძღვანელო, რომელიც ღირსებით მაღალ დონეზე დგას.

ავტორმა შესძლო სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ზღვა საკითხებში შეერჩია ძირითადი, შეესწავლა სათანადოდ და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მიხედვით ლოგიკური თანმიმდევრობით, სახელმძღვანელოსათვის საჭირო გასაგები ენით გაეუწყებინა ეს საკითხები.



სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტში გაიმართა პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა საქალაქო თათბირი ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ფრუიძემ.

მოხსენებით — „სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის 1962 წლის შედეგები და მორიგი ამოცანები“— გამოვიდა ქალაქ თბილისის პროკურორი ა. ტაკიძე.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების უნარიან, ენერგიულ და შინაარსიან მუშაობაზე— აღნიშნა ამხ. ა. ტაკიძემ— დიდად არის დამოკიდებული დანაშაულის შემცირება, კანონიერების განმტკიცება.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ნაყოფიერ საქმიანობაზე რაც წარმოებს უკანასკნელ ხანს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით დანაშაულობასთან საბრძოლველად; ამასთან აღნიშნა, რომ პროკურატურისა და მილიციის ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ დანაშაულობის წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრას.

ამხ. ა. ტაკიძემ თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი აქვს საგამომძიებლო მუშაობაში. ხშირად ამ მიზეზით ადგილი აქვს მოქალაქეთა უსაფუძვლოდ პასუხისმგებში მიცემას.

მოხსენებაში მოყვანილი იყო ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთი სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები არ ეწევიან გადაწყვეტ ბრძოლას კანონიერების განმტკიცებისათვის. პროკურატურის მიერ სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციებში გამოვლინებულია სერიოზული დარღვევები სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში. ასე მაგალითად, არადროულად ხდება რევირება დატაცებისა და მატერიალურ ფასეულობათა განიავების ფაქ-

ტების მიმართ. ხშირად მატერიალურ-პასუხსაგებ თანამდებობებზე ისეთ პირებს იღებენ, რომლებიც წინათ გასამართლებული იყვნენ და ნდობას არ იმსახურებენ.

ამხ. ა. ტაკიძე შეეხო ქალაქის პროკურატურის საქმიანობას საერთო ზედამხედველობის ხაზით და აღნიშნა, რომ საერთო ზედამხედველობის გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. მაისურაძემ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსმა გ. შელიამ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსმა ა. ოსეფაიშვილმა, პირველი მაისის რაიონის პროკურორმა ა. მთიულაშვილმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამქებრო განყოფილების უფროსმა ს. მამულოვმა, 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ი. დავარაშვილმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი აქვს სოციალისტური კანონიერების დაცვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების სუსტ საქმიანობაზე და ა. შ.

მათ სერიოზული საყვედურები გამოთქვეს პროკურატურისა და მილიციის ორგანოთა მიმართ, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში უშვებენ სისხლის სამართლის საქმის პირველადი მასალების ნაჩქარევ, ზერელე შესწავლას ანდა აჭიანურებენ გამოძიების ვადებს. ხშირად არ არსებობს საჭირო კონტაქტი მილიციისა და პროკურატურის ორგანოების ოპერატიულ მუშაკთა შორის, არასაკმაოდ ხორციელდება პროკურორის ზედამხედველობა მილიციის ორგანოების მუშაობისადმი, განსაკუთრებით დანაშაუ-

ლობათა დროული გახსნისა და ბოროტმოქმედთა ძეზნის საქმეში.

სახალხო სასამართლოების მუშაობის პრაქტიკაში გვხვდება ლიბერალური განაჩენების გამოტანის, აგრეთვე საქმეების დამატებით გამოძიებისთვის უსაფუძვლოდ დაბრუნების ფაქტები. სახალხო სასამართლოები იშვიათად აწყობენ სასამართლო პროცესებს წარმოებებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

პარტიის რაიონული კომიტეტები და რაიონ-მასკომები, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, არასაკმაოდ ზრუნავენ საზოგადოებრიობის მობილიზაციისთვის დანაშაულობასთან და კანონის ყოველგვარ დარღვევებთან საბრძოლველად.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კათბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ფრუქიმე.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეიმუშავა ფართო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოების მოღვაწეობის შემდგომი გაუმჯობესებისა, პარტიული საბჭოთა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების დარაზმებისაკენ დანაშაულობასთან საბრძოლველად, სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად და ქალაქ თბილისში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

ლ. კვლიუშილი,

მ. გიგაუშილი.

მოსამართლო რესპუბლიკური თათბირი

მიმდინარე წლის 26 იანვარს ქ. თბილისში გამართა საქართველოს სსრ მოსამართლეთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ქაჯაიამ.

მოხსენებით — „სოციალისტური კანონიერების დაცვის შესახებ სასამართლო ორგანოებში“ — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა — აღნიშნა ამხ. ვ. მაისურაძემ — დიდი როლი შეასრულეს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში. მაგრამ პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანს მიღებული ღონისძიებები ახალი, დიდი ამოცანების წინაშე აყენებენ სასამართლო ორგანოების მუშაკებს. ჩვენი მოვალეობაა სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან ერთად ყოველმხრივ გავძლიეროთ ბრძოლა სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ, მტკიცედ დავიცვათ მოქალაქეთა კანონით გარანტირებული უფლებები და ინტერესები.

მომხსენებელი ლაპარაკობს იმ დარღვევებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი სასამართლო ორგანოების საქმიანობაში, მოყავს სახალხო სასამართლოების მიერ საშიში დამნაშავეების მიმართ ლიბერალური დამოკიდებულებების კონკრეტული ფაქტები. ასე მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლომ, ლილუაშვილის თავმჯდომარეობით, მოქ. ტაბუშაძეს მიუსაჯა წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა. ტაბუშაძეს ბრალი დაედო მასში, რომ მოქ. გელვხაძეს გამოართვა ფული ქრთამის სახით, სამაგიეროდ დაბირდა ყალბი ცნობის მიცემას განათლების შესახებ, რაც სინამდვილეში გააკეთა კიდევ. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით ტაბუშაძეზე შეფარდ-

ბული სასჯელი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა ლმობიერად, რის გამოც აღნიშნული განაჩენი გააუქმა.

ხშირად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის უმაღლესი სასამართლოთა კოლეგიები დაუსაბუთებლად უმცირებენ მსჯავრდებულთა სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ სასჯელს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობა მომავალში პერსონალურ პასუხისმგებლობას დააკისრებს იმ მუშაკებს, რომლებიც გაუმართლებელ ლმობიერებას გამოიჩენენ საშიშ დამნაშავეთა მიმართ.

ამხ. ვ. მაისურაძემ თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა კანონსაწინააღმდეგო განაჩენების გამოტანის შემთხვევაში მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხზე. მან აღნიშნა, რომ ხშირად საქმეთა შესწავლასა და განხილვას ზოგიერთი მოსამართლეები ზერულად ეპყრობიან, რის გამოც გამოაქვთ აშკარად უკანონო განაჩენები. მათ ავიწყლებათ, რომ ისინი წყვეტენ ცოცხალი ადამიანების ბედს. ეს მომავალში არ შეიძლება გაგრძელდეს, არც ერთი ასეთი ფაქტი არ დარჩება სათანადო რეაგირების გარეშე.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა სასამართლო ორგანოების მიერ მოქალაქეთა უსაფუძვლოდ დასჯის შემთხვევებს.

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე დევდარიანი) მოქ. ბერძენიშვილი და ახალკაცი დამნაშავედ სცნო მასში, რომ მათ მოპარეს მოქ. გომართელს 2 ქათამი და 2 ინდაური და მიუსაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ ბერძენიშვილი და ახალკაცი პირველად იყვნენ სამართალში მიცემულნი, არიან ახალგაზრდები და მიუხედავად სკოლის ორგანიზაციის უშამდგომლობისა, დამნაშავენი

ვადეკათ კოლექტივისათვის, ბერძენიშვილი და ახალკაცი ცინეში მოათავსა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ბერძენიშვილი და ახალკაცი პატიმრობიდან გათავისუფლდნენ.

ცხინვალის რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ სცნო მოქ. ახალკაცი სისხლის სამართლის კოდექსის 207 მუხლის 2-ე ნაწილით და 228 მუხლის 2-ე ნაწილით და ორივე მუხლით მიუსაჯა წელიწადნახევრით თავისუფლება აღკვეთა. ახალკაცს მსჯავრი დაედო ბოროტეული ხულიგნობისათვის, მილიციის მუშაკისადმი დაუმორჩილებლობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მილიციის მუშაკი ბესტევეი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იყო არაფხიზელ მდგომარეობაში. იგი აფხირდა ახალკაცს, გაუსინჯა საბუთები და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოინდომა მისი წაყვანა მილიციის განყოფილებაში. როდესაც ასეთ წინადადებაზე ახალკაცმა უარი განაცხადა, ბესტევეი ცეცხლმსროლელი იარაღით დაემუქრა მას და პირველმა დაუწყო ცემა. ახალკაცმა მის მოქმედებას ჩხუბითვე უპასუხა.

იმის გამო, რომ ახალკაცის მოქმედება არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით საქმე წარმოებით შეწყდა.

ხშირად მოსამართლეთა მხრივ კანონების არასათანადო ცოდნა სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმების საფუძველი ხდება.

კანონის მოთხოვნის უხეში დარღვევა დაუმვა მარნეულის რაიონის სახალხო მოსამართლე შამედოვმა, რომელმაც ერთპიროვნულად გაასამართლა მილიციის მიერ წარმოდგენილი მასალებით მოქ. პაპიანი და როგორც უმუშევარი და უქნარა გაასახლა რაიონიდან 2 წლით. აღნიშნული დადგენილება გაუქმებულ იქნა იმის გამო, რომ სასამართლომ საქმე განიხილა მსაჯულების გარეშე, არ დაიცვა საპროცესო ნორმების ელემენტარული მოთხოვნები.

ამხ. ვ. მაისურაძე შეეხო სასამართლო განობებში საქმეთა განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტებს, რაც ხშირად გამოწვეულია მოსამართლეთა უსულგულო დამოკიდებულებით საქმისადმი და მოიყვანა მაგალითი მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს პრაქტიკიდან, სადაც ვ. სიმონიანისა და გ. მერაბიშვილის ბრალდების საქმე ავტო-ავარიის შესახებ 15 თვეს ჭიანჭურდებოდა. ბრალდებულებმა 9 თვე გაატარეს წინასწარ პატიმრობაში, რის გამოც უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობა იძულებული გახდა საქმე მიეღო თავის წარმოებაში 1960 წლის 20 დეკემბერს. საქმე არსებითად განხილულ იქნა მხოლოდ მიმდინარე წლის 5 იანვარს.

მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. კახაროვი, რომელმაც ვერ უზრუნველყო აღნიშნული საქმის განხილვა 15 თვის განმავლობაში დასჯილ იქნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული დისციპლინარული კოლეგიის მიერ. ასევე დიდი გაჭიანურებით იხილავს საქმეებს ბოლნისის სახალხო მოსამართლე ამხ. აფხაზავა.

დასასრულს, ამხ. ვ. მაისურაძე შეჩერდა სასამართლო ორგანოების ამოცანებზე, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

მოხსენების ირგვლივ ვაიმართა კამათი.

კამათში გამოვიდა ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. არავიაშვილი. მან აღნიშნა, რომ რაიონის სახალხო სასამართლოებმა 33 გასული პროცესი ჩაატარეს. მათ უმეტესობაზე მონაწილეობა აქვთ მიღებული საზოგადოებრივ ბრალმდებლებსა და საზოგადოებრივ დამცველებს. იგი შეეხო სახალხო სასამართლოსთან ახლად შექმნილ მსაჯულთა საბჭოს საქმიანობას, რომლის თვითიველი წევრი აქტიურად ეხმარება სასამართლოს სამსჯავრო სხდომების მომზადების, გადაწყვეტილებათა აღსრულების, ქონების სრულყოფილად დაყადაღებასა და ზარალის ანაზღაურებაში. მსაჯულთა საბჭო ქმედით ღონისძიებებს სახავს საქმეების განხილვის ვადების გაჭიანურების აღსაკვეთად და სხვა.

საქმეთა გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი ის

არის, — ამბობს ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. სტურუა, — რომ ავტო-ავარიების საქმეებზე ხშირად უბედური შემთხვევის ადგილზე ოქმები დგება უხარისხოდ, გამოძიება ბრალდებას ადგენს დამდგარი უბედური შემთხვევის მიხედვით და არ არკვევს შეიციავს თუ არა მძღოლის მოქმედება დანაშაულის ნიშნებს და თუ შეიციავს რაში გამოიხატება დარღვევა, რასაც შედეგად მოყვა მძიმე შედეგი. თვეობით ჰიანურდება ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მიღება და სხვა.

თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე შეეხო იმ სერიოზულ დარღვევებს, რასაც ადგილი აქვს არასრულწლოვანთა დასჯის დროს და მოიყვანა მავალითი ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს პრაქტიკიდან.

1962 წლის მარტში ქ. სოხუმის პროკურატურის მიერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და პატიმრობაში იქნა აყვანილი არასრულწლოვანი ვ. ზავიზონი იმის გამო, რომ მან სკოლის დარბაზში კალათბურთის თამაშის დროს გადაძალა თავისი ამხანაგის ტანსაცმელი, რომელიც მეორე დღეს თვითონვე დაუბრუნა პატრონს. ასეთი ქმედობისათვის ზავიზონს ქ. სოხუმის სახალხო სასამართლომ შეუფარდა ექვსი თვით პატიმრობა, არ გაითვალისწინა რა, რომ ზავიზონი იყო არასრულწლოვანი, იგი ადრე ცუდ საქციელში არ ყოფილა შემჩნეული, მუშაობდა საქსოვ ფაბრიკაში ზეინკლად, სადაც დადებითად ხასიათდებოდა და როდესაც საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა ზავიზონის მათთვის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ, სასამართლომ მათ კანონიერ შუამდგომლობაზე უარი უთხრა.

საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ ზავიზონის მიმართ განაჩენი გაპროტესტიებული იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა.

ამხ. გ. ბიწაძე შეეხო საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევებსაც, როდესაც სახალხო სასამართლოები სამართალში მიცემულ პირებს, რომლებიც წინასწარი გამოძიების პროცესში პატიმრობაში არ ყოფილან აყვანილნი, საქმის სასამართლოში არსებითად განხილვამდე ავა-

ტიმრებენ. შემდეგ კი თვითონვე ათავსებენ პატიმრობიდან აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის გამო, ან ისეთი სასჯელის შეფარდების გამო, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული.

1961 წლის 9 ოქტომბერს ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ წარმოებაში მიიღო განსახილველად ბრალდებულ ისმაილ იასინ-ოღლი ახმედოვის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 241 მუხლის მე-8 ნაწილით. დაახლოებით 3 თვის განმავლობაში აღნიშნული საქმე იმყოფებოდა წარმოებაში და 1962 წლის 5 იანვარს სასამართლომ, მოსამართლე კენჭუაშვილის თავმჯდომარეობით, გამოიტანა დადგენილება ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, პატიმრობაში აიყვანა სამართალში მიცემული და თან საქმე წარმოებით შეაჩერა ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებამდე. ექსპერტის დასკვნის მიღების შემდეგ სასამართლომ, იმავე კენჭუაშვილის თავმჯდომარეობით, 1962 წლის 19 მაისს გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი ახმედოვის მიმართ. ამრიგად, სასამართლოს უკანონო მოქმედებამ ახმედოვი დაახლოებით 4 თვის განმავლობაში იმყოფებოდა პატიმრობაში.

დასასრულს, ამხ. გ. ბიწაძე აღნიშნავს, რომ გამოძიების დროს საპროცესო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოების მიერ კერძო დადგენილებების გამოტანა დიდად შეუწყობს ხელს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობის ხარისხის ძირფესვიანად გაუმჯობესებას.

თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავამ ხაზი გაუსვა იმ ძირითად ნაკლოვანებებს, რასაც ადგილი აქვს სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს. მან აღნიშნა, რომ მოსამართლეები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამოქალაქო საქმეების დროულად და ხარისხიანად განხილვას. ხშირად გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხი დაბალია. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1962 წლის სამ კვარტალში გაუქმებული გადაწყვეტილებები შეადგენს 28,1 პროცენტს.

სასამართლოები გადაწყვეტილებების გამოტანის დროს ხშირად არ უთითებენ კანონზე, რომ-

ლითაც იხელმძღვანელებს. საყვედური იმის შესახებ, რომ ეს გამოწვეულია სამოქალაქო სასამართლის კოდექსების უქონლობით უმართებულა, ჩადგან დარღვევებს ვხვდებით ისეთი კატეგორიის საქმეებზეც, რომლებზედაც უკვე მიღებულია კანონი.

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურების დროს, დასახიჩრების კატეგორიის საქმეებზე უხეშ დარღვევებს უშვებენ ყვარულის, ბორჯომის, საჩხერის, კასპის რაიონის მოსამართლეები.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ცქიტიშვილი, რომელიც შეეხო სასამართლო ორგანოების გამსხვილებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა დავრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე თ. ლოლაშვილი.

ა. ვაყელიშვილი.



მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის და მილიციის ორგანოების მუშაკთა გაერთიანებული თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკისა და თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორებმა, გამომძიებლებმა, თბილისის რაიონის პროკურორებმა, რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს, რკინიგზის სატრანსპორტო მილიციის, თბილისის მილიციის სამმართველოს მუშაკებმა; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, სასაქონლო-საექსპერტო, ქიმიური-საექსპერტო და სხვა საექსპერტო დაწესებულებათა თანამშრომლებმა.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის გ. მეგრელიშვილის მოხსენება — „საგამომძიებლო მუშაობის 1962 წლის შედეგები და ამოცანები“.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა საგამომძიებლო საქმიანობის გასული წლის შედეგებზე და აღნიშნა, რომ საგამომძიებლო ორგანოს ბევრი მუშაკი დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობით ეკიდება საგამომძიებლო ვადების დაცვას. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა ზუგდიდის, ბოლნისის, სამგორის, მახარაძის, თიანეთის, გორისა და სხვა რაიონის პროკურატურებში.

არის შემთხვევები, როდესაც პროკურორისა და გამომძიებლის უპასუხისმგებლობის შედეგად, ვადების დარღვევებთან ერთად, ადგილი აქვს მოქალაქეთა უსაფუძვლოდ პატიმრობაში აყვანის ფაქტებს. ასე მაგალითად: არასრულწლოვანი ჯ-ი 16 თვის განმავლობაში სამგორის პროკურატურის ზოგიერთი მუშაკის დაუდევრობით იმყოფებოდა უსაფუძვლო პატიმრობაში. მას ბრალად ედებოდა ცეცხლსროლელი იარაღით ჩ-ის მკვლელობაში და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საქმე სამგორის პროკურატურის წარმომადგენლებთან ამოღებული იქნა და გამოძიება აწარმოა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ უდანაშაულო ჯ-ი პატიმრობიდან გათავისუფლებულ იქნა და სამართალში მიეცა ჩ-ის ნამდვილი მკვლელო.

მომხსენებელი ლაპარაკობს სარევიზო აპარატის მუშაობაზე. ხშირად საგამომძიებლო საქმეებზე რევიზიები ჭიანჭურვებმა წლების მანძილზე; მაგ. თეთრიწყაროს საკოლმეურნეოთა-შორისო მშენებლობის საქმეზე რევიზიას ერთ წელზე მეტი დრო დასჭირდა.

გამომძიებლებს ასევე უარყოფითად მოქმედებს ზოგიერთი სასამართლოს მიერ საგამომძიებლო ორგანოების საქმიანობის ჭეროვანი შეუფასებ-

ლობა. არც თუ ისე იშვიათად სასამართლომ უსაფუძვლოდ აბრუნებენ დამატებით გამოძიებაში საქმეებს. ამით კი საგრძნობლად სუსტდება დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა და დამნაშავე ელემენტებს სასჯელისაგან თავის დაღწევის საშუალება ეძლევათ.

პროკურატურისა და მილიციის ორგანოები, განაგრძობს შემდეგ გ. მეგრელიშვილი, გაურბიან საზოგადოებრიობის ჩაბმას გამოძიებაში, არ იყენებენ საზოგადოების ფართო მასებს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ორგანიზაციებსა და კოლექტივებს იშვიათად გადასცემენ იმ პირთა საქმეებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში დანაშაული.

პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს შორის კონტაქტის გაძლიერების აუცილებლობაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორმა გ. გვასალიამ. მან აღნიშნა, რომ ამ ორი ორგანოს თანამშრომელთა სწორად დავებში და გააზრტულთა ობერტატიული საქმიანობა, საქმის გახსნის მთავარი საშუალებაა. პროკურატურისა და მილიციის მჭიდრო კონტაქტის შედეგად საგრძნობლად შემცირდა გაუხსნელი საქმეთა რიცხვი, განსაკუთრებით გაუხსნელი მკვლელობის შემთხვევები. სწორედ ასეთი ერთობლივი მუშაობით გაიხსნა დასავლეთ საქართველოს რაიონებში დიდხანს მოქმედ მძარცველთა ჯგუფის მიერ 1960—1961 წლებში ჩადენილი და გაუხსნელი ცამეტი საქმე, მათ შორის ორი მოქალაქის — ს-ისა და ა-ის მკვლელობის საქმეც, რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში გაუხსნელი იყო.

როგორც ამხ. გ. გვასალიამ აღნიშნა, მილიციის მიერ დამთავრებული და სასამართლოში წარმართული საქმეები, ზოგიერთ პროკურორს მაინც არა მის ქვემდებარედ. შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ საქმეების განხილვის დროს პროკურორები მონაწილეობას არც კი ღებულობენ, კიდევ მეტი, არც იციან საქმეს რა ბედი ეწვია; ასევე არ ღებულობენ პროკურორები მონაწილეობას შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში.

ამასთან ერთად გ. გვასალიამ თათბირზე დააყენა რამდენიმე სახის პრაქტიკული წინადადება: არ არის საჭირო ყველა საქმეზე აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ დადგენილების შედგენა და მისი წარდგენა პროკურორთან, თუ ამას თვით მილიციის ორგანოები სცნობენ მიზანშეწონილად. ამ შემთხვევაში ისინი თითქოს თავს

იზღვევენ, რაც თავის მხრივ მეტყველებს მათ უპრინციპობაზე. ასევე არ არის სწორი განყოფილებაში შემოსული ყველა ცალკეულ განცხადებისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემის შესახებ პროკურორთან მოხსენება და აქედან გამომდინარე უსწორია რა თქმა უნდა ყოველ განცხადებაზე საქმის აღძვრა შემოწმების გარეშე, რაც შემდეგ თავისებურ დღეს ასვამს მუშაობას.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მოთვარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსი რ. გვეტაძე შეჩერდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა და საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის ზოგიერთ ნაკლოვანებებზე. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ნაკლოვანებანი გავლენას ახდენს საგამომძიებლო ორგანოების საქმიანობის ხარისხზე. გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევაზე საგამომძიებლო ორგანოს წარმომადგენლის დასწრება კანონითაა გათვალისწინებული; ეს საქმისთვის აუცილებელი ღონისძიებაა. გვამის გამოკვლევის პროცესში გამომძიებელს შეიძლება აღძვრას დამატებითი საკითხები, რომელთა გადაჭრა თავიდანვე უფრო ადვილია. მოგვიანებით დასმული კითხვები შესაძლებელია გადაუჭრელი დარჩეს. სამწუხარო ფაქტია, რომ გვამის გამოკვლევას გამომძიებელი არ ესწრება. გვამის გამოკვლევაზე დაუსწრებლობა ხშირად განმეორებითი ექსპერტიზის მიზეზი ხდება.

კიდევ უფრო საზიანოა, როდესაც საგამომძიებლო ორგანოები თანხმდებიან ჭირისუფლების მოთხოვნას გვამის გაუკვეთავად გაცემაზე და არ იჩენენ საკმაო თანმიმდევრობას მათი წინააღმდეგობის დასაძლევად. გარეგანი დათვლიერებით კი სიკვდილის მიზეზის დადგენა ხშირად შეიძლება სწორი არ აღმოჩნდეს. გაკვეთით სიკვდილის მიზეზი შეიძლება სულ სხვა აღმოჩნდეს, ვიდრე ეს გარეგნული დათვლიერებით ჩანს. შემდეგში, როდესაც გამოძიება რწმუნდება გაკვეთის აუცილებლობაში, უფრო რთულ საქმეზე — გვამის ექსპუმაციასზე კი მიდის. ყველაფერი ეს საკმაო დაბრკოლებებს ქმნის გამომძიებლისათვის. არის შემთხვევები, როდესაც საგამომძიებლო ორგანო განმეორებითი და საკონტროლო ექსპერტიზის შემდეგ საქმეებს გზავნიან ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოში და გადასაწყვეტად სვამენ არა მეცნიერულ-სამედიცინო საკითხებს, არამედ იურიდი-


ული ხასიათის კითხვებს, რომელთა გადაწყვეტაში სამეცნიერო საბჭო კომპეტენტური არ არის.

ჯერ კიდევ არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, ამბობს თბილისის მილიციის სამმართველოს საგამომკვლევო განყოფილების უფროსი პ. ხომერიკი, თუ რა წესით უნდა იქნეს ვატანილი საკითხი მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებზე იმ დამანაშავეების მიმართ, რომლებმაც პირველად და მცირე მნიშვნელობის დანაშაული ჩაიდინეს. ზოგ მუშაკს მიაჩნია, რომ თუ ორგანიზაციამ აღძრა საკითხი, პროკურატურის ან მილიციის წინაშე, სამუშაო ადგილზე ამა თუ იმ პირის მიმართ მასალების გადაცემის შესახებ და თუ ამ შუამდგომლობას თან ერთვის თანაშრომელთა საერთო კრების ოქმი და დახასიათება, ეს საკმარისია. ამ წესით კი ასეთი პირების მიმართ საქმის საბოლოო შეწყვეტა და საქმეში გამავალი პირების მშრომელთა კოლექტივებზე გადაცემა ხელახალი აღზრდისათვის უსწორია, რადგან ეს საბუთები მხოლოდ პირველადია და მხოლოდ შუამდგომლობას ნიშნავს სათანადო ორგანოებში. კარგი იქნება, თუ ამ საკითხის განხილვა მოხდება პროკურორის თანხმობით სასოჯადოებრივ ორგანიზაციებში და მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებაზე. ამასთან ეს საკითხი უნდა გაჰქონდეს იმ პირს, ვინც აწარმოებს საქმეს. ასეთი წესით საკითხის განხილვას მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებაზე სამდილოდ აღმზრდელითი ხასიათი ექნება, არ მოხდება ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის ზერეულად გადაწყვეტა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. პრავედინი ვრცლად შეჩერდა საგამომძიებლო ორგანოების ნაკლოვანებებსა და მათი გამოსწორების საშუალებებზე.

უშუალო კონტროლს რაიონის ქალაქის პროკურატურის საქმიანობაზე უნდა ანხორციელებდნენ საგამომძიებლო განყოფილების ზონის პროკურორები, ისინი თვალყურს უნდა ადევნებდნენ ყველა ვადადარღვეულ საქმეებს, წინასწარ იღებდნენ ზომებს საქმეების დასამთავრებლად, რომელთა გამომძიების ვადა იწურება.

ჩვენს მუშაობაში, თქვა ვ. პრავედინმა, ფრიალ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა პატიმრობაში აყვანის დასაბუთებაც. რაიონის პროკურორები მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ აღმ-



კვეთი ღონისძიებების შეფარდების დროს; პატიმრობას უნდა უფარდებდნენ მხოლოდ აუცილებლობის დროს და კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა ა. ოსეფაიშვილმა ოლაპარაკა პროკურატურისა და მილიციის ორგანოების, რკინიგზის მილიციისა და ტერიტორიალური მილიციის ორგანოების კონტაქტზე.

თანამშრომლების ერთ ნაწილში შემორჩენილია ტენდენცია, ამბობს ა. ოსეფაიშვილი, რომ მისი მომსახურების ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიება სხვას „გადაუღოცოს“, რომ ნაკლები შრომა დახარჯოს. ამას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

გასარკვევია რკინიგზაზე მომხდარი საგზაო შემთხვევების ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენა ქალაქის მილიციის მუშაკების მიერ, კერძოდ, სახელმწიფო ავტონსპექციის მუშაკების მიერ, რომლებიც მორიგეობენ ქალაქის მორიგესთან საგზაო შემთხვევის ხაზით. ჩვენ არ გავვანჩნა იმდენი დრო და ძალეები, რომ რკინიგზაზე მომხდარ საგზაო შემთხვევებზე შევადგინოთ ავარიის ოქმები. რკინიგზის სამმართველოში კი, მოინახებიან ისეთი სპეციალისტები,

რომ ასეთი ოქმები შეადგინონ და გადასცენ მოკვლევისა თუ საგამომძიებლო ორგანოებს.

თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი.

გამოძიების ვადის დარღვევა მჭიდრო კავშირშია საგამომძიებლო მუშაობის ხარისხთან, რადგან სწორედ გამოძიების დროს მომხდარი შეცდომები, არასწორი ვერსიის არჩევა, გამოძიების უკმარობა და პროცესუალური დარღვევები იწვევენ საქმის დამატებით გამოძიებაზე დაბრუნებასა და გაჭიანურებას.

ამხ. პ. ბერძენიშვილი ვრცლად შეეხო გამოძიების პროცესში სარევიზიო-საექსპერტო ჯგუფების მუშაობის საკითხს, საზოგადოების როლს დანაშაულობასთან ბრძოლაში და სხ.

დასასრულს პ. ბერძენიშვილმა თათბირის მონაწილეებს გააცნო ის ღონისძიებები და მეთოდები, რაც საქართველოს სსრ პროკურატურას აქვს გამოიხსნული საგამომძიებლო მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

**ლ. ისაბაძე,
ლ. ჰანტურია.**

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვ.	სვეტი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
17	სათაურში	სასამართლოს	სასამართლო
42	1	ზემოდან ჯერ	ვერ
43	7	ქვემოდან გულისხმობს	გულისხმობს
53	5	" ღირებულებაში	მიღებისას
61	2	ზემოდან ვადაგაცილებულ	ვადაგადაცილებულ
61	11	" მოსარჩლეთა	მოსარჩელეთა
66	16	" გამოჩინელი	გამოჩენილი
66	12	" საყოველთაო	საყოველთაო

ავრთვე ე ტირაჟის ნაწილში 67-ე გვერდის 27-ე სტრიქონში „ლ. ზემოდან 1924 წლის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს 1824 წელი.“

8560 50 353.

ИНДЕКС 76185 06950
8084010103

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР